

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ინსტიტუტი ტექნოლოგიების

# ქართული რეფერატული ჟურნალი

ჰუმანიტარული მეცნიერებები

სასიგნალო გამოცემა

თბილისი  
2021

მთ. რედაქტორი **ირმა რატიანი** (შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი)

მთ. რედაქტორის

მოადგილე **ფიქრია წოწკოლაური** (ინსტიტუტი ტექინფორმი)

სარედაქციო კოლეგია: **ირინა ბედინაშვილი** (ინსტიტუტი ტექინფორმი), **მაკა ელბაქიძე** (შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი), **მადონა კოპალეიშვილი** (ინსტიტუტი ტექინფორმი), **დავით ლომიტაშვილი** (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო), **ნელი მახვილაძე** (ინსტიტუტი ტექინფორმი), **ქაბა სამუშია** (შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი), **მარინე ქავთარაძე** (თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია), **ლია ქაროსანიძე** (თსუ, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი), **მზია ლოლელიანი** (ინსტიტუტი ტექინფორმი), **მანანა შეყილაძე** (ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაცია), **თეიმურაზ ჩუბინიშვილი** (ინსტიტუტი ტექინფორმი)

ინგლისური ტექსტის

რედაქტორი **ვალერი სარჯველაძე**

საკონტაქტო მისამართი: **თბილისი, ტექინფორმი, კოსტავას 47**

**ტელ.: 233 53 15; 233 51 22**

**ელ. ფოსტა: tech@gtu.ge**

**https: techinformi.ge**

© ტექინფორმი

<https://techinformi.ge>

გამომცემლის ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია გამოცემის რომელიმე ნაწილის რეპროდუცირება ან გადაცემა ნებისმიერი ელექტრონული, მექანიკური თუ ფოტოგადაცემის საშუალებით, ან შეტანა ნებისმიერი სახის საძიებელ სისტემაში გამომცემლის ნებართვის გარეშე. განაცხადი ნებართვის მიღებაზე ეგზავნება ტექინფორმს, ამასთან წერილობითი ნებართვის აღება საჭიროა მოხდეს მანამ, სანამ გამოცემის რომელიმე ნაწილი შეიტანება ნებისმიერი სახის საძიებელ სისტემაში.

## წინასიტყვაობა

რეფერატული გამოცემა ასახავს საქართველოს სამეცნიერო პუბლიკაციებს ჰუმანიტარული მეცნიერებების სფეროში. მასში მოცემული იქნება სამეცნიერო სტატიების, მონოგრაფიების, დისერტაციების, ჩატარებული კონფერენციების მოხსენებების და სხვ. რეფერატები ისტორიისა და არქეოლოგიის, ენისა და ლიტერატურის, ფილოსოფიის, რელიგიის, ხელოვნების დარგებში.

ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური სფეროს პუბლიკაციების რეფერატული ჟურნალი გამოიცემა 2000 წლიდან სტუ-ს ინსტიტუტ ტექნიკორმის მიერ. მის ბაზაზე შექმნილია ქართულ-ინგლისურენოვანი მონაცემთა ბაზა „საქართველოს სამეცნიერო პუბლიკაციები“, რომელიც თავისუფალი წვდომის რეჟიმში განთავსებულია ინტერნეტში. აღნიშნული ბაზის შევსება ჰუმანიტარული მეცნიერებების პუბლიკაციებით დაგვიანებული, მაგრამ უდავოდ საშური საქმეა.

ჰუმანიტარული მეცნიერებების ქართული რეფერატული ჟურნალი ორენოვანია, გამოიცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე. რეფერატები სისტემატიზებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სამეცნიერო კვლევების კლასიფიკატორის მიხედვით. ჟურნალს თანდართული აქვს ავტორთა და თემატური საძიებლები.

ახალი ჟურნალი გააფართოებს საქართველოს მეცნიერთა პუბლიკაციების გავრცელების არეალს და ხელს შეუწყობს კვლევებში მონაწილე პარტნიორების მოძიებას.

სარედაქციო კოლეგია

## თემატური რუბრიკები

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სამეცნიერო დარგების კლასიფიკატორის (FOS) მიხედვით

<b>6. Humanities</b>	<b>6. ჰუმანიტარული მეცნიერებები</b>
<b>6.1 History &amp; archaeology</b>	<b>6.1 ისტორია და არქეოლოგია</b>
History ( <i>history of science and technology to be 6.3, history of specific sciences to be under the respective headings</i> )	ისტორია ( <i>მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორია უნდა იყოს რუბრიკაში 6.3, ცალკეული მეცნიერებების ისტორია უნდა გაერთიანდეს შესაბამის რუბრიკებში</i> )
Archaeology	არქეოლოგია
<b>6.2 Languages &amp; literature</b>	<b>6.2 ენა და ლიტერატურა</b>
General language studies	ზოგადი ენათმეცნიერება
Specific languages	ცალკეული ენები
General literature studies	ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობა
Literary theory	ლიტერატურის თეორია
Specific literatures	ცალკეული ლიტერატურული მიმდინარეობები
Linguistics	ენათმეცნიერება
<b>6.3 Philosophy, ethics &amp; religion</b>	<b>6.3 ფილოსოფია, ეთიკა და რელიგია</b>
Philosophy, history & philosophy of science & technology	ფილოსოფია, მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორია და ფილოსოფია
Ethics (except ethics related to specific subfields)	ეთიკა (გარდა ცალკეული დარგების ეთიკისა)
Theology	თეოლოგია
Religious studies	რელიგიათმცოდნეობა
<b>6.4 Arts (arts, history of arts, performing arts, music)</b>	<b>6.4 ხელოვნება (ხელოვნება, ხელოვნების ისტორია, სასცენო ხელოვნება, მუსიკა)</b>
Arts, art history	ხელოვნება, ხელოვნების ისტორია
Architectural design	არქიტექტურული დიზაინი
Performing arts studies (musicology, theater science, dramaturgy)	საშემსრულებლო ხელოვნებათმცოდნეობა (მუსიკათმცოდნეობა, თეატრმცოდნეობა, დრამატურგია)
Folklore studies	ფოლკლორისტიკა
Studies on film, radio & television	კვლევები კინოხელოვნების, რადიოსა და ტელევიზიის სფეროში
<b>6.5 Other humanities</b>	<b>6.5 სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებები</b>

## შინაარსი

რეფერატულ ჟურნალში ასახული პერიოდული გამოცემები .....	6
წინამდებარე ჟურნალში ასახული პერიოდული გამოცემები .....	7
<b>თემატური რუბრიკები</b>	
<b>6. ჰუმანიტარული მეცნიერებები .....</b>	<b>8</b>
<b>6.1. ისტორია და არქეოლოგია .....</b>	<b>8</b>
6.1.1. ისტორია .....	8
6.1.2. არქეოლოგია .....	10
<b>6.2. ენა და ლიტერატურა .....</b>	<b>14</b>
6.2.1. ენების ზოგადი კვლევები .....	14
6.2.2. ცალკეული ენები .....	19
6.2.3. ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობა .....	24
6.2.4. ლიტერატურის თეორია .....	25
6.2.5. ცალკეული ლიტერატურული მიმდინარეობები .....	26
6.2.6. ენათმეცნიერება .....	29
<b>6.3. ფილოსოფია, ეთიკა და რელიგია .....</b>	<b>32</b>
6.3.1. ფილოსოფია, მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორია და ფილოსოფია .....	32
6.3.2. ეთიკა (გარდა ცალკეული დარგების ეთიკისა) .....	33
6.3.3. თეოლოგია .....	34
6.3.4. რელიგიათმცოდნეობა .....	34
<b>6.4. ხელოვნება (ხელოვნება, ხელოვნების ისტორია, საშემსრულებლო ხელოვნება, მუსიკა) .....</b>	<b>35</b>
6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია .....	35
6.4.2. არქიტექტურული დიზაინი .....	37
6.4.3. საშემსრულებლო ხელოვნებათმცოდნეობა, თეატრთმცოდნეობა .....	37
6.4.4. ფოლკლორისტიკა .....	47
6.4.5. კვლევები კინოხელოვნების, რადიოსა და ტელევიზიის სფეროში .....	47
<b>6.5. სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებები .....</b>	<b>49</b>
ავტორთა საძიებელი .....	51
თემატური საძიებელი 54 .....	54

## რეფერატულ ჟურნალში ასახული სამეცნიერო გამოცემები

- |  |                                    |
|--|------------------------------------|
| 1. ენა და კულტურა  | ISSN 1987-7323                     |
| 2 პროფესიონალის ხმა  | ISSN 1987-6831                     |
| 3 სამხრეთ კავკასია – არქეოლოგიური კონტექსტი  | E ISSN 2667-9353                   |
| 4 საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი - სპექტრი                | ISSN 2587-4810                     |
| 5 საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე   | ISSN 0132-1447                     |
| 6 ტერმინოლოგიის საკითხები -თსუ-ს არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომათა კრებული | ISSN 1987-7633                     |
| 7 ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია (ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი)                             | ISSN 1512-2018                     |
| 8 ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები  | ISSN 2233-3363                     |
| 9 WEST-EAST  | ISSN 2587-5434<br>E ISSN 2587-5523 |

## წინამდებარე ჟურნალში ასახული პერიოდული გამოცემები

1. ენა და კულტურა. – 2019. – #22. – 2020. – #23.
2. პროფესიონალის ხმა. – 2019. – #1-2(14).
3. სამხრეთ კავკასია – არქეოლოგიური კონტექსტი. – 2020. – #1.
4. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი – სპექტრი. – 2020. – #3.
5. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2020. – ტ. 14. – #1.
6. ტერმინოლოგიის საკითხები - თსუ-ს არნ. ჩიქოზავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2020. – #4.
7. ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. – 2019. – 1(19). – #2(20).
8. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2019. – XVII-XVIII. – 2020. – XIX-XX.
9. WEST-EAST. – 2019. – ტ. 2/1. – #1.

## 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები

### 6.1. ისტორია და არქეოლოგია

#### 6.1.1. ისტორია

**6.1.1.1. წმინდანთა კულტისა და პოლიტიკური ლეგიტიმაციის საკითხები გვიანანტიკურ კავკასიაში.** /ნ. ალექსიძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2020. – ტ. 14. – #1. – გვ. 137-143. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

განხილულია გვიანანტიკური კავკასიის წმინდანთა კულტის რეგიონული თავისებურებები. სტატიის მთავარი არგუმენტია, რომ კავკასიური, ანუ ქართული, სომხური და ალბანური წყაროები ამკვიდრებენ განსხვავებულ კონცეპტებს, პრაქტიკებს და რიტორიკას აღმოსავლეთ რომის იმპერიის წმინდანებთან დაკავშირებულ დისკურსში. გვიანანტიკურ კავკასიურ წყაროებში შესაძლებელია წმინდანთა კულტისა და პოლიტიკურ დისკურსების დაკავშირების განსაკუთრებული მცდელობების წაკითხვა, განსაკუთრებით კი სამეფო ხელისუფლების ლეგიტიმაციის კონტექსტში. ამ მიზნისთვის სტატიაში განხილულია ორი ტექსტი: აგათანგელოსის მეხუთე საუკუნის „სომხეთის ისტორია“, ალბანური ანონიმური და რთულად დასათარიღებელი „ვაჩაგან მეფის ცხოვრება“, რომელიც არის „ალბანთა ისტორიის ნაწილი“. ასევე მოკლედ იმავე კონტექსტში მიმოხილულია ქართული „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. ტექსტებზე დაყრდნობით, სტატიის მთავარი არგუმენტია, რომ წმინდა ნაწილების პოლიტიზაცია, ერთი მხრივ, ნასესხებია აღმოსავლურ რომის იმპერიის რიტორიკიდან, განსაკუთრებით კი კონსტანტინეს და თეოდოსიოსის თანამედროვე ავტორებისგან, ხოლო მეორე მხრივ, ნასესხებია ირანული და ზოროასტრული სამეფო ხელისუფლების კონცეფციები. ამ გვიანანტიკური ტექსტების მიხედვით, წმინდა ნაწილების ფუნქციას პოლიტიკური წყობის ლეგიტიმაცია და სამეფო ხელისუფლების სანკტიფიკაცია ქრისტიანობის დასაწყისსა და აწმყო მდგომარეობას შორის ერთგვარი მეტაფიზიკური ხიდის გადებით და სამეფოსთვის და მისი მონარქისთვის მსოფლიო ხსნის ისტორიაში ცენტრალური ადგილის მინიჭებით. ლიტ. 6.

ავტ.

**6.1.1.2. განათლება საქართველოს პირველ რესპუბლიკაში (1918-1921).** /ნ. სონღულაშვილი/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2020. – ტ. 14. – #1. – გვ. 144-147. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ხელისუფლებამ არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა განახორციელა. მათ შორის იყო გარდაქმნები განათლების სფეროში. ქართული პოლიტიკური ელიტა ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის დროს მაქსიმალურად ცდილობდა ფართო ფენებში განათლების დონის ამაღლებას და, ბუნებრივია, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ეს საკითხი უპირველესი განხილვის საგანი გახდა. ეს პირველ რიგში გამოიხატებოდა სკოლების ნაციონალიზაციით, რომელსაც საფუძველი 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ ჩაეყარა და 1918 წლიდან ახალი აღმავლობა განიცადა. ეს ყოველივე კი დაკავშირებული იყო სკოლების რეორგანიზაციის პროგრამასთან, რაც პირველ რიგში გულისხმობდა ქართულ ენაზე სწავლა-განათლების წარმოებას და სასწავლო საგნებში: საქართველოს ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს გეოგრაფიის შეტანას. ლიტ. 1.

ავტ.



**6.1.1.3. ანტეფიქსის წარწერა წმიდა გიორგის მოხსენიებით ჩითახევის ეკლესიიდან და კვირიკე-წმიდის მონასტერი, საქართველო.** /თ. გოგოლაძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2019. – ტ. 13. – #1. – გვ. 182-187. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მოხსენიებული მისი ერთ-ერთი მოწაფის, ქრისტეფორეს მიერ დაარსებული კვირიკეწმიდის ლოკალიზაციის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებები არსებობდა. ქართული ნარატიული წყაროების მონაცემების გათვალისწინებით მეცნიერთა ერთი ნაწილი მას სოფელ საყუნეთთან მდებარე ნასოფლარ კვირიკესთან აიგივებს, მეორე ნაწილი ჩითახევის ცნობილ ეკლესიასთან, მესამე ნაწილი სოფელ ახალდაბის ახლოს მდებარე ფოთოლეთის ეკლესიასთან, ხოლო მეოთხე ნაწილი სოფელ ქვაბისხევის პირდაპირ მდებარე კვირიკეწმიდის სახელით ცნობილ სამონასტრო კომპლექსთან. ჩვენ ჩითახევის ანტეფიქსის წარწერისა და ფოთოლეთის ეკლესიის ნაკაწრის წარწერების შესწავლის შედეგად გამოვრიცხეთ ჩითახევისა და ფოთოლეთის ეკლესიების გაიგივება გრიგოლ ხანძთელის მოწაფის, ქრისტეფორეს მიერ დაარსებულ კვირიკეწმიდასთან. გარდა ამისა, მხედველობაში მივიღეთ ქართული ნარატიული წყაროების მონაცემები კვირიკეწმიდის სამონასტრო კომპლექსის შესახებ. წყაროებისა და ეპიგრაფიკული მასალის ურთიერთშეჯერების შედეგად გადავჭერთ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მოხსენიებული კვირიკეწმიდის ლოკალიზაციის საკითხი და მას მყარი არგუმენტების საფუძველზე ქვაბისხევის პირდაპირ მდებარე „კვირიკეწმიდის“ სახელით ცნობილ სამონასტრო კომპლექსთან ვაიგივებთ. აქედან გამომდინარე, სამონასტრო კომპლექსის აგების ქრონოლოგიას IX საუკუნის 40-იანი წლებით განვსაზღვრავთ. სურ. 1, ლიტ. 15.

ავტ.

**6.1.1.4. სავაჭრო ურთიერთობები რომის იმპერიასა და იბერიის სამეფოს შორის ახ. წ. I-III სს-ში.** /ქ. შავლაყაძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2020. – ტ. 14. – #1. – გვ. 155-159. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, სამთავროს სამაროვანზე (ყოფილი იბერიის სამეფო), კრამიტსამარხებში, 1938-1958 წლებში აღმოჩენილი იმპორტული მინის ჭურჭლის შესწავლას, მათი პარალელების მოძიებას და ამის საფუძველზე იბერიის რომის იმპერიასთან კავშირებისა და სავაჭრო ურთიერთობების იდენტიფიცირებას. სამთავროს სამაროვნის კრამიტსამარხები ახ.წ. I-III საუკუნეებს განეკუთვნება და ამ პერიოდის სამარხებს შორის რაოდენობით პირველ ადგილზე დგას. მინის სანელსაცხებლები და საცრემლეები ახ.წ. I-III საუკუნეებში იბერიაში, სავარაუდოდ სირიიდან არის შემოტანილი, რომელიც ამ დროს რომის იმპერიის გავლენის ქვეშ იყო. ყველა მათგანი საბერავი მილის გამოყენებით არის დამზადებული. იბერიის გარდა მსგავსი სანელსაცხებლები აღმოჩენილია რომის იმპერიის პროვინციებსა და მის შემოგარენში (მაგ. ჩრდილო შავიზღვისპირეთი, სამხრეთ კავკასია და ა.შ.). იმის გამო, რომ მცხეთა (იბერიის დედაქალაქი) აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელ, სავაჭრო გზაზე მდებარეობდა, სხვადასხვა ფუფუნების საგნები, როგორცაა სურნელოვანი ზეთი სანელსაცხებლებით, წამლები და სუნამოები მინიატურული საცრემლეებით შემოდიოდა ადგილობრივი არისტოკრატიის კოსმეტიკური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. წინამდებარე ნაშრომში ნაჩვენებია, რომ სირიული იმპორტული მინის სანელსაცხებლები მცხეთაში სომხეთის გზით ხვდებოდა და შემდეგ ნაწილდებოდა იბერიის სხვადასხვა საქალაქო ცენტრებში. სურ. 2, ლიტ. 10.

ავტ.

**6.1.1.5. ტიუდორების არქივში დაცული საინტერესო ცნობა და ქართველთა ბრძოლა წმინდა ადგილებისათვის.** /გ. კალანდია/. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი სპექტრი. – 2020. – #3. – გვ. 148-151. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ნაშრომში განხილულია ინგლისის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ტიუდორების არქივის ბეჭდური კოლექციის ერთი დოკუმენტი. კერძოდ, ინგლისის სახელგანთქმული ხელმწიფის ჰენრი VIII-ის კანცელარიისათვის განკუთვნილი 1514 წლის ლათინური წერილი „The Holy Sepulchre“ ანუ „წმინდა საფლავი“. დოკუმენტი მოგვითხრობს წმინდა მიწაზე გოლგოთისათვის ქართველთა ბრძოლის შესახებ. XVI საუკუნეში, როგორც ირკვევა, ქართული ქრისტიანული თემი ახერხებდა იერუსალიმში საერთაშორისო თუ რელიგიური პროცესების ისე წარმართვას, რომ მოვლენები ევროპელი მონარქების ყურადღების ცენტრში ექცეოდა. ლიტ. 11.

ავტ.

## 6.1.2. არქეოლოგია

**6.1.2.1. ახალი ხედვა კავკასიის შესახებ ძველი ცივილიზაციების სისტემაში.** /ვ. ფიცხელაური/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2019. – ტ. 13. – #1. – გვ. 188-195. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

საქართველოს არქეოლოგიური კვლევა-ძიების წარმართვა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით და მონაპოვარი მასალის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძველზე გაანალიზება შექმნის მონაცემთა მნიშვნელოვან ინოვაციურ ბაზას, რომელიც სწორი მიმართულებით წარმართავს კვლევით პროცესს და კავკასიას თავის კუთვნილ ადგილს დაუმკვიდრებს მახლობელი აღმოსავლეთის ცივილიზაციების სისტემაში. ლიტ. 21.

ავტ.

**6.1.2.2. არქეოლოგია უძველეს ქართულ ოქრომჭედლობაში გამოყენებული ზოგიერთი ტექნოლოგიური ხერხი და ინსტრუმენტი.** /ე. მალრადე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2020. – ტ. 14. – #2. – გვ. 122-126. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ნაშრომში შესწავლილ-იდენტიფიცირებულია უძველეს ქართულ საოქრომჭედლო სახელოსნო-ებში გამოყენებული ზოგიერთი ტექნოლოგიური ხერხი და ხელსაწყო-ინსტრუმენტი. საიუველირო ხასიათის ძველ წერილობით წყაროებში მოცემულ ინფორმაციის გათვალისწინებით, რომლებიც შეეხებოდა ძვირფასი ლითონის დამუშავებასა და მსოფლიოს საიუველირო პრაქტიკაში გამოყენებულ საჭირო სპეციფიკურ ინსტრუმენტებს. ამ წყაროებში მოცემული თეორიული და პრაქტიკული ინფორმაციის შესწავლის, ასევე ჩატარებული ცდა-ექსპერიმენტების შედეგად დადასტურდა, რომ ანალოგიური ხერხებითა და ტექნიკური ხელსაწყოებითაა შექმნილი ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისის არტეფაქტი - მოგავარსებული აპლიკაციებით დამშვენებული ე.წ. თრიალეთის ოქროს თასი. აღნიშნული ძველი საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმის საგანძურის ფონდშია დაცული. სურ. 6, ლიტ. 6.

ავტ.

**6.1.2.3. ქალკოლითური დასახლება ბრინჯაოს მღვიმეში, ცუცხვათის მღვიმოვანი, საქართველო, იმერეთი.** /ნ. ცქვიტინიძე, ნ. წიქარიძე, ე. ყვავაძე, დ. ლორთქიფანიძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2020. – ტ. 14. – #2. – გვ. 127-131. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

წარმოდგენილია ცუცხვათის მღვიმოვანში, კერძოდ, ბრინჯაოს მღვიმეში ახლად აღმოჩენილი ქალკოლითური მასალის კვლევის შედეგები. დასავლეთ საქართველოს ქალკოლითური ძეგლების სიმწირე ბრინჯაოს მღვიმეში აღმოჩენილი მასალის მნიშვნელობას ზრდის და სიახლეს წარმოადგენს. საქართველოს ქალკოლითური კულტურა ძალზე თავისებურია. მას ბევრი საერთო აქვს როგორც წინამორბედ ნეოლითურ, ასევე მომდევნო ადრეებრინჯაოს კულტურებთან. ნეოლითთან სიახლოვის მიუხედავად, ქალკოლითში უკვე ჩნდება ამ კულტურისგან

განმასხვავებელი ნიშნები, რომლებიც ქვის ინდუსტრიის და კერამიკის თავისებურებებში გამოიხატება: ქვის დასამუშავებლად ძირითადად წნევით ატკეცვის ტექნიკა გამოიყენება, ხოლო კერამიკა კარგავს დეკორატიულ ელემენტებს და უფრო ფუნქციურ დატვირთვას იძენს. სპილენძის იარაღებისა და ტიგელების აღმოჩენა ცივად ჭედვისა და მეტალურგიის ჩასახვაზე მიგვანიშნებს. წინათ მიიჩნევდნენ, რომ ბრინჯაოს მღვიმის ზედა ფენები მხოლოდ ადრე ბრინჯაოს ხანას განეკუთვნებოდა, თუმცა მოპოვებული მასალის შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე, ბრინჯაოს მღვიმე ქალკოლითის ეპოქაშიც დასახლებული ჩანს, იმ დროს ბრინჯაოს მღვიმე მუდმივ ან დროებით საცხოვრებლად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ეს აღმოჩენა გვაძლევს მნიშვნელოვან ინფორმაციას, ამდიდრებს დასავლეთ საქართველოს ქალკოლითის მწირ კოლექციებს. ძეგლისთვის სიახლეს წარმოადგენს და ბოლოს ეს კვლევა მნიშვნელოვანია ძეგლის ფორმირების ჰოლისტური გააზრებისთვის. სურ. 4, ლიტ. 14.

ავტ.

**6.1.2.4. დმანისის ძეგლის არქეოლოგია და ფორმირების პროცესი M6 უბნის მონაცემების მიხედვით.** /თ. შელია, რ. ფერინგი, მ. თაფენი, მ. ბუხსიანიძე, დ. ლორთქიფანიძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2020. – ტ. 14. – #1. – გვ. 148-154. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

დმანისის პალეოლითური ძეგლის გათხრების M6 უბნის შესწავლის შედეგად გამოვლინდა მნიშვნელოვანი მონაცემები ძეგლზე ჰომინინების განსახლების ხასიათსა და ქცევის თავისებურებაზე. გეოარქეოლოგიურმა კვლევამ და ნამარხი ფაუნის ანალიზმა აჩვენა, რომ M6 იყო ადგილი, სადაც მასალა დიდი ალბათობით in situ მდგომარეობაში განამარხდა. ინდუსტრიის ანალიზის შედეგად ქვის იარაღების დამუშავების დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა, თითო ნუკლეუსზე მცირე რაოდენობის ანატკეცით, რაც კორელაციაშია ფაუნის ანალიზის შედეგებთან. ძვლების ფრაგმენტების რაოდენობა მეტია მთელ ძვლებთან შედარებით. მკვეთრი განსხვავება ძვლების და ქვების თანაფარდობაშიც (1156/72) ადასტურებს, რომ აქ მტაცებლების და ადამიანების მიერ ძვლების დაგროვების ადგილი იყო. M6-ის კვლევის შედეგად დასტურდება, რომ დმანისი ქვედა პალეოლითში მრავალჯერადი განსახლების და განსხვავებული ქცევის ამსახველი არეალებისგან შემდგარი კომპლექსური ძეგლია, რაც ქვედა პალეოლითში მსოფლიოს მასშტაბით, ძალზედ იშვიათია. სურ. 1, ცხრ. 4, ლიტ. 7.

ავტ.

**6.1.2.5. შირაქის ველის პალეოგარემოს რეკონსტრუქცია - პირველი სახელმწიფო ფორმირებების კვალი სამხრეთ კავკასიაში. კვლევის პირველადი შედეგები.** /ვ. ფიცხელაური/. სამხრეთ კავკასია – არქეოლოგიური კონტექსტი. – 2020. – #1. – გვ. 28-42. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

თანამედროვე არქეოლოგია დიდი ხანია გასცდა მხოლოდ ადამიანის კულტურული მემკვიდრეობის კვლევას და მიზნად ისახავს ადამიანისა და ისტორიული გარემოს, როგორც მთლიანობის შესწავლას. ნებისმიერი რეგიონისა და ეპოქის საზოგადოების წარსულის კვლევა უნდა იწყებოდეს თანადროული პალეოგარემოს დახასიათებით, რადგან სწორედ ამ ცვალებად, ეპოქალურად განსხვავებულ საფუძველზეა აგებული საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განვითარების მთელი სისტემა. ამგვარად, თუ დასაწყისშივე არ მოხდა ცალკეული ეპოქის პალეოგარემოს რეკონსტრუქცია, ნებისმიერი საზოგადოების წარსულის სათანადო გააზრების ყველა მცდელობა მნიშვნელოვანი ხარვეზებით წარიმართება, არ იქნება დაზღვეული არსებითი შეცდომებისგან და ჭეშმარიტების დადგენა გაძნელებდა. სურ. 8, ცხრ. 1, ლიტ. 6.

ავტ.

**6.1.2.6. სელის კულტურის გეოპოლიტიკური კონტექსტი ძველ კოლხეთში.** /დ. ლომიტაშვილი/. სამხრეთ კავკასია – არქეოლოგიური კონტექსტი. – 2020. – #1. – გვ. 13-26. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

ნოქალაქევის ექსპედიციის მონაპოვარმა, საგულისხმო მასალა მოგვცა კოლხეთში სელის წარმოების განვითარებასთან დაკავშირებით. ნოქალაქევის ნაქალაქარის ქვედა ტერასის ცენტრალურ და აღმოსავლეთ მონაკვეთებზე (სადაც ქ.წ. VIII-I სს. დათარიღებული არქეოლოგიური ძეგლების განსაკუთრებული კონცენტრაცია შეინიშნება), უამრავ სხვადასხვა ფორმისა და მასალის კვირისტავთან ერთად, ვერტიკალური საქსოვი დაზგის თიხის პირამიდული საწაფები გამოვლინდა. კოლხეთში არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული და მოცემულ სტატიაში ჩამოთვლილი ნიმუშები, დაწყებული ქ.წ. II ათასწლეულიდან, ელინისტური ხანის ჩათვლით, მხარს უჭერს, ე.წ. ვერტიკალური საქსოვი დაზგების გავრცელება-გამოყენების თეორიას. ჩვენ ვემხრობით იმ მოსაზრებას, რომ კოლხეთში, სხვადასხვა პერიოდის ძეგლებზე აღმოჩენილი კერამიკული პირამიდული საწაფები, ნამდვილად ვერტიკალური საქსოვი დაზგების საკიდრებია. არქეოლოგიური მონაცემები დროის თვალსაზრისით უპირატესობას ვერტიკალურ საქსოვ დაზგებს ანიჭებს. რაც შეეხება ჰორიზონტალურ საქსოვ დაზგას, ის ცხადია, გარკვეული დროიდან ვერტიკალურ დაზგასთან თანაარსებობს. ნოქალაქევის ნაქალაქარზე გამოვლენილი მონაპოვარი შეიძლება ჩაითვალოს კიდევ ერთ მტკიცებულებად ჰიპოთეზისა, რომ ქართული საქსოვი დაზგები, რომლებიც სიღრმისეული თვითმყოფადობით ხასიათდება, ისტორიულად ვითარდებოდა და უმჯობესდებოდა; მათი განვითარების პროცესები არ მიმდინარეობდა იზოლაციის პირობებში. ისინი თავიანთი საწყისი ფორმებით ძველი ხალხების კულტურულ მონაპოვართა წრეში ექცევა. ლიტ. 39.

ავტ.

**6.1.2.7. ახალი აღმოჩენები ორთვალა კლდეში, პალეოლითის ახლებური ხედეა და კვლევის ახალი ამოცანები.** /ნ. თუშაბრამიშვილი/. სამხრეთ კავკასია – არქეოლოგიური კონტექსტი. – 2020. – #1. – გვ. 43-71. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

ჯერ კიდევ 1994 წელს გამოითქვა მოსაზრება მასზე, რომ საქართველოში არსებობდა შუა პალეოლითიდან ზედა პალეოლითზე გარდამავალი პერიოდი, რომ შესაძლოა თანამედროვე და ნეანდარტალელი ადამიანები თანაცხოვრობდნენ, თანაარსებობდნენ. 2018 წლის მიწურულს საზღვარგარეთ ჩატარებულმა ახალმა ლაბორატორიულმა კვლევებმა ფაქტიურად დაადასტურა განსაზღვრული ეპოქები, მიახლოებითი თარიღები და თანაარსებობის თეორიული ვარაუდი. ანუ, დღეს უკვე მულტიდისციპლინური კვლევების შედეგად საფუძვლიანად სავარაუდოა, რომ შუა პალეოლითური ინდუსტრია შესაძლოა, ეკუთვნოდეს ნეანდერტალელებსაც და ჰომო საპიენსებსაც. მოცემული დეფინიცია შეცვლის მსოფლიო პრეისტორიკოსების დამოკიდებულებას შუა პალეოლითის ინდუსტრიებისადმი. აუცილებელია საქართველოს პალეოგარემოს გარკვეული საკითხების ხელახალი შესწავლა, მით უმეტეს, რომ ორთვალა კლდეში სულ ახლახან აღმოჩნდა პლეისტოცენის ეპოქის მაკავას ნაშთი. სტატიაში, აგრეთვე, მოცემულია კვლევის შედეგები, რომლებიც ადასტურებს ორი პოპულაციის - ნეანდერტალელებისა და თანამედროვე ადამიანების თანაცხოვრებას ორთვალა კლდეში. სურ. 20, ცხრ. 11, ლიტ. 56.

ავტ.

**6.1.2.8. რეცენზია მ. კაზანსკის სტატიაზე - ფართო დამარხვის წესები გვიანანტიკური ხანის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში.** /ი. ანჩაბაძე/. სამხრეთ კავკასია – არქეოლოგიური კონტექსტი. – 2020. – #1. – გვ. 72-79. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

ნაშრომში განხილულია შავი ზღვისპირეთში (მათ შორის აფხაზეთის ტერიტორიაზე) აღმოჩენილ გვიანანტიკური ხანის რამდენიმე უმბონიან სამარხი და აღნიშნულია სამარხში ჩაყოლების, ე.წ., გერმანულ, თრაკიულსა და რომანიზებული აღმოსავლეთის ტრადიციების რამდენიმე სავარაუდო წარმომავლობა. სტატიაში კრიტიკული განხილვის შედეგად, მთელ რიგ

არქეოლოგიურ ფაქტებზე დაყრდნობით მოცემული რეცენზია აღნიშნული ტრადიციის მყარი, ადგილობრივი ფესვების არსებობაზე მიუთითებს. ლიტ. 21.

ავტ.

**6.1.2.9. პიტიახში ანტიკური ხანის იბერიაში.** /ზ. ბრაგვაძე/. სამხრეთ კავკასია – არქეოლოგიური კონტექსტი. – 2020. – #1. – გვ. 80-93. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

1902 წელს, სოფელ ბორში ნაპოვნი არქეოლოგიური არტეფაქტები ინახება სანკტ-პეტერბურგის „ერმიტაჟში“. მასალებს შორის განსაკუთრებით საინტერესოა ვერცხლის თასი არამეული წარწერით: „კეთილი პიტიახშ ბუზმიჰრი“. ამ წარწერით ცნობილი გახდა, რომ რომაული ეპოქის იბერიის სამეფოში არსებობდა პიტიახშის ინსტიტუტი. რა თქმა უნდა, საინტერესოა, არის თუ არა პიტიახშის საძვალე ის სამარხი, რომელშიც აღმოჩნდა აღნიშნული ნივთი. საქმე ის არის, რომ ბორში არ გვხვდება სარკოფაგები და აკლდამები, მხოლოდ ორმოსამარხებია, რაც ჩემი აზრით, გამორიცხავს აქ პიტიახშის განსასვენებლის არსებობას და ის მდიდრული ინვენტარით, რომელიც აღმოჩენილია წარწერიან თასთან ერთად, პიტიახშის საკუთრება არ არის. უფრო სარწმუნოა, რომ ეს თასი პიტიახშ ბუზმიჰრის ნაჩუქარია. რომაული ხანის იბერიის სამეფოში მსგავსი შემთხვევა არაერთია ცნობილი. კონკრეტულად სად არის ბუზმიჰრი პიტიახშის სამარხი? ამ კითხვაზე პასუხი ჯერ არ არის ცნობილი. სტატიაში სხვა საკითხებთან ერთად განხილულია არმაზისხევის სამაროვნის პიტიახშების ქრონოლოგიური რიგი და გამოთქმულია ვარაუდი, რომ პიტიახშები დაკრძალული არიან მხოლოდ ნომერ 1, 2 და 3 სამარხებში. ასევე მოცემულია პიტიახშის სამარხებისა და არმაზისხევის ნაგებობების ურთიერთმიმართების საკითხი და გამოთქმულია მოსაზრება, რომ შენობები სამარხებზე ადრეულია. I საუკუნის 70-იან წლებში (არა უგვიანეს ქ.შ. 75 წ.) საცხოვრებელი განადგურდა მიწისძვრის შედეგად და მას აქვთ ეს ტერიტორია გამოიყენებოდა არმაზისხევის პიტიახშებისა და მათი ოჯახის წევრების სასაფლაოდ. ლიტ. 43.

ავტ.

**6.1.2.10. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ხელოვნურად დეფორმირებული ადრეული შუა საუკუნეების თავის ქალების წარმომავლობა და ისტორიული მნიშვნელობა.** /ნ. თავართქილაძე/. სამხრეთ კავკასია – არქეოლოგიური კონტექსტი. – 2020. – #1. – გვ. 94-116. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

ნაშრომი „სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ხელოვნურად დეფორმირებული თავის ქალების წარმომავლობა და ისტორიული მნიშვნელობა“ შესწავლილია სამთავროს სამაროვანზე ადრეული შუა საუკუნეების დღემდე მოპოვებული ნორმალური და ხელოვნურად დეფორმირებული თავის ქალები, რომლებიც დაცულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიაში. თავის ქალების გარდა გამოყენებულია ამავე ინსტიტუტში დაცული კრანოლოგიური კატალოგი და ყოველი თავის ქალას ინდივიდუალური ბლანკი. ნაშრომი, ასევე ეყრდნობა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში არსებული დავთრების ინფორმაციას, რომელთა საფუძველზე მოპოვებულია ცნობები სამთავროს სამაროვნის ადრეული შუა საუკუნეების სამარხების ტიპების, დაკრძალვის წესისა და არტეფაქტების შესახებ. ნაშრომში განხილულია თავის ქალას დეფორმაციის ტიპები, დაკრძალულთა სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, ფიზიოლოგიური სტრესის მარკერები და ანომალიების სიხშირე ამ პერიოდის მოსახლეობაში. ასევე განსაზღვრულია ინვენტარის გადანაწილება დეფორმანტთა და არადეფორმანტთა შორის იმის დასადგენად იყენენ თუ არა დეფორმანტები ელიტარული ფენის წარმომადგენლები. შედგენილია ცხრილები სამთავროს სამაროვანზე მოპოვებული დეფორმირებული და არადეფორმირებული თავის ქალების სქესისა და ასაკის განაწილების მიხედვით, რაც ნათელ სურათს იძლევა დეფორმანტთა და არადეფორმანტთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობასთან დაკავშირებით. დეფორმაციის მიზეზის დასადგენად განხილულია ისტორიული წყაროები

და საბოლოოდ შეჯამებულია მიზეზები, თუ რატომ მიმართავდა თავის ქალას ხელოვნურად დეფორმაციის პრაქტიკას მცხეთის მოსახლეობა. სურ. 7, ცხრ. 7, ლიტ. 28.

ავტ.

**6.1.2.11. ადამიანის გავრცელება კავკასიაში უკანასკნელი გამყინვარების უცივეს და უმშრალეს პერიოდში.** /ა. გავაშელიშვილი/. სამხრეთ კავკასია – არქეოლოგიური კონტექსტი. – 2020. – #1. – გვ. 117-132. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

მას შემდეგ, რაც ანატომიურად თანამედროვე ადამიანი წარმოიშვა, მემკვიდრეობით კლონურად გადაცემულ დნმ-ში (მაგალითად, Y-ქრომოსომა და მიტოქონდრიული დნმ) დაგროვდა გენეტიკური მრავალფეროვნება, რითიც დგინდება ადამიანის წარმოშობისა და ევოლუციის გზები. სტატიაში მოცემულ კვლევაში გამოყენებულია Y-ქრომოსომული შტოები (ანუ მამური შტოები), რომლებიც წარმოიშვა უკანასკნელი გამყინვარების დროს. საკვლევი ჰიპოთეზის თანახმად გეოლოგიურ წარსულში უმთავრესი მოვლენა, რომელსაც შეეძლო გამოეწვია გენეტიკური განსხვავებები ადამიანთა პოპულაციების ერთმანეთისგან რეპროდუქტიულად დაშორებით (ე.ი. იზოლაციით), იყო გამყინვარების პერიოდის ტემპერატურული მინიმუმების თანმიმდევრობა. ავტორის ჰიპოთეზა მოტივირებული იყო იმით, რომ ტემპერატურულ მინიმუმთა თარიღები თითქმის ემთხვეოდა მამური შტოების წარმოშობის სხვა მკვლევარების მიერ ნავარაუდევ პერიოდებს. შესაბამისად, ამ მინიმუმების დროს ბიომების გავრცელებას უნდა მოეხდინა გავლენა მამური შტოების წარმოქმნასა და გავრცელებაზე. სურ. 1, ცხრ. 6, ლიტ. 1.

ავტ.

## 6.2. ენა და ლიტერატურა

### 6.2.1. ენების ზოგადი კვლევები

**6.2.1.1. სახელის ფუძის განსაზღვრის მეთოდოლოგიური ასპექტები ქართულში.** /რ. გერსამია/. ენა და კულტურა. – 2019. – #22. – გვ. 14-20. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

სახელის ფუძე ის მონაცემია, რომელსაც უკავშირდება მისი ლექსიკური მნიშვნელობა და სტრუქტურულად ყველა ფლექსიური აფიქსის ჩამოშორებით მიიღება. -ებ მორფემის ფუნქციები დგინდება სინტაგმატური და პარადიგმატული მიმართებებით, მორფემათა რანგობრივი სტრუქტურის ანალიზით, ის აღნიშნავს სემანტიკურ სიმრავლეს და აწარმოებს რიცხვის (მრავლობითის) გრამატიკულ კატეგორიას, ანუ მას აქვს როგორც დერივაციული, ისე ფლექსიური აფიქსის სტატუსი, რომელიც დერივაციულ და ფლექსიურ მოდელებში მისი პოზიციის განსაზღვრით დგინდება. ლიტ. 6.

ავტ.

**6.2.1.2. ქართული ჟესტური ენის ზმნის პირიანობა.** /თ. მახარობლიძე/. ენა და კულტურა. – 2019. – #22. – გვ. 31-40. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ქართულ ჟესტურ ენაში, ისევე როგორც სხვა ჟესტურ და სამეტყველო ენებში, ზმნას შეიძლება ჰქონდეს სუბიექტი და ობიექტები. როგორც ცნობილია, ჟესტური ენები მრავალპირიანი ზმნების მქონე ენებია, თუმცა თავად პირიანობისა და ვალენტობის ცნებათა გაგება ამ ენებში განსხვავებულია სამეტყველო ენების შესაბამისი კატეგორიებისაგან. პოლიპერსონალურია (ანუ ინკორპორირებულია) ზმნის ფორმა, რომელსაც შეუძლია კინეტიკურად ასახოს ობიექტისკენ მიმართული ან ორიენტირებული დინამიკა. ჟესტურ ენებში ვალენტობა უტოლდება პირიანობის ცნებას, სამეტყველო ენებში კი ეს ცნებები განსხვავებულია. პირიანობა ჟესტურ

ენებში გაგებულია, როგორც ობიექტისკენ ორიენტირებული კინეტიკური ვექტორი. ზოგადად, ჟესტური ენები, როგორც სივრცითი განზომილების ვიზუალური ენები, პირიანობისა და ვალენტობის ცნებებს სივრცით ვექტორულ დინამიკას უკავშირებენ. ჟესტური ენების ვალენტობის ანალიზისას ამოსავალი არ არის ზმნის ლექსიკურ-სემანტიკური არსი, სამეტყველო ენების სათანადო ლოგიკური ანალიზისგან განსხვავებით. ეს მოცემულობა აუცილებლად გასათვალისწინებელია ფართო ტიპოლოგიური თვალსაზრისით, რადგანაც ასეთ მიდგომას უდიდესი ცვლილებები შეაქვს ვალენტობისა და პირიანობის ტიპოლოგიურ ანალიზში. ლიტ. 33.

ავტ.

**6.2.1.3. საქართველოში კორპუსის ლინგვისტიკის, როგორც ახალი ინტერდისციპლინური მიმართულების ისტორია (კორპორა და ვებკორპორა) /ნ. კენჭიაშვილი/. ენა და კულტურა. – 2020. – #23. – გვ. 38-50. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.**

წინამდებარე კვლევის მიზანია წარმოაჩინოს კორპუსის ლინგვისტიკის, როგორც ციფრული ჰუმანიტარიისა და ლინგვისტიკის ახალი ინტერდისციპლინური ქვედარგის, ადგილი და როლი ქართულ მეცნიერებასა და უმაღლესი სასწავლებლების საგანმანათლებლო მიმართულებებს შორის. ასევე განხილულია ქართული ენის დოკუმენტირებასთან დაკავშირებული ელექტრონული რესურსები და რაც მთავარია, ქართული კორპორა და ვებკორპუსი. კორპუსლინგვისტიკის პოპულარიზებას საქართველოში ხელი შეუწყო ფრანკფურტის გოეთეს სახელობის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებმა: ი. გიპერტმა, მ. თანდაშვილმა და სხვ. 2012 წლიდან მოყოლებული ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ტარდება საზაფხულო და ზამთრის სკოლები კორპუსლინგვისტიკაში, დიგიტალურ ქართველოლოგიასა და დიგიტალურ ჰუმანიტარიაში. საქართველოში კორპუსის ლინგვისტიკის განვითარების კვალდაკვალ, შეიქმნა უამრავი, სხვადასხვა სახის კორპუსი, თუ ვებკორპუსი, რაც მნიშვნელოვანი ფაქტია. ლიტ. 26.

ავტ.

**6.2.1.4. კულტურა ლინგვოდიდაქტიკური კონცეპტოლოგიის სივრცეში. /ე. ტარევა/. WEST-EAST. – 2019. – ტომი 2/1, N1. – გვ. 123-127. – რუს.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.**

DOI: <https://doi.org/10.33739/2587-5434-2019-2-123-127>

სტატია ეხება მეთოდოლოგიურად ღირებულ პრობლემას, რომელიც უცხოური ენების სწავლების მეთოდის სფეროში არსებული მეცნიერული ცოდნის განვითარების ძირითად პროცესებს ასახავს. მასში განხილულია კულტურა, როგორც ერთ-ერთი საკვანძო კონცეპტი „კონცეპტოლოგიასა“ და „ლინგვოკონცეპტოლოგიაში“. აღწერილია უცხოური ენების სწავლების ძირითადი ღირებულებები და ნაჩვენებია, თუ საკვანძო კონცეპტის ევოლუცია როგორ ასახავს მეცნიერული ცოდნის განვითარებას. კვლევის ობიექტს წარმოადგენს ლინგვისტურ საგანმანათლებლო პერსპექტივაში დანახული ცნება „კულტურა“. ავტორი განიხილავს იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ ცნების ტრანსფორმაციაზე და დასძენს, რომ ისინი დამოკიდებულნი არიან საგანმანათლებლო პარადიგმის ცვლილებაზე. ლიტ. 19.

ავტ.

**6.2.1.5. რუსული ენის, როგორც უცხო ენის სწავლება ენობრივი გარემოს გარეთ (სერბულ-რუსული ენათშორისი ომონიმები რუსული ენის სწავლებაში). /გ. ნაუმოვიჩი/. WEST-EAST. – 2019. – ტ. 2. – #1. – გვ.127-130. – რუს.; რეზ.: ინგლ., რუს., ქართ.**

DOI: <https://doi.org/10.33739/2587-5434-2019-2-127-130>

ცნობილი ფაქტია, რომ კულტურას განსაზღვრავს მშობლიური ენა. დღესდღეობით არაფილოლოგ სერბ სტუდენტებში შეინიშნება ხშირი შეცდომები რუსულ ენაში. ზოგადად

ერთი ენობრივი ჯგუფის ენები, რომელთაც ახლონათესაურს უწოდებენ (მაგალითად სერბული და რუსული) უფრო ადვილად ათვისებადია ვიდრე ნაკლები ნათესაობის მქონე ენები (მაგალითად სერბული და ინგლისური). საკმაოდ სწრაფად მიიღწევა ზეპირი თუ წერილობითი მეტყველების გაგება, რადგან მრავალი სიტყვა უკვე გასაგებია. ენების ამგვარი სიახლოვე იწვევს მათი სწრაფად და ადვილად ათვისების ილუზორულ თვითდარწმუნებას. არადა მსგავსი სიტყვა შესაძლებელია მთარგმნელის ყალბი მეგობარი აღმოჩნდეს. სტატიაში წინა პლანზე წამოწეულია შეცდომების გამომწვევი რეალური მიზეზები. ასევე განხილულია, თუ როგორ კარგავს სერბეთში რუსული ენა თავის აქტუალობას და როგორ ჩაანაცვლებს მათ ინგლისური. ლიტ. 4.

ავტ.

**6.2.1.6. ჩინური სიმბოლიკა რუსულ ვერბალურ კულტურაში (რუსული ენის სწავლების ასპექტში).** /ვ. აბრამოვა, ი. არხანგელსკაია/. WEST-EAST. – 2019. – ტ. 2. – #1. – გვ.130-135. – რუს.; რეზ.: ინგლ., რუს., ქართ.

DOI: <https://doi.org/10.33739/2587-5434-2019-2-131-135>

სტატიის ავტორები წარმოგვიდგენენ საკუთარ გამომუშავებულ და უკვე აპრობირებულ მეთოდებს, რომელიც ეხმარება ჩინელ სტუდენტებს იმ რუსული ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ერთეულების ათვისებაში, რომლებიც ასახავენ ჩინეთსა და ჩინელებს. მაგალითად, სიტყვა ჩინელი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ემპაკობის სიმბოლო. შესიტყვება ჩინური კედელი, როგორც აუღებელი ციხე-სიმაგრის ან ნაგებობის არანორმალური სიგრძის სიმბოლო. ენის ამგვარი ნიუანსების წინასწარი ახსნა თავიდან ააცილებინებს კულტურულ შოკს ჩინელ სტუდენტებს. ცხრ.1, ლიტ. 12.

ავტ.

**6.2.1.7. კულტურების კონტაქტი და ღირებულებათა კონფლიქტი უცხოური ენის სწავლებაში.** /ლ. ბოგდანოვა/. WEST-EAST. – 2019. – ტ. 2. – #1. – გვ.139-143. – რუს.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

DOI: <https://doi.org/10.33739/2587-5434-2019-2-139-143>

განხილულია მშობლიური და უცხო კულტურული ღირებულებების ურთიერთგავლენა უცხოური ენის სწავლების პროცესში. სტატიის მიზანს შეადგენს – აჩვენოს უნივერსალური და კერძო ეროვნული იმ ენების კონტინუუმში, რომლებიც ურთიერთქმედებაში შედიან უცხოური ენის სწავლების პროცესში. რუსული ენის მაგალითზე ნაჩვენებია, თუ როგორ აისახება ენის სწავლებაში კულტურული ღირებულებები, რომლებიც ცვალებადია ენიდან ენაში. ერთი და იმავე საგნისადმი დამოკიდებულების სტრუქტურა ხშირად არ ემთხვევა სხვადასხვა ენებში. მსგავსი გამოცდილების ადამიანებსაც კი განსხვავებული შეხედულება უყალიბდებათ მოვლენებზე, თუკი ისინი სხვადასხვა კულტურულ გარემოს ეკუთვნიან. სტატიაში დასაბუთებულია უცხოური ენების სწავლების პროცესში კულტურული კოდების გათვალისწინების აუცილებლობა. ლიტ. 19.

ავტ.

**6.2.1.8. ემოციების კულტურული სპეციფიკის ლექსიკური გამოვლინებები (რუსული ენის, როგორც უცხოური ენის კონტექსტში).** /ე. ფატიუშინა, ვ. პოპოვა/. WEST-EAST. –2019. – ტ. 2. – #1. – გვ.147-151. – რუს.; რეზ.: ინგლ., რუს., ქართ.

DOI: <https://doi.org/10.33739/2587-5434-2019-2-147-151>

კვლევის მიზანია ენის ლექსიკაში ემოციების კულტურული სპეციფიკის გამოვლინებებისა და გამოყენების აღწერა, ასევე ამ სპეციფიკის გამოყენება მეორე ენობრივი პიროვნების ჩამოყალიბების მიზნით უცხოური ენის სწავლების პროცესში. სტატიაში გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: შედარებითი, კონტექსტუალური ანალიზი, ქეის-სტადი, ანკეტირება.



ლექსიკური გზით ემოციების კულტურული სპეციფიკა მრავალნაირად გამოიხატება: ამ ემოციების დეტალიზაცია, რომელიც სინონიმების სიმრავლეშია ასახული, ანდა დამატებითი ლექსიკური ერთეულების შემოყვანით; სხვადასხვა ენის ემოციური ლექსიკა განსხვავდება პოტენციური სემებისა და მათ მიერ გამოწვეული სიტყვახმარების ასპექტში. უცხოური ენის სწავლების პროცესში გასათვალისწინებელია სინონიმთა რიგის დეტალური ანალიზი, სიტყვახმარება და სიტყვის კომბინატორული თვისებები, ასევე კონოტაცია. ლიტ. 15.

ავტ.

**6.2.1.9. ევიდენციალურ-ეპისტემიკური მწკრივების კვალიფიკაციის საკითხი მეგრულში. /მ. ლომია/. ენა და კულტურა. – 2020. – #23. – გვ. 51-57. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.**

ნაშრომში განხილულია ეპისტემიკურ-ევიდენციალური შინაარსის მწკრივების კვალიფიკაციის საკითხი მეგრულში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ზმნური ფორმები ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში შენიშნული, გამოყოფილი და აღწერილი იყო ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულიდან, თუმცა მათ სხვაგვარი კვალიფიკაცია ჰქონდათ. როცა ევიდენციალურ-ეპისტემიკური ფორმების ორგანულ (მორფოლოგიურ) წარმოებაზე საუბარი, იგულისხმება საუღლებელი ზმნითა (აწმყოს კავშირებითის ან პირობითი I-ის მწკრივებით) და დამხმარე საშუალებით (იწი/იწუაფუ „იქნება“, იწიდუ/იწუაფუდუ „იქნებოდა“) გადმოცემული რთული ფორმები. ამ ფორმათა გამოყოფის ისტორია თავიდან მჭიდროდ დაუკავშირდა მყოფადის წარმოებას და ორივე ტიპის ფორმებს ეწოდა: **მყოფადუსრული**: ჭარუნდას იწი/იწუაფუ „წერდეს იქნება“; ჭარუნდუკო იწიდუ/იწუაფუდუ „წერდეს იქნებოდა“. შემდგომ ეს და ამ ტიპის ფორმები გაიყო და ეწოდათ: **მყოფადუსრული**: ჭარუნდას იწი/იწუაფუ „წერდეს იქნება“ და **პირობითუსრული**: ჭარუნდუკო იწიდუ/იწუაფუდუ „წერდეს იქნებოდა“. მოგვიანებით, აწმყოს კავშირებითითა და დამხმარე საშუალებით ნაწარმოებ ფორმებს ეწოდა: აწმყო უსრულის კავშირებითი. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა დროს ცალკეული ავტორების მიერ (ზ. ჭუმბურიძე, ი. ქობალავა, ქ. მარგიანი), გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებამ და ამ ფორმათა ევიდენციალური კუთხით შეფასებამ შესაძლებელი გახდა მათი ევიდენციალურ-ეპისტემიკურ მწკრივებად კვალიფიკაცია. კერძოდ, სათანადო მეთოდოლოგიური მიდგომით გამოიკვეთა, რომ: 1. მეგრულში დასტურდება ორი ევიდენციალურ-ეპისტემიკური მწკრივი: ევიდენციალურ-ეპისტემიკური აწმყო და ევიდენციალურ-ეპისტემიკური იმპერფექტი I. 2. ევიდენციალურ-ეპისტემიკური აწმყო გადმოიცემა აწმყოს კავშირებითის მწკრივისა და იწი/იწუაფუ „იქნება“ ნაწილაკის საშუალებით. 3. ევიდენციალურ-ეპისტემიკური იმპერფექტი I გადმოიცემა პირობითი I-ის მწკრივისა და იწიდუ/იწუაფუდუ „იქნებოდა“ ნაწილაკის საშუალებით. 4. ევიდენციალურ-ეპისტემიკურ მწკრივთა რთული ფორმები გამოხატავენ საეჭვო-სავარაუდო მოქმედებას აწმყოსა და წარსულში და ამით უპირისპირდებიან ნეიტრალური აწმყოსა და უწყვეტლის მწკრივებით გადმოცემულ მოქმედებას. 5. მეგრულში დადასტურებული ევიდენციალურ-ეპისტემიკურ მწკრივთა რთული ფორმები ქართულად გადმოიცემა აწმყოს ან უწყვეტლის ზმნური ფორმებითა და „აღბათ“ ნაწილაკით. 6. მიუხედავად იმისა, რომ ევიდენციალურ-ეპისტემიკური მწკრივები ორი ნაწილისგან შედგება და რთული სტრუქტურისაა, აზრობრივად ერთიანია და მათი ადგილი მწკრივთა სისტემაშია. ლიტ. 8.

ავტ.

**6.2.1.10. ოდნობითობის სემანტიკის გამოხატვისათვის ქართულში. /თ. მამარდაშვილი/. ენა და კულტურა. – 2020. – #23. – გვ. 58-63. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.**

ხარისხის ფორმა საგანთა გარკვეული ნიშნისა თუ თვისების ურთიერთდაპირისპირების, ურთიერთმიმართებისა და შედარების საფუძველზე მიიღება და საგნის ნიშანზევე მიუთითებს. ხარისხის შესახებ ჩვეულებრივ ვმსჯელობთ ზედსართავ სახელებთან მიმართებაში, რამეთუ იგი უშუალოდ გამოხატავს ისეთ ნიშან-თვისებას, რომელიც შეიძლება იყოს მეტი ან ნაკლები ოდნობის, სხვადასხვა ხარისხის და ხარისხის წარმოების უნარი ძირითადად აქვს ვითარებით

ზედსართავებს, იშვიათად მიმართებითსაც და თუკი რომელიმე შეიძენს ამ უნარს, ვითარებითის ჯგუფში გადადის. საგნის ნიშნის ნაკლები ოდენობით გამომხატველია ოდნაობითი ხარისხის ფორმა. მიმართება უფროობითი ხარისხის ფორმისა დადებითისადმი ისეთი არ არის, როგორც ოდნაობითისა იმავე დადებითის მიმართ, რამეთუ საგნის ნიშანს უფროობითი გამოხატავს მეტი ოდენობით, განუსაზღვრელად, ოდნაობითი კი – ნაკლები ოდენობით, მაგრამ ერთგვარი მიახლოებით, განსაზღვრით. აღწერითი წარმოება, მართალია, საგნის ნიშნის მეტი ოდენობის შინაარსობრივი გადმოცემია, თუმცა ზოგჯერ ოდნაობითის, სიმცირის გადმოცემაც შეუძლია. ნიშანდობლივია, რომ ოდნაობითობის გაგება სცილდება ზედსართავი სახელის სფეროს და ენაში ნათლად იკვეთება ზოგიერთი ზმნისწინის მეტ-ნაკლები როლი მოქმედების სიმცირის, სიცოტავის ანუ ოდნაობითობის აღნიშვნა-გადმოცემაში ზმნებთან და რიგ ფორმებში სახელზმნასთანაც, რომელიც თანაბრად შეიგუებს როგორც სახელურ, ისე ზმნურ ნიშნებს. ახალ ქართულში მოქმედების ოდნაობის, მცირე ზომით შესრულების, ხარისხის ან მოცულობის შედარებითი სიმცირის გამოსახატად მო-, წა-, ჩა-, შე-, წამო- ზმნისწინები გამოიყენება, რომლებიც ძირითად ფუნქციასთან ერთად ამ გაგებასაც ითავსებენ. ეს სემანტიკა კიდევ უფრო მრავალფეროვნებით გვეძლევა ქართული ენის დიალექტებში. ლიტ. 7.

ავტ.

**6.2.1.11. არამანუალოური გრამატიკული მარკირების შესახებ ქართულ ჟესტურ ენაში. /თ. მახარობლიძე/. ენა და კულტურა. – 2020. – #23. – გვ. 64-69. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.**

ჟესტურ ენებში არსებობს მორფემათა გამოყოფის რამდენიმე პარამეტრი, ესა თუ ის ჟესტი არის მორფემა და აკისრია კონკრეტული მორფოლოგიური ფუნქცია. ეს მორფემები ძირითადად მანუალოური ჟესტებია, თუმცა ენაში გვაქვს არამანუალოური გრამატიკული მარკირების ფორმებიც. არამანუალოური მარკირება მოიაზრებს სახის მიმიკასა და თავის მოძრაობას. ის ორი მოცემულობა ხშირად კომბინაციაშია წარმოდგენილი. მაგალითად, მხოლოდ მიმიკა ზემოთ აწეული წარბებით (თავის განმეორებითი გაქნევის გარეშე) ვერ იქნება კითხვითი შინაარსის შემცველი ფორმა. ორივე ერთად კი საკმაოდ ნათლად გამოხატავს კითხვითი შინაარსს ისეთ წინადადებებში, სადაც კითხვითი სიტყვები არ არის წარმოდგენილი. ლიტ. 12.

ავტ.

**6.2.1.12. ბატონიშვილი ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ზოგიერთ აღმოსავლურ-რიდან მომდინარე ტერმინთან დაკავშირებით (აიდი, ლულუფარი, ლაკლაკი, მეჰმანდარი, მორდარი, ნიჯადი, საბდივანი, სრა-ფარდაგი). /ნ. ბართაია/. ენა და კულტურა. – 2020. – #23. – გვ. 16-21. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.**

ახალი სპარსული ლექსიკა, რომელიც სათავეს იღებს IX-X საუკუნეებიდან, დიდი რაოდენობით არის შემოჭრილი ქართულში XII და XVI-XVIII საუკუნეებში. განსაკუთრებით კი XVI-XVIII საუკუნეებში, ანუ სეფიანთა ხანაში, როცა საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი შედიოდა ირანის პოლიტიკურ შემადგენლობაში და მჭიდრო იყო პირდაპირი ენობრივი კონტაქტები. ნაშრომში განხილულია, ვახუშტი ბატონიშვილის (1696-1757 წწ.) „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ შემდეგი აღმოსავლური ნასესხობანი: აიდი, ლულუფარი, ლაკლაკი, მეჰმანდარი, მორდარი, ნიჯადი, საბდივანი და სრა-ფარდაგი. ჩამოთვლილი ტერმინები, გარკვეული ფონეტიკური და სემანტიკური ცვლილებებით, მოდის აღმოსავლური ლექსიკური ერთეულებიდან. ლიტ. 8.

ავტ.

## 6.2.2. ცალკეული ენები

**6.2.2.1. კაუზატიური კონსტრუქციის ტიპები ქართულში.** /ზ. ბარათაშვილი/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2019. – ტ. 13. – #1. – გვ. 126-136. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ნაშრომში განიხილება ქართული კაუზატიური კონსტრუქციები ბ. კომრის გრამატიკულ მიმართებათა (სინტაქსურ ფუნქციათა) იერარქიისა და მ. ბეიკერის ბრუნვათა მარკირების განზოგადების (გენერალიზაციის) მიხედვით. ვალენტობის გათვალისწინებით (ცენტრალურ აქტანტთა რაოდენობის გამოთვლით) განიხილება კაუზატიური კონსტრუქციის ოთხი ტიპი: 1. ამოსავალი ერთვალენტური ზმნისგან წარმოქმნილი კაუზატივი (ერთი ცენტრალური აქტანტი + კაუზატორი); 2. ამოსავალი ორვალენტური გარდაუვალი ზმნისგან წარმოქმნილი კაუზატივი (ორი ცენტრალური აქტანტი + კაუზატორი); 3. ამოსავალი ორვალენტური გარდამავალი ზმნისგან წარმოქმნილი კაუზატივი (ორი ცენტრალური აქტანტი + კაუზატორი); 4. სამვალენტური ზმნისგან წარმოქმნილი კაუზატივი (სამი ცენტრალური აქტანტი + კაუზატორი). ზმნის სხვადასხვა აქტანტური სტრუქტურისა და სინტაქსურ ფუნქციათა ცვალებადობის მიხედვით ქართულში შემდეგი შემზღვევლი წესები შეიძლება ჩამოვყალიბოთ: 1. გარდაუვალი ზმნისგან (როგორც ერთვალენტური, ასევე ორვალენტური) წარმოქმნილი კაუზატიური კონსტრუქციის კაუზირებული შეიძლება გამოიხატოს გარდამავალი ზმნის პირდაპირი დამატებით; 2. თუ ამოსავალი ზმნა ორვალენტური გარდამავალია, მაშინ წარმოქმნილი კაუზატიური ზმნის კაუზირებული იკავებს ირიბი დამატების ადგილს, რადგან პირდაპირი დამატების ადგილი უკვე დაკავებულია; 3. მაგრამ თუ ამოსავალი ზმნა სამვალენტური გარდამავალია, მაშინ წარმოქმნილი კაუზატიური ზმნა ოთხვალენტური ვერ გახდება: კაუზატორი ქვემდებარეა (როგორც მოსალოდნელი იყო), კაუზირებული ირიბი დამატებით გამოიხატება (რადგანაც პირდაპირი დამატების ადგილი დაკავებულია), ამიტომაც ამოსავალი ირიბი დამატება ქვეითდება და იკავებს უბრალო დამატების ადგილს. ამგვარად, კიდევ ერთი შეზღვევა გამომდინარეობს №3-დან: 4. კაუზირებული უნდა იყოს ცენტრალური აქტანტი და ამიტომ ირიბი დამატება ქვეითდება და იკავებს უბრალო დამატების ადგილს. ბ. კომრის განზოგადება შეესაბამება ქართულ კაუზატიურ კონსტრუქციას უბრალო დამატების პოზიციის გარდა: კაუზირებული არასდროს ხდება უბრალო დამატება. მ. ბეიკერის განზოგადება გრამატიკულ მიმართებათა (სინტაქსურ ფუნქციათა) შესახებ კი ზუსტად ასახავს რეციპიენტისა და კაუზირებულის (ამოსავალი გარდამავალი ზმნისგან) შესატყვისობას: ირიბი დამატება გამოხატავს ორივე მათგანს. სქემა 28, ლიტ. 12.

ავტ.

**6.2.2.2. ფუნქციურ-ენობრივ სტილთა და ჟანრთა ეკლექტიზმი აკა მორჩილაძის რომანში „გაქრები მადათოვზე“.** /თ. ცეცხლაძე/. ენა და კულტურა. – 2020. – #23. – გვ. 91-99. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

განხილულია ფუნქციურ-ენობრივ სტილთა და ჟანრთა ეკლექტიზმი რომანში „გაქრები მადათოვზე“, გაანალიზებულია, თუ რომელ სტილს ანიჭებს მწერალი უპირატესობას, რით არის სტილთა თუ ჟანრთა აღრევა განპირობებული და რა მიზანს ემსახურება ეს. აკა მორჩილაძე, როგორც პოსტმოდერნისტი მწერალი, თამაშობს ფუნქციური სტილებით და ჟანრებით. ეს დასავლური მწერლობის ერთ-ერთი ტენდენციის გამოხმაურებაა. ის ძირითადად იყენებს სასაუბრო სტილს, რომელშიც უხვადაა ბარბარიზმი, ჟარგონი, ვულგარიზმი და. ა.შ. მწერალი მიმართავს ძველ გუჯრებსაც, გამოძიების ოქმებსაც და პირად წერილებსაც. პროზაში ჩართულია ლექსებიც. აკა მორჩილაძის მიზანია, მრავალი კუთხით, მრავალი ასპექტით დაგვიხატოს რომელიმე მოვლენა. ეს განპირობებულია თემატიკით, კერძოდ, ძველი და ახალი თბილისის იმ ამბებით, რომლებიც ბურუსითაა მოცული. სტილთა გადართვა-გადათამაშების ხერხები ემსახურება დამაჯერებლობის ეფექტის მიღწევას და მწერლის იდეის გამოხატვას. სასაუბრო სტილი, რომელსაც მწერალი იყენებს, ერთგვარი გზაა მკითხველმა ადვილად, ყოველგვარი

ორაზროვნების გარეშე სწორად აღიქვას მწერლის/პერსონაჟის ამბავი. მწიგნობრული სტილი კი მკითხველის მზაობას მოითხოვს. ლიტ. 9.

ავტ.

**6.2.2.3. სივრცითი ზმნისართების სემანტიკური კომპონენტები მეგრულსა და ლაზურში.** /ი. ქობალავა, რ. გერსამია/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2020. – ტ. 14. – #2. – გვ. 111-113. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

სივრცითი ზმნისართები, როგორც დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ენობრივი ერთეულები, მეგრულსა და ლაზურში გამოხატავენ: 1. სივრცეში სხეულთა მოძრაობა/ გადაადგილების მიმართულებას (დინამიკა), 2. ობიექტთა ლოკალიზაციის ადგილს (სტატიკა). ფორმოზრევად გარჩეულია სამი მოდელი: პირველადი, წარმოქმნილი, რთული. ზმნისართთა ფორმოზრევი სტრუქტურა ასახავს მათ სემანტიკურ სტრუქტურას და შეიცავს ინფორმაციას მოძრაობის მიმართულების, სხეულის ლოკალიზაციის, გამოსვლითი პუნქტის, სივრცეში საგანთა განლაგების, ორიენტაციის (დეიქტური, ანთროპომორფული, ანთროპოცენტრული, ინტრინსიკული), სივრცის გაფართოება-დავიწროების, ვიზუალიზაციის შესახებ; მათი ასახვა ენებში განპირობებული ჩანს იმ სტრატეგიით, რომელიც ემყარება გეოგრაფიულ, კულტურულ თუ სხვა ფაქტორებს, მათ გამოყენებას ცალკეულ ენებში მოძრაობის მიმართულებისა და ლოკალიზაციის ადგილის განსაზღვრისას ანუ სივრცეში ორიენტირების პრინციპების შერჩევისას. ცხრ. 4, ლიტ. 4.

ავტ.

**6.2.2.4. მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნურ ძირთა სემანტიკური კომპონენტები მეგრულში.** /ი. ქობალავა/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2019. – ტ. 13. – #1. – გვ. 137-142. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ჩატარებული კვლევის შედეგები, რამდენადაც საქმე ეხება მეგრულს – ქართველურ ენათა შორის ურთულეს აგლუტინაციურ ენას, ემყარება ზმნურ ფუძეთა ლექსიკური მნიშვნელობის კომპონენტურ ანალიზს. გამოყოფილი და განხილულია საკუთრივ ძირის, როგორც ფუძის ლექსიკური მნიშვნელობის გამომხატველი ბირთვის, კომპონენტური შედგენილობა. საანალიზოდ შერჩეულია: საკუთრივ მოძრაობა-გადაადგილების, ანუ, A პუნქტიდან B პუნქტში გადანაცვლებისა და ტრანსფერული შინაარსის – გადაყვანა/გადატანის აღმნიშვნელი ზმნები. ცხრ. 4, ლიტ. 10.

ავტ.

**6.2.2.5. პოლისემია მანქანურ თარგმანში ქართულისა და ინგლისურის მაგალითზე.** /ზ. ახობაძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2019. – ტ. 13. – #1. – გვ. 143-146. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

განხილულია თარგმანის ლინგვისტური პრობლემატიკის ზოგიერთი საკითხი, მათ შორის ის პრობლემები, რომლებიც მანქანური თარგმანის შესრულებისას გვხვდება. თანამედროვე კომპიუტერიზებული ეპოქის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მანქანურმა თარგმანმა. ამასთან დაკავშირებით, კომპიუტერული მთარგმნელობითი პროგრამები მრავალი ლინგვისტური პრობლემის გადაჭრას მოითხოვს. მაგალითად, ის ფაქტი, რომ ერთსა და იმავე სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობა შეესატყვისება თარგმნისას, ხშირად დიდ სირთულეებს იწვევს მანქანურ თარგმანში და არა მარტო მანქანურში. პოლისემიურ სიტყვებთან მიმართებაში არსებული სირთულეების დასაძლევად მიზანშეწონილად მიგვაჩნია ენის ლექსიკის გარკვეული სისტემატიზაცია. ლიტ. 9.

ავტ.

**6.2.2.6. მამია გურიელის ეპისტოლარული მემკვიდრეობის ენისათვის** (ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდიდან). /მ. მიქაძე/. ენა და კულტურა. – 2019. – #22. – გვ. 41-49. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

მწერლის ენის შესწავლისათვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მწერლის პირადი წერილები. თითოეული მათგანი ინდივიდუალურია, როგორც შინაარსით, ასევე სტილურად. მამია გურიელს მიმოწერა ჰქონდა მრავალ პიროვნებასთან. ყველა წერილს ეტიკეტის მიხედვით დასაწყისიცა და დაბოლოებაც შესაბამისი აქვს. პოეტს ახასიათებს წერილებში მოფერებითი სახელების ჩართვა, რაც კიდევ უფრო აკეთილშობილებს წერილების სტილს. წერილები გულითადი სასაუბრო ენითაა დაწერილი, გამოყენებულია იმდროინდელი მეტყველებისათვის დამახასიათებელი გამოთქმები. გურიელი წერილებში სისტემატურად მიმართავს განკერძოებულ სიტყვა-გამოთქმებს. განსაკუთრებით ხშირად მიმართავს იყენებს, რომელიც დიალოგის ფორმას აძლევს წერილს. იმდროინდელ მეტყველებაში ხშირი იყო რუსიციზმები. რასაც მ. გურიელიც ვერ ასცდა. ამ წერილებიდან კარგად ჩანს განათლებული ადამიანების წერის სტილი, მამია გურიელი არა მარტო მშვენიერ ლექსებს წერდა, ცნობილია რუსული და ინგლისური ენიდან მისი თარგმანები, ამდენად, მისი წერის მანერა შეიძლება განვაზოგადოთ მე-19 საუკუნის 70-80-იანი წლების სტილად. ლიტ. 2.

ავტ.

**6.2.2.7. კონცეპტი ოჯახი გერმანულენოვან დისკურსში.** /რ. სვანიძე/. ენა და კულტურა. – 2019. – #22. – გვ. 50-53. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

განხილულია კონცეპტი ოჯახი გერმანულენოვან დისკურსში. გერმანული დისკურსის ანალიზმა გამოავლინა საყოველთაო და სპეციფიკური ლინგვისტური მახასიათებლები ოჯახის ცნების, ღირებულებითი დომინანტებისთვის, რაც ეხმარება მიმღებს რეალიზაციის, შეცვლის ან გაფართოების პროცესში. იგი ენათმეცნიერული კონტექსტით იქნა წარმოდგენილი, თუ რა ცვლილებები იწვევს კონცეფციის კულტურულ ტრანსფორმაციას და როგორია მომავალზე ორიენტირებული ოჯახი. ლიტ. 7.

ავტ.

**6.2.2.8. ვალსაა ტიპის ფორმების შესახებ ძველი ქართული ენის კითხვით წინადადებაში.** /ლ. ციხელაშვილი/. ენა და კულტურა. – 2019. – #22. – გვ. 54-65. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ძველი ქართული ენის კითხვით წინადადებაში კითხვითობის მარკერად კითხვითი სიტყვა ან კითხვითი ნაწილაკი (ძირითადად, -ა) გვევლინება, თუმცა იშვიათად დასტურდება მხოლოდ ინტონაციით (კითხვითი ტონით) მარკირებული წინადადებებიც. სტატიაში განხილულია ძველი და საშუალო ქართული ენის ტექსტებში იშვიათად გამოვლენილი ვალსაა ტიპის ფორმები, რომლებშიც ერთი -ა კითხვით ნაწილაკს წარმოადგენს, ხოლო მეორის ფუნქცია გაურკვეველია. ამ ტიპის ფორმების არსებობას შეიძლება მოეძებნოს სამგვარი ახსნა: 1. შეიძლება მივიჩნიოთ ე.წ. ფსევდოგრამატიზებული დაწერილობის ნიმუშად; 2. ჰქონდეთ ფონეტიკური საფუძველი ან 3. ჩაითვალოს გადამწერის მექანიკურ შეცდომად. ლიტ. 19.

ავტ.

**6.2.2.9. პროტესტის კონცეპტუალურ სფეროში შემავალი ფრაზეოლოგიური გამონათქვამები ფრანგულ და ინგლისურ ენებში.** /ც. ახვლედიანი, გ. ყუფარაძე, ქ. გაბუნია/. ენა და კულტურა. – 2020. – #23. – გვ. 11-13. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ფრანგულ და ინგლისურ ენებში, კონცეპტ „პროტესტის“ ყველაზე მეტად რეპრეზენტირებული ლექსემებია ის იდიომატური გამონათქვამები, რომლებიც გამოიყენებიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ენაში სხვადასხვა პროტესტის აღსაწერად; ფრანგული და ინგლისური ენები მდიდარია ისეთი ექსპრესიული გამონათქვამებით, რომლებიც ადვილად ხსნიან ფრანგთა და

ინგლისელთა მიერ წარმოდგენილ სამყაროს სურათებს. წინამდებარე სტატიაში განიხილება ის იდიომატური გამონათქვამები, რომლებიც წარმოადგენენ პროტესტის კონცეპტის სფეროს ნაწილს ფრანგულ და ინგლისურ ენებში. საკვლევ იდიომატურ გამონათქვამთა ლექსიკურ-სტილისტური შესწავლის შედეგად, მქდავანდება მოცემულ კონსტრუქციათა პრეფერენციული გამოყენება სამეტყველო-სასაუბრო სტილში, დისკურსის ემოციური შეფერილობის მიზნითა და პროტესტის კონცეპტური სფეროს სიტუაციის შესაბამისად. პროტესტის კონცეპტუალური სფეროს ლინგვოკულტურული სრულყოფილება ძლიერ მდიდარია ფრანგულ და ინგლისურ ენებში არა მხოლოდ ემოციონალურად შეფერილი და ექსპრესიული ფრაზეოლოგიური ერთეულებით, არამედ ასევე სამყაროს ენობრივი და კონცეპტუალური სურათის გადმომცემი სხვა საშუალებებითაც. პროტესტის კონცეპტუალური სფერო ფრანგულ და ინგლისურ ენებში ნაკლებადაა შესწავლილი, რაც ქმნის განსაზღვრულ სირთულეებს ფრანგული და ინგლისური ლიტერატურის ქართულად თარგმნისას და პირიქით. ლიტ. 11.

ავტ.

**6.2.2.10. ინგლისურ და ფრანგულ პარემიულ ერთეულთა შეპირისპირებითი ანალიზი.** /ც. ახვლედიანი, გ. ყუფარაძე, ქ. გაბუნია/. ენა და კულტურა. – 2019. – #22. – გვ. 9-13. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

პარემიათა ეთნოკულტურული სპეციფიკა ნათლად ვლინდება ისეთი იდენტური ენობრივი მაგალითების შეპირისპირებისას, როგორებიცაა ანდაზები და თქმები; მათი შეპირისპირება გვამღვებს საშუალებას, რომ ერთდროულად გავაცნობიეროთ თითოეული ენის კულტურული თავისებურება და გამოვავლინოთ ის საერთო, რაც მათ გააჩნიათ. ინგლისურ და ფრანგულ პარემიათა შეპირისპირება გვიადვილებს ამ ენათა სამყაროს ენობრივი სურათებისა და მათზე მოლაპარაკე ხალხთა კულტურული ფასეულობების უკეთ გაგებას, ასევე მათ ხატოვან სისტემაში შეღწევას. ლიტ. 8.

ავტ.

**6.2.2.11. ფუნქციურ-სისტემური ელემენტები პოლიტიკოსთა მეტყველებაში.** /ე. თოფურია/. ენა და კულტურა. – 2020. – #23. – გვ. 34-37. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

სტატია ეხება პოლიტიკოსების გამოსვლების კვლევას პოლიტიკური გამოსვლების სტრატეგიულ-მიზნობრივი შინაარსის სტრუქტურულ-ფუნქციური ანალიზის საფუძველზე. სტატია იკვლევს იულიუს კეისრის პოლიტიკურ ტაქტიკათა გამომხატველ სამეტყველო-სისტემურ ერთეულებს. კერძოდ, ნათესაობითი ბრუნვის, საპინის, მიზნისა და მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებს, როგორც სტრატეგი პოლიტიკოსის ჩანაფიქრის გადმოცემის სტრუქტურულ ერთეულებს. სტატიაში მოცემულია თეორიულ-ისტორიული საკვლევ ემპირიული ბაზა და გაანალიზებულია დამამტკიცებელი მაგალითები. აღნიშნული გრამატიკული ერთეულების კვლევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა იულიუს კეისრის როგორც დიდი სტრატეგის, მეომრის, პატრიოტის და შემწყნარებლის, ისე სერიოზული გრამატიკოსისა და ნარატივის სპეციალისტის საჯარო გამოსვლების განსაკუთრებულობა. თითოეული ფრაზა სტრატეგიული გამარჯვების მოპოვებისათვის, თავდაცვისა ან თავდასხმისათვის იყო გრამატიკულად სწორად აგებული. ენობრივი ლაკუნები კი ზუსტად მიანიშნებდნენ მხედართმთავრის სამხედრო ჩანაფიქრს. ლიტ. 2.

ავტ.

**6.2.2.12. „წყლის“ სიმბოლიკისა და სემანტიკისათვის გერმანულ ფრაზეოლოგიზმებში.** /ც. მოდებაძე/. ენა და კულტურა. – 2020. – #23. – გვ. 70-74. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

განხილულია კონცეპტ „წყლის“ სიმბოლიკა და სემანტიკური ჯგუფები. კვლევის თანახმად, გამოიკვეთა როგორც დადებითი (სიცოცხლე, სიწმინდე, სისუფთავე, მოძრაობა, უძლევლობა

...), ასევე უარყოფითი (სიკვდილი, წარუმატებლობა, ...) კონოტაციის სემანტიკური ჯგუფები. სიტყვა „Wasser“ (წყალი) წარმოიქმნა მერვე საუკუნეში. წყალი არის სიცოცხლის, სიწმინდის და კეთილდღეობის სიმბოლო: Wasser des Lebens - წყალი სიცოცხლისა. წყალი დროსავით მიედინება. მიმდინარე წყალი მოძრაობის, გზის და სხვა სამყაროში გადასვლის სიმბოლოა. სიცოცხლე მოძრაობაშია. გაჩერებული ადამიანი არაჯანსაღია: stehendes Wasser stinkt - დამდგარი წყალი ყარს. ფრაზეოლოგიზმებში დიდი მნიშვნელობა აქვს, წყნარ წყალზეა ლაპარაკი თუ აზობოქრებულზე: Stilles Wasser ertrinkt die Menschen und sturmishes erschreckt - წყნარი წყალი ახრჩობს ადამიანებს და აზობოქრებული აშინებს. ფრაზეოლოგიზმი ein stilles Wasser sein აღნიშნავს თავის თავში ჩაკეტილ ადამიანს. როდესაც ადამიანი მოულოდნელად გაუთვალისწინებელს აკეთებს, ამ შემთხვევაში გერმანელები მასზე ამბობენ: Stilles Wasser ist tief - წყნარი წყალი ღრმაა. ეს ფრაზეოლოგიზმი იგივეა, რაც ქართული: დამდგარ წყალში მეტი ბაცილებია ანუ წყნარ გულჩათხრობილ ადამიანებს მეტი საიდუმლო აქვთ. წყალი არის ბოროტი ძალებისგან განთავისუფლების და გაწმენდის სიმბოლო: Jemand ist mit allen Wassern gewaschen - ძალიან გამოცდილია/ემშაკია. გადაჭარბებულის, არასაჭიროს კეთებას ნიშნავს: Mit einem Sieb Wasser schöpfen/Wasser im Sieb tragen - წყლის საცრით ტარება/ამაო გარჯა. გერმანელები ამ ხერხს მიმართავდნენ გვალვის დროს. მათი აზრით, საცრით წყლის ტარება წვიმას გამოიწვევდა. წყალი ადამიანის არამარტო ფიზიკური არსებობისთვის არის აუცილებელი, არამედ სულიერი ცხოვრებისთვისაც. ამიტომ მდინარეები და წყაროები მრავალ რელიგიაში წმინდა ადგილებად მიაჩნიათ. ასეა ქრისტიანულ რელიგიაშიც. ნათლობა ხდება მდინარეში. „წყალი“ უძველესობის და ყოვლისშემძლეობის სიმბოლოა: Das Wasser kriecht überall hinein - წყალი ყველგან აღწევს. ლიტ. 4.

ავტ.

**6.2.2.13. მარინისტული მხატვრული ნაწარმოებები, საზღვაო ტერმინოლოგიის სპეციფიურობა და თარგმანთან დაკავშირებით არსებული თავისებურებები** /ს. როდინაძე, ზ. ბეჟანოვი, თ. მიქელაძე, ქ. ზარბაზოია, მ. აბაშიძე/. ენა და კულტურა. - 2020. - #23. - გვ. 80-86. - ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

მსოფლიო ლიტერატურაში მრავლადაა ნაწარმოებები სადაც ასახულია საზღვაო სფერო, საზღვაო მოგზაურობები, ნაწილობრივ აღწერილია გემების აგებულება, დანიშნულება, პარამეტრები, ეკიპაჟი. საზღვაო ფრაზარიუმი გამოიყენება გმირების დახასიათებისას. ასეთმა ნაწარმოებებმა მიიღო მარინისტული ლიტერატურის სახელი. მარინისტული მხატვრული ნაწარმოებების კვლევამ გვაჩვენა, რომ ქართული საზღვაო ტერმინოლოგია ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია. ინგლისურენოვანი მარინისტული მხატვრული ტექსტები მდიდარია საზღვაო ტერმინოლოგიით. საინტერესოა მათი ქართული თარგმანები. ჩვენ გავეცანით და განვიხილეთ შემდეგი ნაწარმოებები: „გულივერის მოგზაურობა“, „რობინზონ კრუზო“, „მობი დიკი“, „ზღვის მგელი“, „განძის კუნძული“ და აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ ნაწარმოებებში უხვადაა გამოყენებული მხატვრული ტექსტების თარგმნა, რაც ძალიან სპეციფიკურია. ლიტერატურული თარგმანის დროს არ შეიძლება ტექსტი, წინადადებები სიტყვასიტყვით ვთარგმნოთ. აქ არ შეიძლება მოხდეს კალკირება, უნდა იგრძნო ენა. ლიტერატურულ თარგმანში აუცილებელია სათარგმნი ტექსტის ფორმის, შინაარსის და სტრუქტურის შენარჩუნება, ამიტომაც სხვადასხვა მთარგმნელის მიერ შესრულებული ნაწარმოებები განსხვავდება ერთმანეთისგან. ასეთი თარგმანები ნამდვილი ხელოვნებაა, რადგან ესთეტიკური ეფექტი მიიღწევა შესაბამისი ენობრივი საშუალებებით. მარინისტული ნაწარმოებების კვლევამ გვაჩვენა, რომ მსგავსი ტიპის მხატვრული ნაწარმოებების თარგმნისას ხშირად ვხვდებით უზუსტობებს, რაც სხვადასხვა მიზეზით არის გამოწვეული. ხშირ შემთხვევაში ტერმინები ნათარგმნია რუსული ენის ზეგავლენით, კალკირების გზით. ლიტ. 8.

ავტ.

**6.2.2.14. სიტყვისა და ცნების ურთიერთობისთვის სხვადასხვა ენობრივ სივრცეში.** /ნ. ჩარკვიანი, ი. რუსაძე, ს. ყიფიანი/. ენა და კულტურა. – 2020. – #23. – გვ. 87-90. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ენის სიტყვარის ანალიზი ძირითადი საყრდენია სიტყვის მნიშვნელობის დადგენისათვის. სიტყვის განმარტება არაერთგვაროვანია, რადგან იგი წარმოადგენს რთულ ენობრივ ერთეულს, რომელიც მოიცავს ამა თუ იმ ცნებისათვის დამახასიათებელ თვისებათა ერთობლიობას. ესა თუ ის სიტყვა მეორესგან სწორედ განსხვავებული თვისებებითაა გამორჩეული. ცნების განსაზღვრა რთული საკითხია, სიტყვის განსაზღვრა კიდევ უფრო რთული, რადგან იგი ბევრ ასპექტს მოიცავს, როგორც ენის სისტემის ცენტრალური ელემენტი, სიტყვა ფონოლოგიის, ლექსიკოლოგიის, სინტაქსის, მორფოლოგიისა და იმ სხვა მეცნიერებათა პრობლემების ფოკუსშია მოქცეული, რომლებსაც ენასა და მეტყველებასთან აქვს კავშირი. ამ სტატიის მიზანი სიტყვის განმარტების ახსნა არ არის, რადგან ბევრი ენათმეცნიერის მცდელობა ამ საკითხში მაინც იმ დასკვნამდე მიდის, რომ სიტყვას კი არ განვმარტავთ, არამედ ვახასიათებთ. სიტყვა ენის ერთ-ერთი ფუნდამენტალური ერთეულია, რომელიც ფორმისა და შინაარსის დიალექტიკურ ერთობას წარმოადგენს. მისი შინაარსი და მნიშვნელობა მართალია ცნების იდენტური არ არის, მაგრამ ასახავს ადამიანურ ცნებას და სწორედ ამგვარად შეიძლება ცნებათა არსებობის ფორმად ჩათვალოს. (Arnold I.V. 1973: 27) სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა ცნების რეალიზაციაა, რომელიც გარკვეული ენობრივი სიტყვების მნიშვნელობით ხორციელდება. (ibid:114) აქვე უნდა ითქვას, რომ მეტყველებაში შინაარსის პლანი მთელ ადამიანურ ცნობიერებას ასახავს, რომელიც გარდა მენტალური აქტივობისა, ემოციებსაც მოიცავს. ლიტ. 4.

ავტ.

### 6.2.3. ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობა

**6.2.3.1. 9 აპრილი, როგორც კოლექტიური ტრავმის ინსპირაცია, გურამ დოჩანაშვილის მოთხრობის „ორნი აქა-იქ“ მიხედვით.** /ნ. ამბოკაძე/. ენა და კულტურა. – 2020. – #23. – გვ. 100-105. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

9 აპრილმა, როგორც კოლექტიური ტრავმის ინსპირაციამ, ასახვა პოვა გურამ დოჩანაშვილის მოთხრობაში „ორნი აქა-იქ“, რომელიც მოვლენების კვალდაკვალ, „დროის დისტანციის“ გაუთვალისწინებლად დაიწერა და იმავე, 1989 წელს გამოქვეყნდა. ნაწარმოებში ორი ქვეყნის შედარების ფონზე კარგად ჩანს „მძელეველთა“ და „დაძლეულთა“ არაერთგვარი მდგომარეობა. მოძალადეები კარგად შეიარაღებულნი და ფსიქოლოგიურად „დამუშავებულნი“ არიან, დაპყრობილი ხალხი კი (საქართველო) უიარაღოა და მისი „ნაკლი“ ისაა, რომ თავისუფლების მოყვარულია. მოთხრობის მთავარი გმირი, პატარა გოგონა, რომელიც 9 აპრილის ტრაგედიის მსხვერპლია, სიმბოლურად საქართველოს გამოხატავს. ჩვენს ქვეყანას ხშირად უხდებოდა თავისზე ბევრად ძლიერ და დიდ იმპერიებთან ჭიდილი. მეორე პერსონაჟი კი სტასიკი, რომელიც გოგონას ჰკლავს, და რომლისთვისაც სამშობლოს სიყვარული და თავისუფლება კერძო ინტერესებამდეა დასული, იმპერიალისტური ბუნების ნათელი გამოხატულებაა. აღსანიშნავია, რომ გურამ დოჩანაშვილის შემოქმედებას, ზოგადად, ახასიათებს ნარატივის გაშლა ბიბლიური მითების ფონზე და ამავე ჭრილში ავტორისეული კონცეფციის წარმოჩენა. ამ მოთხრობაშიც „ორნი აქა-იქ“ არაერთი სემანტიკური სქემაა მოცემული, რომელიც მკითხველის მხრიდან გულისყურით წაკითხვას მოითხოვს; წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა მხატვრული ნაწარმოების ფუნქციონირების მოდელი (მწერალი, ნაწარმოები, მკითხველი), რადგან მკითხველს ავტორისეული ჩანაფიქრის სწორად აღქმა გაუჭირდება. მოთხრობის ძირითადი სიუჟეტური ხაზის პარალელურად (რომელიც ზემოთ აღნიშნულ ორ პერსონაჟს შეეხება) ავტორი გადმოგვცემს ქრისტეს ცხოვრების ეპიზოდებს, წარმოაჩენს ქართველ წმინდანთა სახეებს. ლიტ. 3.

ავტ.



## 6.2.4. ლიტერატურის თეორია

**6.2.4.1. ნარატიული სივრცის კონსტრუირებისა და ფუნქციონირებისთვის ესქილეს „სპარსელებში“.** /ა. ცანავა/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2019. – ტ. 13. – #1. – გვ. 153-158. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

სტატიაში განხილულია ესქილეს „სპარსელებში“ წარმოდგენილი ნარატიული სივრცის მოდელირებისა და ფუნქციონირების ძირითადი მხატვრული პრინციპები. ანალიზი, ერთი მხრივ, გულისხმობს ტრაგედიის შიდა ტექსტუალური სივრცული დონეებისა და იმ ძირითადი თხრობითი სტრატეგიის კვლევას, რომელიც გამოყენებულია დრამაში ვერბალური სივრცის პრეზენტაციისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, სივრცის სემანტიკური ფუნქციის ჩვენებას. ამ მიმართულებით, ჩვენ ვიზიარებთ ნარატიული სივრცის კვლევის ი. ლოტმანის მიერ შემოთავაზებულ მოდელს, რომლის მიხედვით, ტექსტებში სივრცე თხრობითი ფუნქციით იტვირთება მაშინ, როდესაც სამყაროს კონკრეტული ტოპოლოგიური მოცემულობა კონკრეტულ სემანტიკურ მნიშვნელობას იძენს და, ამდენად, ავტორისეული სამყაროს კულტურული მოდელის საბაზისო სტრუქტურულ ერთეულად გაიზარება. კვლევამ აჩვენა, რომ ესქილეს „სპარსელები“ წარმოადგენს სამყაროს ეპოქალურ ცოდნას, რომელსაც სივრცის აღქმისა და მოწყობის არქაული, მითოსური პრინციპი უდევს საფუძველად. ევროპა-აზიის 158 Ana Tsanava Bull. Georg. Natl. Acad. Sci., v. 13, #1, 2019 სივრცული ოპოზიციის ლიტერატურული გააზრების ამ პირველ ბრწყინვალე ნიმუშში, ეს ორი განსხვავებული კულტურული სისტემა, უპირველეს ყოვლისა, ნარატიული სივრცული ოპოზიციების საფუძველზე იგება. ამდენად, ტექსტუალური სივრცის კვლევა არსებითად მნიშვნელოვანია, რათა უფრო ღრმად ჩაწვდეთ ტრაგიკოსის მსოფლმხედველობასა და იმ პარადიგმატულ პრობლემატიკას, რომელიც წარმოდგენილია ტრაგედიაში. ლიტ. 8.

ავტ.

**6.2.4.2. წმიდა გაბრიელ მცირე და მისი ნაშრომი „გვრგვნი“.** /გ. კალანდაძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2019. – ტ. 13. – #1. – გვ. 159-164. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

წმიდა გაბრიელ მცირე გარეჯის სამონასტრო სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მის შესახებ მწირი ცნობები მოიპოვება. მათ შორის აღსანიშნავია: „გვრგვნის“ 1815 წლის 3 აპრილით დათარიღებულ ხელნაწერზე მეფე გიორგის ძის, ბაგრატის მინაწერი და ხელნაწერი წიგნი „ჯუარშემოსილი“. გაბრიელ მცირის ლიტერატურულ მოღვაწეობას უკავშირდება სასულიერო კრებულები: „ჯუარშემოსილი“, „სამოთხის ყუავილი“, „ოქროს წყარო“, „კლიტე“, „სუფევა“, „მანანა“, „სამასული“ და „გვრგვნი“. ამჯერად ჩვენი კვლევის საგანია „გვრგვნი“. კრებული ისეა შედგენილი, რომ მისი სტრუქტურა ეხმარება მკითხველს მასალის აღქმასა და დედააზრის გაცნობიერებაში. „გვრგვნის“ შემდგენელი რომ გაბრიელ მცირეა, ვგებულობთ გიორგი მეფის შვილის ბაგრატის მიერ 1815 წლის 3 აპრილით დათარიღებულ ხელნაწერის მინაწერიდან. ამასვე მეტყველებს წიგნის შედგენის თავისებურებები და ავტოგრაფთა შექმნის დრო. „გვრგვნის“ თხრობათა წარმომავლობის დასადგენად იგი შევადარეთ ქართულად გადმოთარგმნილი პატერიკების ექვს სხვადასხვა კრებულს, ასევე – ინგლისურ-ბერძნულ გამოცემას. გამოიკვეთა შედარებულ ტექსტებთან „გვრგვნის“ თხრობათა კავშირი და დადგინდა თხრობათა პირველწყაროები. ლიტ. 20.

ავტ.

## 6.2.5. ცალკეული ლიტერატურული მიმდინარეობები

**6.2.5.1. კოლექტიური ტრავმა და მისი დაძლევის მხატვრულ-ენობრივი მექანიზმები.** /მ. გუგუნიავა/. ენა და კულტურა. – 2020. – #23. – გვ. 106-112. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

წინამდებარე სტატიის ძირითადი მიზანია გავანალიზოთ მხატვრული დისკურსის როლი კოლექტიური ტრავმის ფორმირებაში და ამავე დროს კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენოთ „დამაჯერებლობის“ ცნება, როგორც მხატვრული ნარატივის განმსაზღვრელი ფაქტორი კულტურული მეხსიერების ჩამოყალიბებაში. ლიტ. 14.

ავტ.

**6.2.5.2. კოსმოპოლიტიზმისა და პატრიოტიზმის ურთიერთმიმართების საკითხი ვაჟა-ფშაველასა და ნიკოლაი ბერდიაევის ნააზრევში.** /ლ. ბებურიშვილი/. ენა და კულტურა. – 2019. – #22. – გვ. 66-71. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

კოსმოპოლიტიზმისა და პატრიოტიზმის, ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებათა ურთიერთმიმართება უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რომელიც განსაკუთრებული სიმწვავეით ჩვენს სინამდვილეში XIX საუკუნის ბოლოდან დადგა. 1905 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა ვაჟა-ფშაველას წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, რომელიც მწერლის აზროვნების მასშტაბურობის ბრწყინვალე დასტურად გვევლინება და მრავალი კუთხით სადღეისოდაც ინარჩუნებს სახელმძღვანელო მნიშვნელობას. საინტერესოა ის გარემოება, რომ ვაჟა-ფშაველას შეხედულებები კოსმოპოლიტიზმისა და პატრიოტიზმის ურთიერთმიმართების საკითხზე ტიპოლოგიური თვალსაზრისით დიდ მსგავსებას ავლენს გამოჩენილი რუსი ფილოსოფოსის ნიკოლაი ბერდიაევის ნააზრევთან. ვაჟა-ფშაველასა და ნიკოლაი ბერდიაევის შეხედულებათა პარალელური განხილვა გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება მივიდეს გამორჩეული ანალიტიკური ტალანტით დაჯილდოებული ორი დიდი მოაზროვნე მსგავს დასკვნებამდე ისე, რომ არ იცნობდეს ერთმანეთის ნააზრევს. ლიტ. 5.

ავტ.

**6.2.5.3. მეხსიერების ფენომენის პოსტმოდერნისტული „ანაბეჭდები“ გონის ანთროპომეტრულ ჭრილში (ნ. გელაშვილის „ჩვენება (ანაბეჭდები)“.** /გ. გობიანი/. ენა და კულტურა. – 2019. – #22. – გვ. 66-71. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ნ. გელაშვილის მოთხრობა „ჩვენება (ანაბეჭდები)“ ინპლიციტურ და ცნობიერ მეხსიერებაში აღდგენილი მიკროტექსტების კომპოზიციურ მთლიანობას წარმოადგენს. ავტორი საკანცელარო საბუთების, ჩანაწერებისა და განცხადებების საფუძველზე უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვან პოსტმოდერნისტულ ნაწარმოებს ქმნის, რომელშიც ყოველგვარი ჰარმონიის გარეშე წარმოდგენილი ჰეტეროკლიტური ელემენტების კოლაჟი, ერთგვარ ქაოტურ სურათს ხატავს, რაც, საბოლოო ჯამში, ქმნის გელაშვილის ინტერტექსტულურ სამყაროს. ავტორი მშრალი „ჩვენებებითა“ და „განცხადებებით“ კარგად ახერხებს ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობის ასახვას, მისი შინაგანი და სულიერი განწყობის, როლისა და ადგილის პოვნას, სადაც ყველაზე უკეთ ჩანს ადამიანის დამოკიდებულება გარე სამყაროსადმი. ცნობიერებასა და რეალობას შორის არსებული ტრაგედია ნარატივში გადმოცემულია ორმაგი კოდირებით, რაც, ზოგადად, პოსტმოდერნისტული „ღია ტექსტისათვის“ დამახასიათებელი ნიშანთვისებაა. ლიტ. 5.

ავტ.

**6.2.5.4. ზაირონის თავისუფლების იდეა და საქართველო.** /თ. სიხარულიძე/. ენა და კულტურა. – 2019. – #22. – გვ. 96-101. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

XIX საუკუნეში ქართული ლიტერატურა მჭიდროდ უკავშირდება ევროპის ქვეყნების ლიტერატურას, ფრანგულიდან თუ რუსულიდან თარგმნილის მეშვეობით. ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა ცნობილი ინგლისელი რომანტიკოსი პოეტის ჯორჯ გორდონ ბაირონის (1788-1824) პიროვნებისა და შემოქმედების პოპულარიზაციის საკითხი საქართველოში. ბაირონის შემოქმედებას იცნობდნენ ქართველები ჯერ კიდევ მის სიცოცხლეშივე, ამიტომ დაიწყო კიდევაც თარგმნა ქართულ ენაზე, მაგრამ განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა XIX საუკუნის II ნახევარი, როცა, ქართული პრესის განვითარებასთან ერთად, ბაირონი ითარგმნება ქართულად. მის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება და ყოველივე ეს ასოცირდება „ბაირონიზმთან“, როგორც ამაზე მიგვანიშნებს ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი ლიდერი ილია ჭავჭავაძე (1837-1907), რომელიც, ერთ-ერთი პირველი, თარგმნის ლექსს ბაირონის „ებრაული მელოდიებიდან“, ნაწყვეტებს პოემებიდან. მეორე პოეტი აკაკი წერეთელი (1840-1915) ასევე თარგმნის ბაირონის ორ ლექსს „ებრაული მელოდიებიდან“, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ილიასა და აკაკის თარგმანები შესრულებულია არა უშუალოდ ინგლისურიდან, არამედ რუსული თარგმანების მეშვეობით, მაგრამ მთარგმნელები აღრმავებენ თარგმნილ ლექსებს თავიანთი მამულიშვილური გრძნობებიდან გამომდინარე, რაც დაკავშირებული იყო საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვასთან XIX საუკუნის დასაწყისიდან. ზემოაღნიშნულმა თარგმანებმა ხელი შეუწყო ბაირონის შემოქმედების პოპულარიზაციის ტრადიციას ქართულ მთარგმნელობით სივრცეში. ლიტ. 8.

ავტ.

**6.2.5.5. სიმონ ჩიქოვანი ვაჟა-ფშაველას პოეზიის შესახებ.** /თ. სუმბაძე/. ენა და კულტურა. – 2019. – #22. – გვ. 102-106. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ცნობილი ქართველი პოეტის, სიმონ ჩიქოვანის, ლიტერატურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ესეისტური წერილები, რომლებიც ქართული პოეზიის კლასიკოსთა შემოქმედებას ეხება. წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია სიმონ ჩიქოვანის შეხედულებები ვაჟა-ფშაველას პოეზიაზე. უმთავრესად განხილულია ორი საკითხი – ვაჟა-ფშაველას მხატვრულ სახეთა პლასტიკურობა და პოეტის სალიტერატურო ენის პრობლემა. ს. ჩიქოვანი შესაბამისი მაგალითებით ასაბუთებს, რომ ვაჟა-ფშაველას პოეზიაში ფერწერული პოეტური სურათებია გამეფებული, ვაჟას პოეტური სამყარო სურათოვანია და თვალთ სახილველი. რაც შეეხება პოეტის ენის პრობლემას, სიმონ ჩიქოვანი თანმიმდევრულად აანალიზებს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: პოლემიკა აკაკი წერეთელთან, აკაკისა და ვაჟას ენობრივი შეხედულებების ურთიერთმიმართება, ასტროფია, როგორც ვაჟას პოეტური მეტყველების ბუნებრივი ფორმა და სხვ. ლიტ. 4.

ავტ.

**6.2.5.6. გამეორებული ისტორია გურამ ოდიშარას რომანის „სოხუმში დაბრუნება“ მიხედვით.** /თ. კობერიძე/. ენა და კულტურა. – 2020. – #23. – გვ. 135-146. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

სტატიაში „გამეორებული ისტორია“ გაანალიზებულია გურამ ოდიშარას რომანი „სოხუმში დაბრუნება“. რომანი ეძღვნება აფხაზეთის ომის თემატიკას. სტატიაში დიდი ემოციითა და საოცარი ექსპრესიითაა განხილული ნაწარმოებში მხატვრულ-დოკუმენტურად აღწერილი ცალკეულ ეპიზოდები, კერძოდ, აფხაზეთის ომის დროს განვითარებული მეტად ტრაგიკული მოვლენები. აღსანიშნავია, რომ სტატიაში მოხმობილი და დაძებნილია ლიტერატურული შედარებები. უპირველეს ყოვლისა, პარალელი გავლებულია ლეო ქიაჩელის შესანიშნავ მოთხრობასთან „ჰაკი აძმა“, ნოდარ დუმბაძის, ბექა ქურხულის აფხაზეთისადმი მიძღვნილ წერილებთან. ასევე მოძიებული და მიგნებულია XX საუკუნის დასაწყისისა და დასასრულის დროინდელ პროცესებს შორის საგულისხმო ისტორიული და ლიტერატურული პარალელები. ლიტ. 2.

ავტ.

**6.2.5.7. „ნათესავნი ქართველნი“ და „ქართველნი დასავლისანი“.** /თ. კობერიძე/. ენა და კულტურა. – 2020. – #23. – გვ. 147-151. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

გაანალიზებულია ათონელი წმინდა მამების იოანეს, ექვთიმესა და გიორგი მთაწმიდელების ღვაწლი ათონის ივერთა მონასტერში; მათი განსაკუთრებული როლი მთარგმნელობით საქმიანობაში და იოანეს ლტოლვა დასავლეთით, „ესპანეთის იბერიელებისაკენ“. სტატია სადისერტაციო კვლევების მორიგი ნაწილია, რომელშიც მკვლევარი საუბარობს იმ მიზეზებზე, რომელთა გამოც იოანე მთაწმიდელმა განიზრახა ათონის მთას გასცლოდა და დასავლეთით მცხოვრებ იბერებთან წასულიყო. აღსანიშნავია, რომ სტატიაში მოხმობილია კორნელი კეკელიძისა და რევაზ სირაძის საყურადღებო შეხედულებები აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით. ასევე მოდიებულია ილია აბულაძისეული განმარტება, იპოლიტე რომაელისა და ბასილი კესარიელის მიხედვით, პირენეის ნახევარკუნძულზე მცხოვრები კელტ-იბერების სახელწოდებასთან დაკავშირებით. ლიტ. 4.

ავტ.

**6.2.5.8. პარიზში გამოცემული ქართული პოეტური კრებული.** /რ. ნიშნიანიძე/. ენა და კულტურა. – 2020. – #23. – გვ. 152-157. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

გიორგი გამყრელიძე ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი გახლდათ. მისი ლიტერატურული არეალი საკმაოდ ვრცელი და მრავალფეროვანია: თარგმანები ამერიკული და ფრანგული პოეზიიდან, გერმანული მწერლობის ნიმუშები; უპირველესი მაინც საკუთარი, ორიგინალური ლექსების თხზვა. 1920 წელს საქართველოში გამოიცა მისი ლექსების წიგნი „შემოდგომის ჭიანჭურები“, 1922 წელს „დალურსმული ხელები“, რომელიც გრიგოლ ზოდელის ფსევდონიმით გამოიცა. 1932 წელს პარიზში ქართულ ენაზე გამოდის ასევე, პოეტური კრებული „ლურჯი მონოკლი“. 1960 წელს უკვე არა მხოლოდ სხვა სახელმწიფოში, არამედ სხვა კონტინენტზე, სანტიაგო დე ჩილეში დაისტამბება „გვიანი რთველი“, ხოლო 1963 წელს ვაშინგტონში ქართულ ენაზე გამოიცა წიგნი, სათაურით: „ლექსები, მოთხრობები და ნარკვევები ფრინველებზე“. ლიტერატურულ სტატიაში საუბარია გიორგი გამყრელიძის პარიზულ კრებულზე და იქ დაბეჭდილ მხოლოდ რამდენიმე პოეტურ ნიმუშზე („ოქროს ვერძი“, „საშინელი მეზადური“, „მეზღვაურის დაღუპვა“); წიგნი დაყოფილია ქვეთავებად; პირველივე მათგანს ჰქვია „ოქროს ვერძი“, „საქართველო“. წარმოდგენილ წერილში გაანალიზებულია პარალელები მითიურ და ცნობილ ლიტერატურულ პერსონაჟებთან და მოდიებულია ის პოეტური რემინისცენციები, რომელიც თითოეულ ნიმუშთან დაკავშირებითაა საგულისხმო. ლიტ. 3.

ავტ.

**6.2.5.9. „იცით ნადირობა?“ გურამ რჩეულიშვილის უსათაურო მოთხრობის ირგვლივ.** /ნ. რჩეულიშვილი/. ენა და კულტურა. – 2020. – #23. – გვ. 158-161. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

გურამ რჩეულიშვილის ხანმოკლე ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ ის არასოდეს ყოფილა გატაცებული ნადირობით. ალბათ, ამით თუ აიხსნება მის მოთხრობებში აქა-იქ გამკრთალი მწირი ეპიზოდები ნადირობის თემაზე. ერთადერთი მნიშვნელოვანი, მხატვრული სიძლიერით გამორჩეული მოთხრობა, რომლის სათაურის ფორმულირება და დაწერის თარიღი მსჯელობის საგანი გამხდარა მწერლის ბიოგრაფებსა და ახლო მეგობართა შორის, უსათაუროა. ჩვენი ყურადღება მიიქცია არა მხოლოდ მისმა მხატვრულმა მხარემ, რითაც ის სამართლიანად იკავებს გამორჩეულ ადგილს თანამედროვე ქართული მოთხრობის საგანძურში, არამედ, ზოგადად, მოთხრობის იდეის გააზრებამ და მისმა კავშირმა მსოფლიო ლიტერატურის შესანიშნავ ფასეულობებთან. ამბავი მოხუც მონადირესა და მის ნანადირევ ჯიხვზე სინამდვილისა და მითიური წარმოსახვის უჩვეულო ნაზავია. მოთხრობა თავისი იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით ჰგავს ამერიკელი მწერლის ერნესტ ჰემინგუეის მოთხრობას „მოხუცი და ზღვა“.

ვფიქრობთ, სამწერლო მოდერნიზაციის დასაწყისში მწერალი ჰემინგუეის გარკვეულ გავლენას განიცდიდა. ლიტ. 2.

ავტ.

**6.2.5.10. ფუტურიზმი – „დაგვიანებული ექო“.** /ბ. შევარდნაძე, მ. ლაზარაშვილი/. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი სპექტრი. – 2020. – #3. – გვ. 152-159. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ფუტურიზმი, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა, პირველად იტალიაში წარმოიშვა. შემდეგ გავრცელდა ევროპაშიც, რუსეთშიც, საქართველოშიც და მან სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროის მიხედვით სხვადასხვა შინაარსი გამოხატა. ფუტურიზმის მეთაური იყო მარინეტი. ფუტურისტები უარყოფდნენ წარსულს. მათი აზრით, წარსულის დიდება ხელს უშლიდა „უკეთესის“ შექმნას. მარინეტი ომს მიიჩნევდა „სამყაროს ჰიგიენად“, ომი მიჩნეულია, როგორც სამყაროს დასუფთავების საშუალება. მარინეტი პოეზიაში მოითხოვდა სიტყვათა თავისუფლებას, განცდისა და გამოხატვის თანადროულობას, პუნქტუაციის რღვევას, სინტაქსის უარყოფას. ფუტურიზმმა გამოძახილი იპოვა ქართულ ლიტერატურაშიც. მისი ჩამოყალიბება, დადაიზმის შემოსვლა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში პარალელური მოვლენები აღმოჩნდა. ეს რა თქმა უნდა, ბევრ რთულ პირობას ქმნიდა დასამკვიდრებლად. 1924 წელს საქართველოში დაარსდა პირველი ფუტურისტული ჟურნალი  $H_2SO_4$ . მისი წარმომადგენლები იყვნენ ს. ჩიქოვანი, ბ. ჟღენტაი, ა. ბელიაშვილი და სხვები. ლიტ. 9.

ავტ.

**6.2.5.11. აკაკი წერეთლის პოეტური „ექო“ ტიციან ტაბიძის შემოქმედებაში.** /ბ. შევარდნაძე/. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი სპექტრი. – 2020. – #3. – გვ. 160-165. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ხანდახან, როცა ხელოვანის განსაკუთრებულობა უნდა აჩვენონ, მას წარმოგვიდგენენ ყოველგვარი ლიტერატურული გავლენისაგან გათავისუფლებულად. ამგვარი მიდგომა აძნელებს ხელოვანისათვის გარკვეული ადგილის მიჩენას ლიტერატურის განვითარების ისტორიაში. მეცნიერული თვალსაზრისით ასეთი აზრი შეუწყნარებელია. მით უმეტეს, რომ არც შეიძლება არსებობდეს ისეთი ჭეშმარიტი ხელოვანი, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისი ერის ლიტერატურულ ტრადიციებთან. სტატია მიზნად ისახავს ტიციან ტაბიძის შემოქმედებითი მიმართების კვლევას აკაკი წერეთლის პოეზიასთან, თემატიკური და გამომსახველობითი საშუალებების თვალსაზრისით. ტიციანი მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობასთან მიმართების თვალსაზრისით გამორჩეული პოეტი და კრიტიკოს-ესეისტია. ყოველი ჭეშმარიტი ნიჭიერის მსგავსად, იგი ყოველთვის დიდი ინტერესით ეპყრობოდა წინაპარ პოეტთა, კერძოდ, მე-19 საუკუნის ქართველ შემოქმედთა მემკვიდრეობას. ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე, ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, როგორია პოეტ ტიციან ტაბიძის მიმართება აკაკი წერეთლის შემოქმედებასთან. ლიტ. 7.

ავტ.

## 6.2.6. ენათმეცნიერება

**6.2.6.1. ტერმინოლოგიური პრობლემები ქართულ თარგმანში.** /თ. სუხიშვილი/. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომათა კრებული ტერმინოლოგიის საკითხები. – 2020. – #4. – გვ. 314-322. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

დახასიათებულია ის ტერმინოლოგიური პრობლემები, რომლებიც ქართულ სალიტერატურო ენაში ლექსიკური ნასესხობების შემოტანის დროს იჩენს თავს, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ წარმოჩნდება მხატვრული ტექსტის თარგმნის პროცესში. განხილულია შემდეგი შემთხვევები: 1. ნასესხები ტერმინები ენაში შემოდის ზეპირი გზით, 2. ნასესხები სიტყვები ენაში შემოდის ოფიციალური წერილობითი დოკუმენტაციის საფუძველზე, 3. ახალი ცნებების გაჩენა ქმნის ახალი ტერმინების არსებობის საჭიროებას, მაგრამ ამ შემთხვევაშიც არ არის გათვალისწინებული უკვე არსებული ტერმინოლოგიური ბაზა. ლიტ. 10, ინტერ. რეს. 6.

ნ. ლლონტი

**6.2.6.2. კავკასიოლოგიის ლინგვისტურ ტერმინთა ქართულ-რუსული ლექსიკონი.** /მ. აბალაკი, ე. საბანაძე/. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომათა კრებული ტერმინოლოგიის საკითხები. – 2020. – #4. – გვ. 35-40. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის თარგმნითი ლექსიკონებისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებაში დაიწყო მუშაობა კავკასიოლოგიის ლინგვისტიკურ ტერმინთა თარგმნით ლექსიკონზე. ასეთი ლექსიკონის შექმნა გამოიწვია კავკასიური საენათმეცნიერო შრომების თარგმნამ როგორც რუსულიდან ქართულზე, ასევე ქართულიდან რუსულზე, რადგან კავკასიური ენები გამოირჩევა ენობრივი სპეციფიკურობით, მით უფრო, რომ დღესდღეობით კავკასიოლოგიაში ასეთი ლექსიკონი არ არსებობს. კავკასიოლოგიის ლინგვისტიკურ ტერმინთა ლექსიკონის გამოყენებას შეძლებენ როგორც სტუდენტები და ასპირანტები, ასევე ამ სფეროში მომუშავე სპეციალისტები.

ნ. ლლონტი

**6.2.6.3. სიტყვარი – ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის პირველი ლექსიკონი – 100 წლისაა.** /ლ. ქაროსანიძე/. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომათა კრებული ტერმინოლოგიის საკითხები. – 2020. – #4. – გვ. 5-34. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

განხილულია ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის პირველი ლექსიკონი. აღნიშნულია, რომ 1920 წელს, საბჭოთა პერიოდში, გამოცემული ლექსიკონი ამოიღეს ხმარებიდან თავისი ე.წ პურისტული ხასიათის გამო. ასევე განხილულია ლექსიკონის ავტორთა ტერმინოლოგიური პრინციპები. აღნიშნულია ნიკოლაძეების მიერ ტერმინოლოგიური ცენტრის დაარსების შესახებაც. სურ. 1, ლიტ. 17.

ნ. ლლონტი

**6.2.6.4. ახალი მიმართულებები თანამედროვე ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში.** /ნ. დათეშიძე/. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომათა კრებული ტერმინოლოგიის საკითხები. – 2020. – #4. – გვ.144-154. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

განხილულია XX–XXI საუკუნეების მიჯნაზე სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებაში შექმნილი მრავალენოვან და განმარტებით-დარგობრივ ლექსიკონებთან დაკავშირებული სიახლეები. ის სირთულეები, რომლებსაც საქართველოს ტერმინოლოგისტები აწყდებოდნენ ლექსიკონებზე მუშაობისას. ლიტ. 4.

ნ. ლლონტი

**6.2.6.5. ლექსიკური ტრანსფორმაციები მხატვრულ თარგმანში.** /ლ. ებრალიძე/. ენა და კულტურა. – 2019. – #22. – გვ. 21-26. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები, რომელთა გამოყენებაც განპირობებულია დედანსა და თარგმანს შორის ეკვივალენტობის მიღწევის საჭიროებით იმ (ყველაზე ხშირ) შემთხვევებში, როდესაც წყარო და სამიზნე ენების ცალკეულ ელემენტებს შორის არ არსებობს პირდაპირი (ერთი ერთზე) შესაბამისობა. ამ პრობლემის გადასაჭრელად მთარგმნელს უხდება ისეთი ელემენტების მოშველიება, რომლებიც წყარო ტექსტის კომპონენტთა ზუსტ ეკვივალენტებს არ წარმოადგენენ, მაგრამ ერთობლიობაში იმავე შინაარსს გადმოსცემენ და ისეთსავე ეფექტს ახდენენ, როგორსაც დედანი. ხსენებული საკითხი არაერთი მეცნიერის მიერ არის შესწავლილი, მაგრამ მოცემული ნაშრომი ეყრდნობა რეკვერისეულ კლასიფიკაციას. სტატიაში ტრანსფორმაციის სხვადასხვა მეთოდები ილუსტრირებულია მხატვრული ლიტერატურის ინგლისურიდან ქართული და ქართულიდან ინგლისური თარგმანებიდან აღებული მაგალითებით. ლიტ. 14.

ავტ.

**6.2.6.6. სახელზმნის ზოგი მორფოლოგიური მახასიათებელი ინგლისურ ენაში.** /თ. გელაშვილი/. ენა და კულტურა. – 2020. – #23. – გვ. 21-256. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ინგლისურ ენაში ზმნის უპირო ფორმები ანუ სახელზმნები, სრულიად განსხვავდებიან ზმნის პირიანი ფორმებისგან, რადგანაც მოეპოვებათ, როგორც ზმნური, ასევე სახელის მორფოლოგიურ-სინტაქსური კატეგორიები. სახელზმნის ზმნური ნიშნები აშკარად შესამჩნევია ინგლისური ენის, როგორც სინტაქსურ, ასევე მორფოლოგიურ დონეზე ანალიზისას. კერძოდ, მორფოლოგიური თვალსაზრისით, სახელზმნას გააჩნია დროის, ასპექტის და გვარის გაგება. თუმცა, სახელზმნების შემთხვევაში, დროის გაგება სრულიად განსხვავდება ზმნის პირიანი ფორმებით გამოხატული დროის გაგებისაგან. ზმნის პირიანი ფორმებით გადმოცემულ დროს გააჩნია განსხვავებული და დამოუკიდებელი ფორმები დროის გამოსახატავად. სახელზმნის შემთხვევაში კი დრო პირობითია, ის მიემართება და დამოკიდებულია იმ დროზე, რომელიც პირიან ზმნას აქვს. სახელზმნა, მორფოლოგიური და სემანტიკური თვალსაზრისით, გაცილებით ახლოს დგას ზმნასთან, ვიდრე სახელებთან, მაშინ როდესაც მისი „არაზმნური“, ანუ სახელისთვის დამახასიათებელი ნიშნები შესამჩნევია ინგლისური წინადადების სინტაქსური აგებულების ანალიზის დროს. ლიტ. 7.

ავტ.

**6.2.6.7. ხმის მიმბამველობა თანამედროვე ინგლისურ ენაში.** /თ. თვალაძე/. ენა და კულტურა. – 2020. – #23. – გვ. 26-33. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

გამოკვლევის მიზანია – ხმის მიმბამველი ერთეულების ძირითადი ფუნქციონალური კანონზომიერებებისა და მნიშვნელობის გამოვლენა. გამოკვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ თანამედროვე ენებში არსებობენ და მეტყველებაში გამოიყენებიან საკმაო რაოდენობის სიტყვები - ხმის მიმბამველები. ისინი აღადგენენ სხვადასხვა ხმებს, რომელსაც გადმოსცემს ცოცხალი ან არაცოცხალი ბუნება. მათ ხშირად მიაკუთვნებენ შორისდებულებს, რომელთა მსგავსად არ გააჩნიათ ნომინაციური მნიშვნელობა და გრამატიკული ფორმა. ხმი სიმბამველი სიტყვების სემანტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებანის გაანალიზებით ვემხრობით იმ მკვლევართა აზრს, რომელთაც მიაჩნიათ რომ ხმის მიმბამველები უნდა გაიმიჯნოს შორისდებულებისაგან, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ მეტყველების ცალკე ნაწილს. ისინი გვხვდებიან წინადადების ნებისმიერი წევრის მნიშვნელობით, ყველაზე ხშირად კი როგორც შემასმენელი, რომლებიც იძლევიან წარმოდგენას ქმედების ხმოვანი გამოვლენის თვისების შესახებ. ხმის მიმბამველი სიტყვები აგრეთვე დამახასიათებელია მხატვრული ტექსტებისათვის. მწერლები იყენებენ ონომატოპებს აღსაწერი სცენის ფსიქოაკუსტიკური ფონის გასაძლიერებლად, გმირის მდგომარეობის, შეგრძნებების გამოსახატავად და ა.შ. ინგლისელი

მწერლების ნაწარმოებებიდან ამოკრებილი იქნა ონომატოპეები, რომლებიც კლასიფიცირებული იქნა პირდაპირი და /გადატანითი მნიშვნელობის პრინციპით. გამოვლინდა, რომ შედარებით ხშირად გამოიყენებიან ხმის მიმბაძველები, იმ ხმების აღმნიშვნელები, რომლებსაც გამოსცემენ ადამიანები და ცხოველები. ხმის მიმბაძველთა უნიკალურობა მდგომარეობს მასში, რომ ისინი მიმსგავსებულნი არიან გარემოს რეალურ ხმებთან და ამავედროულად წარმოადგენენ ენის ერთეულებს. ლიტ. 3.

ავტ.

**6.2.6.8. რუსული ნასესხობანი ინგლისურ ლექსიკაში.** /მ. შელია, მ. მარდანიას/. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2019. – XVII-XVIII. – გვ. 85-89. – ქართ., რეზ.: ინგლ.

ნაშრომში განხილულია რუსული ნასესხები სიტყვების ეტიმოლოგიური, ფორმალურ-ფუნქციური და სემანტიკური დახასიათება. ბევრი ნასესხი სიტყვა წარმოიშვა რუსულიდან ინგლისურ ენაში პირდაპირ ან ირიბად. ისინი განაწილებულია საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. ნასესხი სიტყვები ასახავს ენის გავლენას სხვადასხვა ერების ლექსიკაზე. ეს პროცესი როგორც ენობრივი და კულტურული ფენომენის პრობლემა ინტერესის საგანია და სპეციფიკური ენობრივი მახასიათებლებითაა განპირობებული. ნასესხობა ენის ლექსიკური სტრუქტურის გამდიდრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. ინგლისური ენა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია მსოფლიოს ენებს შორის, რადგან იგი შეიცავს უამრავ ნასესხ სიტყვებს. უძველესი დროიდან მოყოლებული, რუსეთის უზარმაზარ ტერიტორიებზე მცხოვრებ ხალხს კავშირი ჰქონდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან. რუსეთსა და ინგლისს შორის მყარდება აქტიური ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები. ინგლისური და რუსული ენები ენობრივი ასპექტებით ძალიან განსხვავდება. ეს ნიშნავს, რომ ენებს აქვთ სრულიად განსხვავებული გრამატიკა, გამოთქმა და ლექსიკა. ლიტ. 9.

ავტ.

**6.2.6.9. რატომ ისწრაფვის სამეცნიერო პროზა კომპოზიტების შექმნის და გამოყენებისაკენ?** /რ. კავთიაშვილი/. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი სპექტრი. – 2020. – #3. – გვ. 145-147. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

სამეცნიერო პროზაში კომპოზიტების (რთული სიტყვების) გამოყენება უნდა იყოს მოსახერხებელი, სხარტი და ზუსტი. ისინი ემსახურებიან ცვლილების და სიახლის შეტანას სამეცნიერო ტექსტებში. კომპოზიტების გამოყენება უდავოდ ეფექტური ფორმაა, რადგან ყოველთვის არსებობს მეცნიერის სურვილი და მოთხოვნა შეამოკლოს გარკვეული ცნებები და ლაკონურად გადმოსცეს ის. უსაზღვროდ ვრცელი, შერეულ სიტყვათა მიმდევრობა სამეცნიერო სფეროს ცნებებს მოუხერხებელ და არაეფექტურს ხდის. შესაბამისად, რთული ხდება მათი გაცნობიერება. ლიტ. 3.

ავტ.

## 6.3. ფილოსოფია, ეთიკა და რელიგია

### 6.3.1. ფილოსოფია, მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორია და ფილოსოფია

**6.3.1.1 ალ. ამილახვრის სოციალურ-პოლიტიკური და ფილოსოფიური შეხედულებები.** /ი. შიოშვილი/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2019. – ტ. 13. – #1. – გვ. 166-195. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ალ. ამილახვრის პოლიტიკურ-ფილოსოფიურ შეხედულებათა ძირითადი ნაკადი თავმოყრილია მის მიერ შექმნილ ტრაქტატში „ბრძენი აღმოსავლეთისა“ (პეტერბურგი, 1779). პლატონის



„სახელმწიფოს“ წაბამვით ალ. ამილახვრის ტრაქტატიც 10 მომცრო თავისაგან შედგება და მასში განსახილველი საკითხები იმგვარადაა წარმოდგენილი, როგორადაც მათ იმდროინდელი ევროპული აზროვნების ტრადიცია განიხილავდა. ქართველი სპეციალისტ-მკვლევრები კარგა ხანია მიუთითებენ, რომ ალ. ამილახვრის პოლიტიკურ-ფილოსოფიური წარმოდგენები სერიოზულ მსგავსებას პოულობს ფრანგი ფილოსოფოსის შარლ ლუი მონტესკიეს იმ დროისათვის დიდად გახმაურებულ „კანონთა გონთან“. სწორედ ამ ტიპის მეთოდოლოგიური გააზრებებიდან აყალიბებს იგი საკუთარ ხედვებს; ასეთია მაგალითად, მისი მოსაზრებები მეფეთა ხელისუფლების მასშტაბურობისა და ამავე კონტექსტში უფლებებისა და ვალდებულებების ბალანსის შესახებ; საინტერესოა ალ. ამილახვრის მსჯელობა ადამიანთა საზოგადოებუნიებისა და გავრცელებულ უზნეობათა კანონის ძალით მოთოკვის თაობაზე. დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ კანონი ხშირად არ იცვლებოდეს, რათა მის მიმართ ნიჰილისტური დამოკიდებულება არ გაჩნდეს. ფრიად საინტერესოა ალ. ამილახვრის მსჯელობა დამნაშავეს სიკვდილით დასჯის შესახებ. მისი ტრაქტატის საბოლოო აკორდი არის ომისა და მშვიდობის საკითხთა შედარებითი ანალიზი. ამგვარად, ალ. ამილახვარი აქტიურად ეხმარება განმანათლებელთა შეხედულებებს და განსასჯელად იღებს სახელმწიფოს მოწყობის, საზოგადოებრივი მმართველობის, ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის იდეებს და ამ უკანასკნელში ახალი ეპოქის მიერ მოტანილი თვალსაზრისის ჩანერგვის შესაძლებლობათა ანალიზს. ლიტ. 6.

ავტ.

## 6.3.2. ეთიკა

**6.3.2.1. ეთიკის ზოგიერთი ასპექტი ფილოსოფიაში, კულტურასა და რელიგიაში.** /ი. გეგეშიძე, მ. ბანძელაძე/. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2020. – XIX-XX. – გვ. 100-104. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ.

ეთიკა უძველესი თეორიული დისციპლინაა. ზოგადი ეთიკური ნორმები ეფუძნება ფილოსოფიურ და რელიგიურ რწმენას. თანამედროვე ებრაული ეთიკური ნორმებიც უშუალო კავშირშია ებრაულ რელიგიასთან. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე სიტყვა ეთიკას აწარმოებდა სიტყვისაგან „ეთო“-ს, რაც ნიშნავს ჩვევას. თანამედროვე ეთიკური თეორიები კავშირშია ეთიკურ სწავლებასთან უძველეს საბერძნეთში, რომლის თანახმადაც ეთიკა ადამიანს ეხმარება იმის გაცნობიერებაში, რომ განაზოგადოს და სისტემატიზირება გაუკეთოს ქცევის პრინციპებს. ანტიკური ფილოსოფიის ეთიკური მოძღვრება ემყარება ორ უმთავრეს პრინციპს, ერთი მხრივ, ანტიკურ ეთიკაში ცხოვრების უმაღლესი მიზანია ბედნიერების მიღწევა, მეორე მხრივ, კი არის ცოდნა. ეთიკური რწმენა ანტიკურ ფილოსოფიაში განსხვავდება რელიგიური ფილოსოფიისაგან. წმინდა ავგუსტინესთვის სათნოება ისეთი რამ არის, რომლის აღსრულება მხოლოდ და მხოლოდ ღმერთს შეუძლია. სათნოება ისეთი რამ არის, რომელშიც ადგილი არა აქვს მიწიერ, ადამიანურ მოტივებს. ეთიკური ნორმები კავშირშია რელიგიურ ცნებებთან. ეს ასეა ქრისტიანულ რელიგიაშიც და იუდაიზმშიც. მათ აქვთ მთელი რიგი საერთო და განმასხვავებელი ნორმები. ზოგადად მეტს საუბრობენ ქრისტიანულ მორალზე, ვიდრე იუდაიზმის ეთიკურ ნორმებზე. ამიტომ ეს საკითხი უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს ფილოსოფოსების, რელიგიური წარმომადგენლებისა და ეთიკისტების მხრიდან. ლიტ. 5.

ავტ.

### 6.3.3. თეოლოგია

**6.3.3.1. XIX საუკუნის დასავლური ცივილიზაციის ზნეობრივ-სულიერი ასპექტები.** /გ. პაპუაშვილი/. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2020. – XIX-XX. – გვ. 105-109. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ.

XIX საუკუნეში განმანათლებლების მიერ შეპირებული „კანონმდებელი გონის მეუფება“ შეცვალა ბურჟუაზიული ცნობიერებისთვის დამახასიათებელმა მერკანტილურმა აზროვნებამ, ანგარიშიანობამ; თანასწორობა დაყვანილ იქნა კანონის წინაშე ფორმალურ თანასწორობამდე; პიროვნების უსაფრთხოება გათელილ იქნა იაკობინური დიქტატურის მიერ; სოციალური თავისუფლება კაპიტალისტური ექსპლუატაციის პირობებში ფიქციად იქცა, ხოლო მესამე წოდების რევოლუციური ძმობა მალევე დაინგრა. მოვლენათა ასეთმა განვითარებამ კი სამართლიანად წარმოშვა კითხვა: თუ სამყაროს მართავს ადამიანის გონი, მაშინ როგორ შეიძლება ასეთი საოცარი შეუსაბამობა წარმოშობილიყო მიზანსა და შედეგს შორის? პასუხი ნათელია: ბურჟუაზიულმა ცივილიზაციამ, უარი თქვა რა ღმერთზე, საფუძველი ჩაუყარა ღირებულებათა ანთროპოცენტრულ სისტემას, რომელმაც ცოდვით დაცემული ადამიანი გააღმერთა. ამრიგად, XIX საუკუნემ, ერთი მხრივ, უამრავი მეცნიერული სიახლე მოუტანა კაცობრიობას და, მეორე მხრივ, სწრაფი ტემპით გაგრძელდა აღორძინების ეპოქაში დაწყებული ფუძემდებლურ სულიერ-ზნეობრივ ღირებულებათა გადაფასების ურთულესი პროცესი, რამაც, ფაქტობრივად შეუძლებელი გახადა ამ ასწლეულში მიმდინარე სოციო-კულტურული განვითარების ერთმნიშვნელოვანი შეფასება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის მსოფლიო ისტორიის სრულიად „გამორჩეული“ ეტაპი, როდესაც, ერთი მხრივ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიერ განპირობებული ინდუსტრიული ცივილიზაციის ახალი ტიპის ჩამოყალიბება მოხდა, და, მეორე მხრივ, აღმოცენებულმა სამრეწველო ცივილიზაციამ სულ უფრო მეტად დააუძლურა კულტურის სულიერი მდგომარეობა. პროგრესი, რომელიც საშიშროებას უქმნის კულტურას, ცივილიზაციას და ტექნოგენურ აზროვნებას, რომელსაც სულიერების დაღუპვა განუზრახავს. ეს არის სწორედ ის მთავარი პრობლემა, რომელიც კაცობრიობის წინაშე განსაკუთრებული სიმწვავეით ზუსტად XIX საუკუნიდან დადგა. ლიტ. 9.

ავტ.

### 6.3.4. რელიგიათმცოდნეობა

**6.3.4.1. კრეტის საეკლესიო კრება და აფხაზეთის ავტოკეფალიის საკითხი.** /ქ. პავლიაშვილი/. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2019. – XVII-XVIII. – გვ. 51-57. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ.

საუკუნეების განმავლობაში, სამყაროში განვითარებულმა ეპოქალურმა ძვრებმა, ასახვა ჰპოვა საეკლესიო ცხოვრებაშიც და უცილობელი პირობა შეიქმნა მსოფლიო კრების ტრადიციის აღდგენისათვის. სამზადისმა 50 წელზე მეტ ხანს გასტანა და 1961 წლიდან სამყაროს მართლ-მადიდებლური ეკლესიის სრულიად მთელი ძალები გააერთიანა. მისი განხორციელება კი მოხდა 2017 წლის 16-27 ივნისს. ახალი ეკლესიების წარმოშობისა და ავტოკეფალიის მინიჭების საკითხი იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კრების მოსამზადებელი კომისიის სხდომებზე. მაგრამ რუსეთის, სერბეთისა და საქართველოს ეკლესიების დაჟინებული მოთხოვნით, საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა. აფხაზმა სამღვდელოებამ გაუგზავნა პეტიცია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ავტოკეფალიის მინიჭების შესახებ. მაგრამ იმ დროს აფხაზეთში განსხვავებული მოსაზრებები არსებობდა ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით: სამღვდელოების ერთ ნაწილს ჰქონდა რუსული ორიენტაცია, სურვილი მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციაში ყოფნა, ხოლო მეორე ნაწილს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში. ცნობილია, რომ კრეტის შეხვედრაზე არ განხილულა ახალი ეკლესიები-

სათვის ავტოკეფალია-ავტონომიის მინიჭების საკითხი. საეკლესიო კრებამ არ დაუშვა მართლ-მადიდებელ ეკლესიათმორისი ისედაც დამაბული ურთიერთობების გამწვავება. გაცხადდა, რომ აფხაზეთის სამღვდელთა დაელოდება მომდევნო საეკლესიო კრებას, რომელიც რამდენიმე წელიწადში გაიმართება. ლიტ. 9.

ავტ.

**6.3.4.2. ჟურნალი „ივერია“ არქიმანდრიტ გაიოზის (რექტორი) მოღვაწეობის შესახებ.** /თ. ფხალაძე/. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2019. – XVII-XVIII. – გვ. 58-65. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ.

არქიმანდრიტი გაიოზის შემოქმედებითი საქმიანობა ძალზე მდიდარია. მას ეკუთვნის როგორც ორიგინალური ნაწარმოებები, ისე თარგმანები. მისი შემოქმედების ნაწილი კვლევითი ხასიათისაა და წარმოადგენს ქართული ენის ფუნქციონირების მექანიზმის, მახასიათებლების, სტრუქტურის, გრამატიკისა და საქართველოს ისტორიის გარკვეული საკითხების საკმაოდ სიღრმისეულ შესწავლას. რექტორ გაიოზს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის საქართველოს განათლების ისტორიის წინაშე, თელავის სასულიერო სემინარიის დაარსებისა და სწავლების პროცესის სათანადო ორგანიზების წყალობით. მისი მოღვაწეობის ძირითადი პერიოდი რუსეთის ეკლესიის მსახურებას უკავშირდება. ამ შემთხვევაშიც კი რექტორი გაიოზი ცდილობს და ახერხებს დადებითი წვლილი შეიტანოს არარუსი მოსახლეობის განათლებისა და მათი კულტურის განვითარებაში. ამ მხრივ, აღსანიშნავია მისი როლი ოსური ანბანის შექმნასა და საეკლესიო სკოლების დაარსებაში. ლიტ. 10.

ავტ.

## **6.4. ხელოვნება (ხელოვნება, ხელოვნების ისტორია, საშემსრულებლო ხელოვნება, მუსიკა)**

### **6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია**

**6.4.1.1. ქართველი ემიგრანტი ხელოვანები თანამედროვე ხელოვნების მრავალფეროვან სამყაროში.** /მ. ჩიხრაძე, ქ. შავგულიძე, მ. შერგელაშვილი/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2019. – ტ. 13. – #3. – გვ. 143-148. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

თანამედროვე ქართული სახელოვნებო პროცესების შესაფასებლად და გასაანალიზებლად უმნიშვნელოვანესია საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე შემოქმედთა შესწავლა და მათი როლის ხელახალი გააზრება საქართველოს დასავლეთთან ინტეგრაციის პროცესში. ნაშრომში განზოგადებულია ემიგრაციის პრობლემატიკა და განხილულია ინტეგრაციის მიზეზშედეგობრივი საკითხები დასავლეთში მოღვაწე ხელოვანთა შემოქმედების, მათი პიროვნული და შემოქმედებითი იდენტობის ფორმირების მაგალითზე. აღნიშნული საკითხი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც არ არსებობს სისტემური კვლევა ქართველი ემიგრანტი ხელოვანების შემოქმედებაზე როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო სახელოვნებო სამეცნიერო წრეებში. ემიგრანტი ხელოვანების შესახებ მსჯელობისას წარმოდგენილია თანამედროვე ხელოვნების სახასიათო თეორიები, პოსტმოდერნისტული კონცეფციები, რომელთა ფარგლებშიც ნათლად იკვეთება ეროვნული იდენტობის საკითხის მნიშვნელობა და რაობა XXI საუკუნის გლობალურ კონტექსტში. ამ საერთაშორისო კულტურულ პროცესში ქართველი ემიგრანტი ხელოვანების როლი ნიშანდობლივია იმდენად, რამდენადაც ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ დასავლეთთან კულტურული ინტეგრაციის თვალსაზრისით და ამავდროულად, ამდიდრებენ ლოკალურ სახელოვნებო სივრცეს განსხვავებული, დასავლეთიდან შემოსული მხატვრული ღირებულებებით. კვლევის შედეგად პასუხი გაეცა კითხვებს: რამდენად ორგანულად ერწყმიან

საქართველოდან იმიგრირებული ხელოვანნი დასავლურ გარემოს, როგორც მათი ცნობიერი დამოკიდებულება ქართული მხატვრული ტრადიციის მიმართ; რამდენად სპეციფიკურად – „ქართულად“ წარმოჩინდება მათი ხელოვნება ასეთი კულტურული ინტეგრაციის პირობებში. გამოიკვეთა ემიგრანტ ხელოვანთა როლი ქართული თანამედროვე ხელოვნების ისტორიაში, ყოველივე ეს კი მცდელობაა ხელახლა გავიაზროთ და შევაფასოთ საქართველოს უახლესი ისტორიის პოსტსაბჭოთა პერიოდი თავისი ხელოვნებითა და კულტურით. კვლევაში ნაჩვენებია ის პიროვნული გაორება, რაც ემიგრანტ ხელოვანებში იჩენს თავს და თანაც, მათი ორგანული შერწყმა იმ რთულ პროცესებთან, რაც დასავლურ თანამედროვე ხელოვნების პოსტმოდერნისტულ სამყაროს ახასიათებს. ლიტ. 2.

ავტ.

**6.4.1.2. ოთხთა ეკლესიისა და პარხლის მონასტრების დიდი ბაზილიკები: მშენებლობის ეტაპები.** /ი. გივიაშვილი/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2020. – ტ. 14. – #2. – გვ. 114-121. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ოთხთა ეკლესიისა და პარხლის მონასტრები ისტორიულ ტაოში, „ქართველთა სამეფოს“ სასახლურ პუნქტებში მდებარეობს. წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია აღნიშნული მონასტრების ეკლესიების სამშენებლო პერიოდები შედარებითი ანალიზისა და ისტორიული ფონის გათვალისწინებით. მრავალწლიანმა დაკვირვებებმა აჩვენა, რომ ოთხთა ეკლესიას აქვს მინიმუმ სამი სამშენებლო პერიოდი, ხოლო პარხალს ორი. ოთხთა ეკლესიის ბაზილიკის ოპუს-მიქსტუმით ნაშენი კედლები უადრესი ტაძრის ნარჩენი უნდა იყოს. შესაძლოა აქ, გრიგოლ ხანძთელის დაარსებული ნეძვის მსგავსად, IX ს-ის სამეკლესიანი ბაზილიკა ან სხვა უფრო ადრეული ტაძარი იდგა. მეორე ეტაპზე, არსებულ კედლებში კარგად ნათალი ქვით ნაგები ახალი სვეტნარი და პატრონიკე ჩაშენდა, ტაძარი შეიმოსა საპირე ქვით, რაც 965 წლამდე განხორციელდა. მესამე ეტაპზე მოხდა ეკლესიის კიდევ ერთი გრანდიოზული რეკონსტრუქცია, როდესაც აფსიდის სივრცე გაიზარდა პირველი წყვილი ბურჯების აღმოსავლეთისკენ გადაადგილებით. გადაკეთება სავარაუდოდ ათონის მთიდან მოტანილი ახალი ლიტურგიკული წესის დანერგვით იყო გამოწვეული. ოთხას მესამე სამშენებლო პერიოდი და პარხლის აშენება ერთდროულად განხორციელდა. პარხლის ოთხთავის მინაწერის თანახმად, 973 წლისთვის პარხლის ეკლესია უკვე აშენებული იყო. მოგვიანებით, მას ნაწილობრივ შეუცვალეს სახურავის დაფერდების კუთხე, რაც კათალიკოს იოანეს (980-1001) მიერ ინიცირებული ფასადების გაფორმების თანადროულად უნდა მომხდარიყო. ორივე ეკლესიის დასავლეთით სათავსები მოგვიანებით მიუშენდა, აგების ზუსტი დრო უცნობია. სურ. 4, ლიტ. 15.

ავტ.

**6.4.1.3. ღვინო და მუსიკა ქართულ მხატვრობასა და რეკლამაში.** /მ. ქავთარაძე, ე. ბუჩუკური/. ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. – 2019. – #2(20). – გვ. 3-10. – ინგლ.; რეზ.: ინგლ.

საქართველო ღვინის ქვეყანაა, სადაც ვაზს „სიცოცხლის ხეს“ უწოდებდნენ. ვაზის კულტი ქართველების ყოველდღიურობის ნაწილი იყო, რაც ნათლად ჩანს ფოლკლორში, მითოლოგიაში, ხუროთმოძღვრებასა, ორნამენტურ მხატვრობაში, მუსიკაში. ხელოვნების დარგთა სინთეზი ყოველთვის ბადებს რაღაც ახალს, მესამე მხატვრულ მოვლენას, მიახლოვებულს არქესთან, რომელიც სწორედ მისგან მომდინარე ცნობიერი თუ ქვეცნობიერი იმპულსებითა და სინესტეზიით არის ნაკარნახევი. სტატიაში თემა „ღვინო და მუსიკის“ იკონოგრაფიული ასპექტი განხილულია ერთმანეთისაგან ეპოქალურად დაშორებული ორი მოვლენის მაგალითზე: ნიკო ფიროსმანის მე-19 საუკუნის მხატვრობა, რომელშიც ქეიფის სურათებია ასახული; კვლევის ძირითად ვექტორს წარმოადგენს: მხატვრის დროინდელი თბილისის „მელოსფერო“, რომელშიც ცხოვრობდა ნიკო ფიროსმანი და „ღვინო“, როგორც მისი კომპოზიციების შემადგენელი (აბრები, ჯგუფური კომპოზიციები, ნატიურმორტები). მოხსენების მეორე ნაწილი ეთმობა 21-ე საუკუნეში ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანიის (GWS) ახალი კონცეფციის მატარებელი

ღვინის ბრენდის „ვისმინოს“ შექმნას, რომლის ეტიკეტები მზადდება კონკრეტული მუსიკალური კომპოზიციების შესრულების შედეგად. სურ. 10, ლიტ. 10.

ავტ.

## 6.4.2. არქიტექტურული დიზაინი

**6.4.2.1. გერმანელი არქიტექტორები და მხატვრები საქართველოში.** /გ. იობაშვილი/. პროფესიონალის ხმა. – 2019. – #1-2(14). – გვ. 90- 97. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

კავკასიისა და კერძოდ ამიერკავკასიის უძველესი ისტორია და კულტურა, უმშვენიერესი ბუნება და აქ მცხოვრები ადამიანების განსხვავებული ხასიათი, ზნე-ჩვეულებები და ტრადიციები ჯერ კიდევ უძველესი დროიდან იზიდავდა უცხოელ ისტორიკოსებს, მწერლებს, პოეტებს და მხატვრებს. მათ დაგვიტოვეს მნიშვნელოვანი ნაშრომები საქართველოს შესახებ, მეტად ფასეული ისტორიული ცნებები. ჩვენ გვინდა რამდენიმე გერმანელი არქიტექტორის და მხატვრის შემოქმედება განვიხილოთ, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოში არქიტექტურის ისტორიასა და მხატვრობაში, თუმცა ყველა მათგანს ვერ ჩამოვთვლით გარკვეული მიზეზების გამო. ესენია არქიტექტორები: ალბერტ ზალცმანი, პაულ შტერნი, ლეოპოლდ ბილფელდი და ალექსანდრე შიმკევიჩი და სხვ. მხატვრები: ალექსანდრე ზალცმანი, რიჰარდ ზომერი, მაქს ტილკე, ირინა შტენბერგი და სხვ. ლიტ. 5.

ავტ.

## 6.4.3. საშემსრულებლო ხელოვნებათმცოდნეობა (მუსიკათმცოდნეობა, თეატრმცოდნეობა, დრამატურგია)

**6.4.3.1. ვახტანგ ჭაბუკიანის საბალეტო შემოქმედება და პედაგოგიური მოღვაწეობა.** /მ. თხილავა/. ენა და კულტურა. – 2020. – #23. – გვ.188-191. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ.

ქართული პროფესიული ბალეტის ფუძემდებელი, მოცეკვავე და პედაგოგი, სახალხო არტისტი ვახტანგ ჭაბუკიანი დაიბადა თბილისში, 1910 წლის 12 მარტს. ვახტანგი მარია შევალიეს სახელობის მუშაობდა, სადაც ფიგურებს ამზადებდა. ძალიან მოძრავი ხასიათის გამო, მარია შევალიემ ჭაბუკიანს ბზრიალა შეარქვა. 15 წლის ასაკში ჭაბუკიანმა თბილისის ოპერის თეატრში დადგა „ცეცხლის ცეკვა“. ვახტანგ ჭაბუკიანი სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა ლენინგრადის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში. ჭაბუკიანმა 7 წლის პროგრამა 3 წელიწადში გაიარა. ლენინგრადში, ქორეოგრაფიულ სასწავლებელში სწავლის დროს, მან დადგა „ცეცხლის ცეკვა ჩირაღდნით“ ანტონ რუბინშტეინის მუსიკაზე. ქორეოგრაფიული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ვახტანგ ჭაბუკიანი მუშაობდა ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრში, სადაც წამყვან პარტიებს ასრულებდა. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჭაბუკიანის გამგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში თავის პარტნიორ ტატიანა ვიოჩესლოვთან ერთად. ამ ვიზიტმა აქცია ჭაბუკიანის სახელი ლეგენდად. ამერიკული პრესა იუწყებოდა, რომ მათი გამოსვლა სენსაცია იყო. ის დიდი პატრიოტი იყო. თავისი სამშობლოს გარეშე მას არც ფიზიკური და არც შემოქმედებითი არსებობა არ შეეძლო. ამიტომაც, 1941 წელს ჭაბუკიანი ჩამოვიდა საქართველოში და ხელი მოკიდა საბალეტო დასის განვითარებას. ჭაბუკიანის სახელს უკავშირდება კლასიკურ ბალეტში მამაკაცის როლისა და ფუნქციის გარდაქმნა. მანამდე მამაკაცს მხოლოდ დამხმარე ფუნქცია ჰქონდა. ჭაბუკიანმა კლასიკურ ბალეტში ხალხური ელემენტები შეიტანა, დაამკვიდრა საკუთარი ინდივიდუალური სტილი, ახდენდა პერსონაჟების ახლებურ გააზრებას... მანვე გაზარდა კორდო ბალეტის როლი. 1992 წლის 8 აპრილს ვახტანგ ჭაბუკიანი გარდაიცვალა. დაკრძალულია მთაწმინდაზე ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. ლიტ. 2.

ავტ.

**6.4.3.2. საკანონმდებლო თეატრი.** /ნ. ჩერქეზიშვილი/. ენა და კულტურა. – 2019. – #22. – გვ. 158-161. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ემიგრაციიდან დაბრუნებულმა ბრაზილიელმა კულტურულმა აქტივისტმა, რეჟისორმა და პოლიტიკოსმა აუგუსტო ბოალიმ საკანონმდებლო თეატრი დაარსა. საკანონმდებლო თეატრის მთავარი პერსონაჟები არიან ჯოკერი და მაყურებელ-მსახიობები. ქალაქის საკრებულოში მუშაობისას ბოალიმ თეატრალური კომპანიის საშუალებით რამდენიმე საკანონმდებლო ინიციატივა და საკანონმდებლო წინადადება ბრაზილიელ მოქალაქეებში განიხილა. შედეგად, მოქალაქეების მიერ შემუშავებული კანონპროექტის იდეა მოსახლეობის ინტერესებს ემსახურება. ლიტ. 4.

ავტ.

**6.4.3.3 ახალი რეალობის წინაშე – პოლონელი კომპოზიტორები 1945 წლის შემდგომ პირველ წლებში.** /ზ. ბოლესლავსკა (ბოლესლავსკა-ლევანდოვსკა)/. ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. – 2019. – #1(19). – გვ. 3-10. – ინგლ.; რეზ.: ინგლ.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პოლონეთი საბჭოთა კავშირის მიერ კონტროლირებად ზონაში მოექცა. კომუნისტური პარტიის კულტურულმა პოლიტიკამ მალევე დააბნელა პოლონეთის მუსიკალური ცხოვრება. თუმცა, 1945 წლის შემდგომი პირველი წლები არანორმალური აქტივობის პერიოდია - ომის შედეგად დაშლილი მუსიკალური ორგანიზაციების სტრუქტურების აღორძინებისა და ქვეყანაში მუსიკალური ცხოვრების შექმნის. უკვე 1945 წელს შეიქმნა ისეთი ინსტიტუტები, როგორცაა Polish Music Publishers (PWM Edition) და პოლონეთის კომპოზიტორთა კავშირი — ორივემ დიდი გავლენა იქონია მომდევნო ათწლეულების მუსიკალურ-შემოქმედებით ცხოვრებაზე. ინსტიტუტებისა და მნიშვნელოვანი მუსიკალური ნაწარმოებების წარმოსადგენად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1948 წლამდე პერიოდს. მაგრამ პოლიტიკური კონტროლის გამკაცრებასთან ერთად, რომლის სიმბოლო გახდა მუსიკაში სოციალისტური რეალიზმის თავსმოხვეული დოქტრინა (1949), სიტუაცია მეტად გართულდა: კომპოზიტორებმა დაკარგეს დამოუკიდებლობა და ქვეყანა ჩაიძირა კულტურულ იზოლაციაში, რომელიც გაგრძელდა პოლიტიკურ დათბობამდე 1956 წ. ნაშრომში წარმოჩენილია კომპოზიტორთა სტარეტეგიები, რომლებსაც ისინი მიმართავდნენ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პირველ წლებში, რათა შეექმნათ თავიანთი არსებობისთვის აუცილებელი საორგანიზაციო ჩარჩოები და ამბიციური და ორიგინალური მუსიკა. „სოცრეალიზმში ჩაძირვის“ კრიტიკული დრო წარმოდგენილი იქნება რჩეული მასალებით — კომპოზიტორისა და მუსიკოს-კრიტიკოსის, 1948-50 წლებში პოლონეთის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის ზიგმუნდ მიცელსკის მიმოწერისა და გამოსვლების სახით. ლიტ. 19.

ავტ.

**6.4.3.4. ზუსტად ჩრდილოეთით: ერიკს ეშენვალდსი და ჩრდილოეთის ციალი, როგორც გაცხადებული მხატვრული სივრცე.** /დ. ლენცნერი/. ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. – 2019. – #1(19). – გვ. 11-17. – ინგლ.; რეზ.: ინგლ.

ლატვიელი კომპოზიტორი ერიკს ეშენვალდსი (დ. 1977) სწრაფად იძენს აღიარებას გლობალურ საგუნდო სამყაროში, მისთვის დამახასიათებელი მუსიკალური სტილის და ტექნიკური განხორციელების თვალსაზრისით, და კიდევ, ტექსტურადაც რთული კომპოზიციებით. ეშენვალდსის ნაწარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი შთაგონებულია ჩრდილოეთის ციალით (*Aurora Borealis*), მათ შორისაა რამდენიმე საგუნდო კომპოზიცია და მულტიმედიური სიმფონია. მოხსენებაში ყურადღებას გავამახვილებ ეშენვალდსის კომპოზიციას *“Northern Lights”* შერეული გუნდისთვის, ჩინური ზარებისთვის, წყლით სავსე ჭიქებისთვის, სადაც გამოყენებულია ამონარიდები XIX ს. პოლარული მკვლევრების — ამერიკელი ჩარლზ ფრენსისის და ნორვეგიელი ფრიტიოფ ნანსენის — დღიურებიდან, უძველეს ლატვიურ ფოლკლორულ სიმღერებთან კომბინაციაში. ეს კარგად გააზრებული ნაწარმოები წარმოაჩენს ეშენვალდსის ამჟამინდელი

სტილის ძირითად თავისებურებებს, მარტივი ჰარმონიული ენისა და სტრუქტურული კონსტრუქციის ჩათვლით. ხერხები, რითაც ეშენვალდი განსაზღვრავს, გამოყოფს და ერთმანეთს აფენს არჩეულ ტექსტებს, თითქოსდა გართულებული და ეფექტურია, რასაც ძლიერი ნარატივისკენ მივყავართ. კულტურის გეოგრაფების, ეთნოგრაფების, ისტორიკოსების, მთხრობელებისა და ლიტერატურული მეცნიერების შრომებზე დაყრდნობით ვამტკიცებ, რომ შესაძლოა, ეშენვალდის გატაცება ბუნების ფენომენით ღრმა კავშირშია ლატვიურ ხალხურ კულტურასთან, კომპოზიტორის შემოქმედებითი მოძრაობა მისი სამშობლოს გეოგრაფიული მდებარეობიდან ჩრდილოეთისკენ ასახავს ლატვიური პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურის ისტორიის პრობლემებს და, შესაბამისად, ეშენვალდის აუცილებლობას, იპოვოს საკუთარი უნიკალური მხატვრული სივრცე და მისი კონტექსტუალიზება მოახდინოს. ნაწარმოების *“Northern Lights”* მაგალითზე ვამტკიცებ, რომ თავისი „ჩრდილოეთური“ შემოქმედებითი პროდუქტის მეშვეობით ეშენვალდის აღმოაჩენს, ათანხმებს და ბოლოს, ქმნის საკუთარ კულტურულ იდენტობას – როგორც ლატვიელი, და უფრო ფართოდ, როგორც „ჩრდილოეთელი“ კომპოზიტორი. სურ.2, ცხრ.3, ლიტ. 13.

ავტ.

**6.4.3.5. შუმანის „კარნავალი“ და ტენესი უილიამსის „კამინო რიალი.“** /გ. ღვინჯილია/. ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. – 2019. – #1(19). – გვ. 18-24. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

სტატიის კვლევის ობიექტია იდეურ, სემანტიკურ და მხატვრულ-შინაარსობრივ დონეზე გამოვლენილი პარალელები რობერტ შუმანის საფორტეპიანო ციკლს „კარნავალსა“ და ტენესი უილიამსის რომანტიკული ტენდენციებით გაჯერებულ თეატრალურ პიესას „კამინო რიალს“ შორის. ნაწარმოებების პრემიერა წარუმატებელი აღმოჩნდა, მსმენელმა და მაყურებელმა ისინი აღიქვა ანარქიად. ნაწარმოებებს აერთიანებთ: ინოვაციურობა; „კარნავალში“ გადმოცემულია უპრეცედენტო კავშირი ლიტერატურასთან, უილიამსის პიესაში მუსიკასთან; „კარნავალი“ მიგვანიშნებს მუსიკალური აზროვნების ძირეულ ცვლილებაზე, „კამინო რიალი“ კი ამერიკული დრამატურგიის ახალი ეტაპის დასაწყისია; ავტობიოგრაფიულობა; ორივე ხელოვანის აზრით, საკუთარი შინაგანი სამყარო საუკეთესოდ ამ თხზულებებში გამოავლინეს; ნაწარმოებებში აისახა ავტორების ფრაგმენტაციისკენ მიდრეკილი ფაქიზი ფსიქიკა; აქცენტი ირაციონალურ ნარატივზე; გაქცევა რეალიზმიდან პოეტურ თეატრში შოუს ელემენტებით; ალევორიული ფორმით, სიმბოლოებით კონსტრუირებული ვირტუალური რეალობა; წარმოჩენილია არა მხოლოდ კარნავალი, როგორც რეალური რიტუალი, არამედ კარნავალურობაც, როგორც აზროვნების მეთოდი; ნაწარმოებები ენიგმატურია; წარსულის იდეალიზაცია; ბრძოლა არა წარსულის, არამედ დრომოჭმული იდეების წინააღმდეგ, როგორც საზოგადოების განახლების საწინდარი; „კარნავალში“ ლიტერატურული ნარატივი საზღვრავს ფორმას, უილიამსის პიესაში დრამატურგიულ როლს თამაშობს მუსიკა; მონტაჟის პრინციპი; „კარნავალი“ არის სუიტა პრემიულით და 21 პიესით, „კამინო რიალი“ - ერთმოქმედებიანი პიესა პროლოგით და 16 ბლოკით; რეალობა გადაჯაჭვულია ფანტასტიკასთან; პერსონაჟები წარმოქმნიან ავტორის შინაგან წარმოსახვაში არსებულ სოციუმს, რომელიც ითვალისწინებს პროგრესულად და რეგრესულად მოაზროვნე პიროვნებების თანაარსებობას; შეყვარებული პერსონაჟების სიჭარბე; იუმორისტული შტრიხები; თეატრალური პიესის ყოველ ბლოკში ახალი გმირის დამატება, „კარნავალის“ ყოველი პიესა ახალი პერსონაჟია; პერსონაჟების გარეგნობა ან ხასიათი წარმოჩენილი და უტრირებულია მათთვის სახასიათო შტრიხებით. ლიტ. 13.

ავტ.

**6.4.3.6. დასავლეთი – აღმოსავლეთი: აშშ-დან ევროპისკენ.** /ქ. ბოლაშვილი/. ქესჟ მუსიკის-მცოდნეობა და კულტუროლოგია. – 2019. – #1(19). – გვ. 25-29. – ინგლ.; რეზ.: ინგლ.

XX საუკუნის მუსიკალური ხელოვნების ერთ-ერთი საბაზისო თვისება – ზგერის მიმართ ახალი, ტრადიციულისგან განსხვავებული დამოკიდებულება, როგორც თვითკმარი და თვითღირებუ-  
ლი მოვლენის მიმართ, საერთო და გამაერთიანებელი პრინციპია მოდერნის და ავანგარდის  
ეპოქების სხვადასხვა მხატვრული მიმართულების და შემოქმედებითი ინდივიდუალობისთვის.  
მოხსენების მიზანს წარმოადგენს არსებულ სიახლეთა მრავალფეროვნებიდან მხოლოდ იმ  
ნაწილის წარმოჩენა, რომელიც მუსიკალური ენის ერთ-ერთ ელემენტს, ზგერათსიმალღებრივ  
პარამეტრს უკავშირდება. ამასთანავე, იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ საკომპოზიტორო  
ტექნიკის ელემენტის როლით და წარმოადგენს ნაწარმოების ესთეტიკურ და მხატვრულ-  
შინაარსობრივ ასპექტებს. ზგერისადმი ახალი დამოკიდებულების მიმართ ინტერესი, ესაა ის  
მხატვრული პროცესები, რომლებიც სინქრონულად და, ხშირად, ერთმანეთისგან დამოუკიდებ-  
ლად მიმდინარეობდა დასავლეთში და აღმოსავლეთში (მოხსენებაში გეოგრაფიული  
ორიენტირები „დასავლეთი-აღმოსავლეთი“ გულისხმობს აშშ-ს და ევროპას). აღსანიშნავია, რომ  
XIX საუკუნეში ევროპიდან ამერიკაში „ექსპორტირებული“ აკადემიური მუსიკა, XX საუკუნის  
მეორე ნახევარში, თვისობრივად განახლებული, დაუბრუნდა ევროპას. მნიშვნელოვანია, რომ  
სწორედ აშშ-ში მოღვაწე კომპოზიტორებმა შექმნეს მრავალსაუკუნოვანი ისტორიული  
ცნობიერებისგან თავისუფალი და შემოქმედებითი ექსპერიმენტისთვის გახსნილი მხატვრული  
რეალობა. ამ პროცესების სათავეში იდგნენ ჩარლზ აივზი და ჰენრი კოუელი. ანალოგიური  
პროცესები მიმდინარეობდა ევროპულ მუსიკაში, მაგალითად, დებიუსის, ბარტოკის  
შემოქმედებაში, მაგრამ განსაკუთრებული ინტენსივობით განვითარდა ედგარ ვარეზის და  
მოგვიანებით პერჩის, კრამბის, კეიჯის — ერთი მხრივ, და ნონოს, შტოკკაუზენის, ლიგეტის —  
მეორე მხრივ, შემოქმედებაში. ამგვარად, ევროპული ტრადიციის აკადემიური მუსიკის  
პრინციპები, აშშ-ში ახალი რესურსებით გამდიდრებული, კვლავ ევროპას დაუბრუნდა. ამ  
შემოქმედებითმა პროცესებმა უსასრულო ჯაჭვის სახე მიიღო. ლიტ. 6.

ავტ.

**6.4.3.7. ვიეტნამური სიმფონია ინტერტექსტუალობის პერსპექტივაში ინოვაციის შემდეგ.** /ნ. თი  
ნგოკ დუნგი/. ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. – 2019. – #1(19). – გვ. 30-44. –  
ინგლ.; რეზ.: ინგლ.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში კონცეფცია „გლობალიზაცია“ ისევე, როგორც ტერმინი  
„ინტერტექსტუალობა“ ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე. ეს  
დრამატული ზრდა გამოწვეულია ცოდნის, ვაჭრობისა და კულტურის გაცვლით მთელ მსოფ-  
ლიოში და ტექნოლოგიური მიღწევებით (განსაკუთრებით საინფორმაციო და საკომუნიკაციო  
ტექნოლოგიების დარგში). ამან შექმნა საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში ისეთი ფენომენი,  
რომელიც მოითხოვს შესწავლას და განხილვას მრავალი ასპექტიდან. „აქტიური არჩევანი“  
აკულტურაციაში შეიძლება ჩაითვალოს როგორც თითოეული კულტურის თვითმყოფადობისა  
და კრეატიულობის წარდგენის საშუალება და ეს არის „ინტერტექსტუალობის“ პრიორიტეტი.  
ამვე დროს, აკულტურაციის გზა ასევე წარმოადგენს კულტურულ ფაქტორებს და თვითტრანს-  
ფორმაციასაც, რომელშიც აგრეთვე გამოისახება კულტურის საკითხის იდენტურობა. ითვლება,  
რომ კულტურათა გაცვლა და აკულტურაცია მთელი საზოგადოების კულტურის და ხელოვნე-  
ბის მიღწევების ხელშემწყობი ფაქტორია, განსაკუთრებით მუსიკის დარგში. 1975 წლის შემდეგ  
ვიეტნამი არის კომუნისტური ქვეყანა, რომელიც მთლიანად საბჭოთა კავშირის გავლენის  
(პოლიტიკაში, ეკონომიკასა და კულტურაში) ქვეშ მოექცა 1986 წლამდე, როდესაც დაიწყო  
ინოვაცია. ამის შემდეგ, კულტურის და ხელოვნების დარგში შემოღებული იქნა აღიარებული და  
პოპულარული „ინტერტექსტუალობის“ კონცეპცია, რაც აისახა ლიტერატურის და სიმფონიური  
მუსიკის ნაწარმოებებში. ვიეტნამელმა კომპოზიტორებმა აღიარეს თანამედროვე სამყაროს  
ახალი მუსიკალური ტრენდი და ეროვნულ დამახასიათებელ ნიშნებთან ერთად შეძლეს  
შეექმნათ ახალი მუსიკალური პროდუქტი, რომელიც გულისხმობდა ინტერტექსტუალობის  
გამოხატულებას მუსიკაში. სურ. 15, ცხრ. 1, ლიტ. 15.

ავტ.



**6.4.3.8. შენკერისეული ანალიზისა და ნეო-რიმანისეული ტრანსფორმაციების ინტეგრირება ლისტის ტრანსცენდენტალ ეტიუდში №1.** /ნ. მამედოვი/. ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. – 2019. – #1(19). – გვ. 45-50. – ინგლ.; რეზ.: ინგლ.

ტონალური მუსიკის შესასწავლად არსებობს უამრავი ანალიტიკური მიდგომა და ინოვაციური პარადიგმების შექმნა საშუალებას იძლევა დაუკავშირო რეპერტუარი საკომპოზიტორო სტილის ევოლუციას. შენკერისეული ანალიზი მსგავსი თეორიის ერთ-ერთი ნიმუშია, რომელიც იკვლევს ტონალური ნაწარმოების სტრუქტურას და შეისწავლის ნაწარმოების ზედაპირს ჰარმონიული ფუნქციებისა და განვითარების თვალსაზრისით (Cadwalader, 2011). მის საპირისპიროდ, ნეორიმანისეულ თეორიაში წარმოდგენილია ტრანსფორმაციული ურთიერთობები და ჩანაცვლებები მრავლობით მაჟორულ და მინორულ ჰარმონიას შორის, რის შედეგადაც იქმნება ხმათა-სვლის ტონალურ კონტექსტში განსხვავებული მოდელი (Cohn, 1996). მაშინ, როდესაც ყოველი ცალკეული თეორია ფოკუსირებულია საკუთარ ანალიტიკურ კომპონენტებზე, ლისტის მუსიკის უმეტესი ნაწილი მოითხოვს ორივე ანალიზის ინტეგრირებას. წარმოდგენილ კვლევაში კომბინირებულია ეს თეორიები და გამოყენებულია ისინი ლისტის ტრანსცენდენტალურ ეტიუდში №1 ჰარმონიის ფუნქციონირების განსახილველად. ეტიუდის შენკერისეული პოზიციიდან განხილვა წარმოადგენს  $^3-^1$  ძირითად ხაზს (Urlinie), როგორც ფონურ სტრუქტურას, რომელიც წყდება B-სექციის დაწყებამდე (ტ. 14); ასევე განმარტავს ტტ. 7-8 სოლ მაჟორსა და დო მაჟორს შორის, მი მაჟორსა და ლა მინორს შორის არსებული გრავიტაციულ ჭიდილს. ნეორიმანისეული მიდგომა წარმოადგენს თეორიას, სადაც ლა მინორის, დო მაჟორისა და ფა მაჟორის სამი ჰარმონიული ზონა ურთიერთქმედებს. ისინი ურთიერთდაკავშირებულია R (relative) და L (ძირითადი ტონი) ტრანსფორმაციებით, რაც სახეზეა ძირითადი ხაზის ფინალურ დადმასვლაში (ტტ. 16-23). შენკერისეული და ნეო-რიმანისეული მიდგომების ინტეგრირებით ყალიბდება თეორიული მოდელი, პირველ ტრანსცენდენტულ ეტიუდში მნიშვნელოვანი ანალიტიკური საკითხების გადაწყვეტის საშუალებას იძლევა. სურ. 3, ლიტ. 8.

ავტ.

**6.4.3.9. ფრანსუა-ბერნარ მაშის შემოქმედება მუსიკალური დროის პრობლემატიკის ჭრილში.** /გ. ბერიაშვილი/. ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. – 2019. – #1(19). – გვ. 51-64. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

სტატია წარმოადგენს 2012 წლის 24 მარტს პარიზის თანამედროვე მუსიკის დოკუმენტაციის ცენტრში (CDMC) გამართულ კონფერენციაზე („ბუნებრივი მოდელეები და წარმოსახვითი სცენარები პ. ეტვომის, ფ.ბ. მაშის და ჟ.კ. რისეს შემოქმედებაში“) წაკითხული მოხსენების შევსებულ და გადამუშავებულ ვერსიას. XX საუკუნის მეორე ნახევრის ფრანგული მუსიკის ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური წარმომადგენლის – ფრანსუა ბერნარ მაშის შემოქმედება იძლევა ძალზე მდიდარ მასალას მუსიკალური დროის პრობლემატიკის შესწავლისთვის. ეს ეხება როგორც კონკრეტულ საკომპოზიციო ხერხებს (მაგალითად, სხვადასხვა ტემპების ზედდებას, ხშირად ასოცირებულს ოსტინატოებთან და კანონურ იმიტაციასთან), ისე მუსიკალური მასალის საერთო თვისებებსა და მასშტაბური ფორმის ორგანიზაციას. მუსიკალური დროის ანალიზის ჩვენს მიერ გამოყენებული მეთოდი გულისხმობს მუსიკალური დროის სამ დონეზე განხილვას: 1) მუსიკალური ენის (პირველადი მასალის) დონეზე; 2) შუალედურ დონეზე (მასალის ლოკალური ორგანიზაცია); 3) ფორმის მაკროსკოპულ დონეზე. ნაშრომის მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს მაშის მუსიკის წმინდა ტექნიკური და ესთეტიკური-ფილოსოფიური ასპექტების ურთიერთკავშირის გამოვლენა მუსიკალური დროის თავისებურებების ჭრილში. ლიტ. 9.

ავტ.

**6.4.3.10. ბრიკოლაჟი - საკომპოზიციო ტექნიკა თუ აზროვნების ტიპი?** / ლ. მარუაშვილი/. ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. – 2019. – #1(19). – გვ. 65-70. – ინგლ.; რეზ.: ინგლ.

განხილულია თანამედროვე საკომპოზიციო შემოქმედების სახეობა, რომელშიც კომპოზიტორის როლი ტრადიციული გაგებით არ შეიძლება იყოს ახსნილი. დღეს კომპოზიტორები ხშირად კი არ თხზავენ თავიანთ ოპუსებს, არამედ „აგებენ“ მათ ნასესხები მასალის სხვადასხვა გზით გარდაქმნის საშუალებით. აღსანიშნავია, რომ მუსიკის ახალი ფორმის შემქმნელთათვის „სხვისი“ მასალა გაიგივებულია „საკუთართან“ ყველაზე მიზანმიმართულად და თანმიმდევრულად მსგავსი სტილური ინტერტექსტუალობა ხორციელდება ფორმულებით აზროვნების მეთოდის გამოყენებით, რომელიც დღეს აღიარებულია როგორც ბრიკოლაჟის ფენომენი. მსგავსი ოპუსების „შემქმნელი“ - ბრიკოლერი - გამოდის მეტა-ტექსტის ავტორის როლში. ბრიკოლერი სტრუქტურირებს „რადაცას“ უკვე არსებულიდან, სწორედ ამიტომ ბრიკოლერი ძირფესველად გამოირჩევა ტრადიციული კომპოზიტორისგან. კვლევაში წარმოდგენილია სხვადასხვა მუსიკალური პრაქტიკების მაგალითები, რომლებშიც ბრიკოლაჟის მეთოდთან მსგავსება მკაფიოდ არის გამოხატული. წინამორბედებს შორის მოყვანილია საღვთისმსახურო-სამგალობლო სისტემები, კერძოდ, - ქართული, რომლის მუსიკალური კომპოზიციები იქმნებოდა მზა მელოდიური ფორმულების კომბინირებით. პოსტმოდერნისტული ბრიკოლაჟის მეთოდისთვის კი დამახასიათებელია მუსიკალური კონსტრუქციების ჰეტეროგენული ელემენტებისგან მოდელირება. „სხვისი“ მასალა შეიძლება იყოს როგორც ხელოვნების, ასევე არა-ხელოვნების პროდუქტი: სხვადასხვა სტილის აკადემიური მუსიკა, ფოლკლორი, ჯაზი, როკი, ფილმების საუნდტრეკები, ლაუნჯ მუსიკა, ქალაქის, ბუნების, ტექნიკის ხმების აუდიოჩანაწერები და სხვა. ინტერესს იმსახურებს ბრიკოლაჟური ფორმების შექმნის ტექნოლოგიური ასპექტებიც. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე წარმოჩნდა, განსხვავებული ელემენტების ასიმილაციის რა ხერხებს და კომპოზიციურ ტექნიკებს მიმართავენ ბრიკოლერები მუშაობის პროცესში. მათ შორის აღსანიშნავია პოლისტილისტიკა, ალეატორიკა, მინიმალიზმი, მონტაჟი, სემპლური და ელექტრონული კომპოზიციის, დიჯეინგი. ლიტ. 10.

ავტ.

**6.4.3.11. გლობალური მუსიკალური პროცესები: გავლენებისა და ანალოგების შესახებ გასული საუკუნის 60-იანი წლების ქართულ მუსიკაში.** /ვ. ფლამი/. ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. – 2019. – #2(20). – გვ. 11-15. – ინგლ.; რეზ.: ინგლ.

გასული საუკუნის 60-იანი წლების ქართველი კომპოზიტორების თაობის გლობალური მუსიკალური კონტექსტი აქტუალურია. ძალზე მნიშვნელოვანია 60-იანი წლების თაობის შესწავლა ეპოქის სოციალური, პოლიტიკური და კულტურული მოთხოვნების ჭრილში. საბჭოთა საქართველოს რეალობაში პოლიტიკურმა და შინაგანმა/გარეგანმა კულტურულმა პროცესებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ქართული მუსიკის განვითარებაში; იგი განსაზღვრავდა ხარისხს და კავშირს გარე სამყაროსთან. ეს პროცესები მნიშვნელოვანი აღმოჩნდა XX საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც რადიკალური ცვლილებები განხორციელდა როგორც თემატურ, ისე სტილურ და მუსიკალურ ენაში. 60-იანი წლების თაობამ დიდი წვლილი შეიტანა ამ ცვლილებებში. სტატიაში განხილული იქნება შემდეგი საკითხები: ვარშავის შემოდგომა, როგორც რბილი ძალა ბიპოლარულ სამყაროში, WAF-ის მნიშვნელობა, „დათბობა“ პოლიტიკასა და კულტურაში, ქართველი კომპოზიტორების მომლოცველები WAF-ში, „ვარშავის შემოდგომის“ მნიშვნელობა ქართული საკომპოზიტორო სკოლისთვის, გავლენისა და ანალოგების ფენომენი, გლობალურის და ეროვნულის ასპექტები - ურთიერთმიმართება და კავშირი, ისტორიული კონტექსტი, საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი. ლიტ. 8.

ავტ.

**6.4.3.12. გლობალური მუსიკალური პროცესები: გავლენებისა და მსგავსების შესახებ XX საუკუნის 60-იანი წლების ქართულ მუსიკაში.** /ნ. შარიქაძე/. ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. – 2019. – #2 (20). – გვ. 16-28. – ინგლ.; რეზ.: ინგლ.

გასული საუკუნის 60-იანი წლების ქართული მუსიკის კონტექსტუალიზაცია XX საუკუნის გლობალური მუსიკალური პროცესების ჭრილში აქტუალურია, უმნიშვნელოვანესია 60-იანელთა თაობის კომპოზიტორთა შემოქმედების განხილვა სოციალურ-პოლიტიკური და მიმდინარე კულტურულ-ესთეტიკური მოთხოვნების ჭრილში. საბჭოთა საქართველოს რეალობაში პოლიტიკური და შიდა, თუ გარეკულტურული პროცესები უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენდა ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის განვითარებაზე, რაც პირდაპირ განსაზღვრავდა გლობალურ მუსიკალურ პროცესებთან კავშირის ხარისხს. ამ პროცესების განვითარება თავის გარდამტეხ ფაზაში 60-იან წლებში შედის, ანუ იმ დროში, როცა ქართულმა მუსიკამ განიცადა პრინციპული ცვლილებები როგორც თემატიკის, ისე სტილის მხრივ. ამ ცვლილებებში კი `60-იანელ~ კომპოზიტორთა თაობამ უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია: გლობალურის ვიწრო (მუსიკალური ენის და სტილის ქრონოლოგია) და ფართო მნიშვნელობაზე (უნივერსალიზმი), გლობალურისა და ეროვნულის ურთიერთმიმართების, უკუკავშირისა და ამავე დროს, ურთიერთკავშირის სისტემაზე; ისტორიულ კონტექსტზე, `გავლენებსა~ და მსგავსებაზე, საერთო კულტურულ ტენდენციებსა და გარემოზე, აგრეთვე, მსგავსებისა და ანალოგიების ფენომენზე; ვარშავის შემოდგომის ფესტივალის მნიშვნელობაზე ქართულ საკომპოზიტორო სკოლისთვის. ცხრ. 1, ლიტ. 15.

ავტ.

**6.4.3.13. ინტერაქტიული ხელოვნების გამოხატვის ფორმები და ჰიბრიდული ჟანრები (საკუთარი შემოქმედების მაგალითზე). /ე. ჭაბაშვილი/. ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. – 2019. – #2 (20). – გვ. 29-34. – ინგლ.; რეზ.: ინგლ.**

ინტერაქტიული ხელოვნება კაცობრიობის ისტორიაში შემოქმედებითი პროცესის წარმოების ერთ-ერთი უძველესი სახეობაა. ეს არის კოლექტიური გონის მიერ განხორციელებული ინტერაქტიული აქტი, როდესაც ერთ სივრცეში ხდება შემოქმედებითი ენერჯის აკუმულირება ერთი იდეის გარშემო. ინტერაქტიული ხელოვნების ნიმუშები ძირითადად სინკრეტული აზროვნების წიაღში იბადება და მოიცავს ინტერდისციპლინარულ მიდგომას. ძველ დროში, ამ ტიპის ნიმუშები ძირითადად საფერხულო ჟანრებით იყო წარმოდგენილი, მათ შორის, ზოგი სადღესასწაულო-გასართობი, ზოგიც რიტუალური დანიშნულებით გამოირჩეოდა. მათი დრამატურგიული განვითარების ფორმა უმეტესწილად გახსნილი იყო, ან ძნელად კონტროლირებადი, რაც სპეციალურად დადგენილი წესის მიხედვით ხორციელდებოდა. ხელოვნებაში თვითგამოხატვის ამგვარი ფორმა, სადაც სახელოვნებო დარგების შერწყმა ხდება, დროთა განმავლობაში მივიწყებას მიეცა. თუმცა, მე-20 საუკუნის ბოლოსა და 21-ე საუკუნის ხელოვნებაში ისევ გააქტიურდა იმ ტიპის ქმედება, როდესაც ავტორი სახელოვნებო პროდუქტის შექმნისას შემოქმედებითი აზრის გამოსახატავად ინტერაქტიულ ფორმას იყენებს. შესაძლოა, სინკრეტული აზროვნების გააქტიურება, სწორედ ჩვენი ეპოქისთვის დამახასიათებელმა, საკითხისადმი ინტერდისციპლინარულმა მიდგომამ განაპირობა. ამგვარად, ხელოვნებაში გაჩნდა მხატვრული აზრის გამოხატვის ახალი მიმართულება - მულტიმედია, რომელიც თავის თავში უკვე მოიცავს ინტერაქციას, რაც გულისხმობს ხელოვნების სხვადასხვა დარგებისთვის დამახასიათებელი თვისებების ერთმანეთში მეტაფორულ გადატანას და შერწყმას. მოხსენების ძირითადი საკითხიც, სწორედ, მულტიმედიაური ჰიბრიდული ჟანრების წარმოშობას შეეხება, რასაც საკუთარი შემოქმედების მაგალითზე განვიხილავ. მინდა გაგიზიაროთ მოსაზრება მათი წარმოქმნის მიზეზების შესახებ და განვიხილო ჩემი მიდგომა, რომელიც საფუძვლად დაედო ამა თუ იმ ჟანრის სახელწოდებას.

ავტ.

**6.4.3.14. შემსრულებლისა და მსმენელის ინტერაქციის ახალი სახე ეკა ჭაბაშვილის სიმფონია-გამოფენაში „ხმა“. /ნ. ჟვანია/. ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. – 2019. – #2 (20). – გვ. 35-40. – ინგლ.; რეზ.: ინგლ.**

2018 წლის 30 ნოემბრიდან 8 დეკემბრის ჩათვლით თბილისელებსა და ქალაქის სტუმრებს საშუალება მიეცათ, ჩართულიყვნენ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში ჩატარებულ სინკრეტულ მულტიმედიურ ექსპერიმენტულ პროექტში სიმფონია გამოფენა „ხმა“. როგორც ცნობილია, სიტყვა სიმფონია ბერძნული წარმოშობისაა და თანაჟღერადობას ნიშნავს. პროექტის ავტორის, ეკა ჭაბაშვილის სიტყვებით, „ჩვენი გამოფენის მთავარი მიზანიც ესაა - ერთი მოვლენის წინაშე შეირწყას ხელოვნების დარგები და გაერთიანდნენ ადამიანთა ხმები, რათა მათი ერთიანი ძალისხმევით (თანაჟღერადობით) შეიქმნას ნაწარმოები“. პროექტი გახლდათ კარგად მოწესრიგებული ინტერაქტიული პროცესი, სადაც ვიზიტორს შეეძლო, ოცდაათწუთიანი სეანსის განმავლობაში დარბაზში მუდმივად ჟღერადი აუდიოინსტალაციის ფონზე დაეთვალიერებინა 6 ვიზუალური ინსტალაციისგან შემდგარი გამოფენა და თან მონაწილეობა მიეღო კომპოზიციის დრამატურგიული განვითარების პროცესში: ერთი მხრივ, მას საშუალება ჰქონდა, ხმამაღლა წაეკითხა წინასწარ დარიგებული შელოცვები, რაც ქმნიდა ხმოვან ჩანაროს მთლიან კომპოზიციაში, მეორე მხრივ კი - გარკვეულ ეტაპზე დაეწყო მუსიცირება ჭაბაშვილის მიერ სპეციალურად ამ გამოფენისათვის შექმნილ ახალ საკრავზე „ხმა“. მთელ პროცესს არეგულირებდა გიდი-პერფორმერი, რომელიც სეანსის პირველ ნაწილში თავად უკრავდა საკრავზე ავტორის მიერ შექმნილ კომპოზიციას, შემდეგ კი იწვევდა სტუმრებს აქტიურად ჩართულიყვნენ პერფორმანსის პროცესში. გიდი-პერფორმერის როლს ასრულებდა მოხსენების ავტორი, რომელიც აკვირდებოდა მსმენელ-დამთვალიერებლების ქცევას სეანსის მსვლელობისას. შედეგად, გამოვლინდა შემსრულებლისა და მსმენელის ინტერაქციის ახალი სახე. სურ. 3, ლიტ. 4.

ავტ.

**6.4.3.15. ეკა ჭაბაშვილის სოლო სავიოლინო სონატა „მანათობელა ხემით“ (კომპოზიციური და საშემსრულებლო თავისებურებები).** /ა. მამისაშვილი/. ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. – 2019. – #2 (20). – გვ. 41-49. – ქართ.; რეზ.: ქართ.

XX საუკუნის სავიოლინო რეპერტუარში მნიშვნელოვანი ადგილი სოლო სავიოლინო სონატის ჟანრს ეკუთვნის. ქართულ მუსიკაში ამ ჟანრის მხოლოდ რამდენიმე ნიმუშია შექმნილი, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ეკა ჭაბაშვილის სონატას „მანათობელა ხემით“, როგორც ორიგინალური კონცეფციისა და ინსტრუმენტული თეატრისათვის დამახასიათებელი ნიშნებით გამორჩეულ ნაწარმოებს. მისი სპეციფიკურობიდან გამომდინარე („მანათობელა ხემი“) ყურადღებას იპყრობს სონატის საშემსრულებლო თავისებურებები, რომელიც ჩემი როგორც მევიოლინეს განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს და სტატიაში დასმული პრობლემატიკაც სწორედ ამ საკითხების კვლევას ეძღვნება. ლიტერატურა მის შესახებ არ მოგვეპოვება და წინამდებარე სტატია ამ ნაწარმოების კვლევის პირველ ცდას წარმოადგენს კომპოზიციური და საშემსრულებლო თავისებურებების კუთხით. სურ. 4, ლიტ. 5.

ავტ.

**6.4.3.16. აკრძალვები ტრიტონის აპოთეოზის წინააღმდეგ: რიტორიკული ასპექტები.** /ზ. ჩურლიონიენე/. ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. – 2019. – #2 (20). – გვ. 50-61. – ინგლ.; რეზ.: ინგლ.

კვლევის საკითხია ტრიტონი. მეტად საინტერესო და თავისებურია ტრიტონისადმი დამოკიდებულების ისტორია: აკრძალვიდან – აპოთეოზამდე. აქედან გამომდინარე, მისი ანალიზის სპექტრიც ფართოა. საკითხის მოცულობის მიუხედავად, ტრიტონის მახასიათებელია ხმოვანების განსაკუთრებული დამაბულობა და პრობლემატურობა. XVI საუკუნეს გარდატეხა შემოაქვს ტრიტონის აღქმაში. ნიკოლა ვიჩენტინო (1555) თავის ტრაქტატში გვთავაზობს ტრიტონის გამოყენებას არა მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც ის შემთხვევით ჩნდება ჰექსაქორდების დიაგონალური შეკავშირების დროს, არამედ კომპოზიციის ჰორიზონტალურ მელიოდირ ხაზშიც. იგი მკაცრად გამორიცხავს ყოველგვარ ეჭვს ვოკალურ პრაქტიკაში

ტრიტონის ინტონაციის გამოყენების შესახებ. მნიშვნელოვანი საკითხია მოიპოვა თუ არა ტრიტონმა დამოუკიდებელი სტატუსი მუსიკაში. რენე დეკარტი ხაზს უსვამს ექვს აფექტს: აღფრთოვანება, სიყვარული, სიძულვილი, სურვილი, სიხარული და ნაღველი. საკომპოზიციო პრაქტიკაში ისინი ტონალობებისა და ინტერვალების სახით არიან წარმოდგენილი. საინტერესოა რა ხდება ტრიტონთან დაკავშირებით? ჟოსკენ დე პრეს, კლაუდიო მონტევერდის, ჯუზეპე ტარტინის, კლაუდიო ჯეზუალდოს და ა.შ. კომპოზიციებში ტრიტონი გამოყენებულია ტყუილის, სიცრუის, სიკვდილის, მკვლელობის კონტექსტში, რათა ტრაგიკული სიტუაციის ხაზგასმა მოხდეს. ი. ს. ბახის „მათეს პასიონში“ სამი ტრიტონი ასოცირებულია სიტყვასთან – გველი: ვერტიკალურ, ჰორიზონტალურ და დიაგონალურ ხაზში. ეს დაკავშირებულია ტრიტონის აკუსტიკურ თვისებასთან გაზარდოს დამაბულობა და ამით გააძლიეროს სიტყვიერი ტექსტის გამომსახველობა. ტრიტონის ფუნქციონალურობას და მნიშვნელობას განსაზღვრავს მისი კონცეფციის ისტორიული ცვალებადობა და გამოყენების მყარი ტრადიცია სხვადასხვა საკომპოზიტორო ტექნიკისა და ჰარმონიული სისტემის პირობებში. ანალიზმა გამოავლინა, რომ ტრიტონი ქმედითაა კომპოზიციის არა მხოლოდ ჰორიზონტალურ, ვერტიკალურ, დიაგონალურ დონეებზე, არამედ იგი რიტორიკის ნაწილიცაა. ხშირ შემთხვევაში, ტრიტონი რიცხვით სიმბოლიკას და სიტყვიერი ტექსტის შინაარსს უკავშირდება. სურ. 8, ცხრ. 1, ლიტ. 28.

ავტ.

**6.4.3.17. წინა ეტაპი და ნამდვილი მწვერვალი რიმსკი-კორსაკოვის რომანსში op. 4 No. 1. /ნ. მამედოვი/. ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. – 2019. – #2 (20). – გვ. 62-69. – ინგლ.; რეზ.: ინგლ.**

რუსულ ლიტერატურულ მემკვიდრეობას საციცოცხლო ისტორიული მნიშვნელობა აქვს რუსულ რომანტიკულ ვოკალურ მუსიკაში. ვასინა-გროსმანის (1956) მიხედვით, რუსული რომანსები სამაგალითო ნიმუშებია, სადაც რუსული პოეზია ასახავს ნიკოლაი რიმსკი-კორსაკოვის კომპოზიციურ სტილს. ეს მხატვრული სიმღერები რიმსკი-კორსაკოვს საშუალებას აძლევს მუსიკალურად გამოხატოს სხვადასხვა პოეტური ელემენტები ხმის შერწყმისა და აკომპანემენტის საშუალებით. ეს ნაშრომი აერთიანებს ჰარმონიული პროლონგირების შენკერისეულ შეხედულებას და აგავუს (1984) მიერ შემოთავაზებულ მელოდიური კულმინაციების ანალიტიკურ სისტემას, რომელიც შედგება წინათმოქმედი წერტილისგან, რომელიც, ნამდვილ მწვერვალთან ერთად, ვოკალისტის ყველაზე მაღალი დონის ხაზს წარმოადგენს. "Что в Имени Тебе Моём?" არის რიმსკი-კორსაკოვის ადრეული პერიოდის რომანი, სადაც კომპოზიტორი ორივე ტიპის მწვერვალს უთავსებს დრამატულ კულმინაციებს, რომლებიც პუშკინის ლიტერატურაში ჩანს. წინათგრძობის მომენტი ტ. 22, ჰარმონიზებული ნონაკორდით ლა დიეზზე, ქმნის მელოდიურ მოლოდინს, რომელიც რეალიზდება მწვერვალებით სიმღერის ბოლოს. ტ. 24. სურ. 5, ლიტ. 16.

ავტ.

**6.4.3.18. ლიტვის თავისუფლებისთვის მებრძოლები: ისტორიული ნარატივი და სასიმღერო ტრადიცია. /ა. ნაკიენე/. ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. – 2019. – #2 (20). – გვ. 70-80. – ინგლ.; რეზ.: ინგლ.**

ეს სტატია ფოკუსირებულია ისტორიულ ნარატივზე, შეიარაღებულ და სულიერ წინააღმდეგობაზე, აგრეთვე, პარტიზანულ სიმღერებზე, ლიტვური ფოლკლორის ემოციურად ყველაზე დატვირთულ ჟანრზე. მეორე მსოფლიო ომი ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული და წინააღმდეგობრივი ეპიზოდია ევროპელი ერების მეხსიერებაში. ამასთან, შეიძლება შევნიშნოთ, რომ ისტორიული ნარატივი განსხვავებულია: ყველა ერი იხსენებს განსხვავებულ ომს. ყველა ერი საუბრობს და წერს საკუთარ მტრებზე და თავისუფლებისთვის მებრძოლებზე, სასტიკ ჯალათებსა და უდანაშაულო მსხვერპლებზე. ყველა ერი გრძნობს დანაშაულს ზოგიერთ მიუტყვევებელ ქმედებაზე ან უმოქმედობაზე. დამოუკიდებელი ლიტვის გმირები არიან მამაცი

პოლიტიკოსები, ჯარისკაცები, მოხალისეები, ებრაელების მხსნელები, ვინც დაეხმარა მათ ჰოლოკოსტიდან გაქცევაში, პარტიზანები და მათი მომხრეები და დისიდენტები, რომლებიც საბჭოთა რეჟიმს დაუპირისპირდნენ. ადრე, საბჭოთა პერიოდში, თავისუფლებისთვის მებრძოლებს „მტრებს“ უწოდებდნენ; ახლა ისინი გმირები არიან. თანამედროვე ლიტვაში თავისუფლების მებრძოლების ხსენების დღე პოლიტიკური, კულტურული და ზნეობრივი მისიის დონეზეა აყვანილი. სურ. 11, ლიტ. 7.

ავტ.

**6.4.3.19. ქრისტიანული ეკუმენიზმის ნიშნები იგორ სტრავინსკის „ფსალმუნთა სიმფონიაში“.** /გ. ღვინჯილია/. ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. – 2019. – #2 (20). – გვ. 81-88. – ინგლ.; რეზ.: ინგლ.

თუკი თანამედროვე ქრისტიანული ეკუმენიზმი, როგორც სხვადასხვა კონფესიების გაერთიანებისკენ მიმართული მოძრაობა ოფიციალურად მე-20 საუკუნეში ჩამოყალიბდა, მათი შეკავშირების და ხელოვნების ნიმუშის ერთიან მხატვრულ სივრცეში მოქცევის ტენდენცია საუკუნეებს ითვლის. კანონიკის დაცვის პირობებშიც პლანეტარული ცნობიერების მქონე გენიალური ხელოვნების ნაწარმოებები უზარმაზარ ისტორიულ მეხსიერებას უყრიან თავს. როგორც ეკლესიის მიღმა ხელოვნების ავტონომიურად განვითარებულ დარგებს შორის რჩება ლტოლვა კვლავ სინთეზისკენ, ასევე სასულიერო თემაზე დაწერილ ნაწარმოებებშიც ვლინდება ერთიანი ეკლესიის გათიშულობის გადალახვის მოთხოვნილება სხვადასხვა კონფესიის ტრადიციების შერწყმის გზით. ჯერ კიდევ ნიდერლანდელების მესებშია შეკავშირებული კათოლიკური ტრადიცია და კალვინისტური ცნობიერებით მოტანილი ნოვაციები. ამ მხრივ სრულიად უნიკალური ფენომენია ი.ს. ბახის სასულიერო მუსიკა, რომელშიც პროტესტანტული და კათოლიკური ტრადიციებია ურთიერთგადაჯაჭვული. კიდევ უფრო საინტერესო მოვლენაა მართლმადიდებელი კომპოზიტორის იგორ სტრავინსკის შემოქმედება. სტატიის კვლევის ობიექტია „რომანულის“ და „რუსულის“ თანაარსებობის საკითხი „ფსალმუნთა სიმფონიაში“. ნეოკლასიციკლური ესთეტიკით შექმნილი ამ ნაწარმოებისთვის ისედაც ტიპიურია სტილური თვალსაზრისით განსხვავებული ეპოქების და სკოლების მუსიკალური კულტურების თავისებურებების სინთეზი, მხატვრული მოდელების მრავალფეროვნება; ამასთან თავად ფსალმუნებისადმი მიმართვა კომპოზიტორს კათოლიკური და მართლმადიდებლური მუსიკის სხვადასხვა ჟანრული მოდელების, ცალკეული ტენდენციების, მართლმადიდებლური და კათოლიკური სასულიერო ჟანრების კანონიკის შერწყმის ფართო შესაძლებლობებს აძლევს. ლიტ. 29.

ავტ.

**6.4.3.20. „აკრძალული ხილის“ სინდრომი „ცარიელი ნიშის შევსების“ სინდრომის წინააღმდეგ: რეჟიმის გარეთ მცხოვრები ლატვიელი კომპოზიტორების მუსიკალური ნაწარმოებების მაგალითზე.** /ი. იონანე/. ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. – 2019. – #2 (20). – გვ. 89-95. – ინგლ.; რეზ.: ინგლ.

1944 წლიდან ლატვიურმა კულტურამ განიცადა არა მხოლოდ გეოგრაფიული, არამედ თემატური გამიჯვნა. იგი განვითარდა ორ სხვადასხვა სივრცეში და ტერიტორიაზე, რომელიც შექმნეს ოკუპირებული/საბჭოთა ლატვიის ტერიტორიაზე მაცხოვრებელმა და პოლიტიკური სიტუაციის გამო სხვა ქვეყნებში ემიგრირებულმა კომპოზიტორებმა. მე-20 საუკუნის საბჭოთა რეჟიმის იდეოლოგიამ მუსიკის სხვადასხვა მიმართულების კონტექსტზე იქონია გავლენა. ტაბუდადებული იყო სასულიერო თემატიკა, ნაციონალური დამოუკიდებლობა, თანამედროვე ტექნიკა, თვითგამოხატვა და ა.შ. რადგან ტაბუ დაედო ბევრ არტისტს, რომლებიც უცხოეთში წავიდნენ - მათი მუსიკაც გახდა სრულიად მიუღებელი, „აღსავსე კაპიტალიზმის დესტრუქციული ძალით“. ამის საპირისპიროდ, უცხოეთში მცხოვრებმა უკლებლივ ყველა კომპოზიტორმა, სამშობლოს მონატრების, მისი რელიეფის, საცხოვრებელისა და მშვიდობის წყურვილში, მარადიული სამშობლოსა და თავშესაფარის ძებნაში, ფოკუსირება მოახდინა სასულიერო

მუსიკის ჟანრებზე და თემატიკაზე. და უფრო მეტიც - დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი, პატრიოტიზმი, სხვა გარემოებები და ტექნიკური მიღწევები შეიმჩნევა რეჟიმის მეორე მხარეს - დევნილობაში. ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, თუ როგორ ახდენს იდეოლოგია პროვოცირებას არა მარტო „აკრძალული ხილის სინდრომისა“ საბჭოეთში, არამედ „ცარიელი ნიშის შევსების სინდრომისა“ რკინის ფარდის იქით. ამრიგად, მოხსენების მთავარი მიზანია დევნილობაში მყოფი მნიშვნელოვანი კომპოზიტორების მუსიკალური ნაწარმოებების ანალიზი, რათა ყურადღება მივაქციოთ თემატურ მიმართულებას, ორი განსხვავებული სფეროს დაპირისპირებას - რეჟიმის ქვეშ და მის გარეთ. რაც ამტკიცებს, რომ იდეოლოგია ზემოქმედებს არა მხოლოდ მათზე, ვინც მის გეოგრაფიულ არეალშია, არამედ იწვევს რეაქციას და რეზისტენტულობას მათშიც, ვინც მის საზღვრებს გარეთ მუშაობს. ლიტ. 4.

ავტ.

#### 6.4.4. ფოლკლორისტიკა

**6.4.4.1. ნაცარქექიას ფსიქოლოგიური პორტრეტისათვის /ლინგვოკულტუროლოგიური და ფსიქოლოგიური ანალიზი. /გ. თაგაური/. ენა და კულტურა. - 2020. - #23. - გვ. 113-126. - ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.**

ნაშრომში განხილულია ხალხური „ნაცარქექიას“ მიმართება აკ. წერეთლის „ნაცარქექიასთან“, და მის ქცევით მანერებსა და ლექსიკაზე დაკვირვებით დახასიათებულია მისი ფსიქოლოგიური პორტრეტი. დღემდე ღია საკითხად რჩება „ნაცარქექიას“ სიმბოლური ხატის რაობა; ქართული საზოგადოების ერთ ნაწილში ამ პერსონაჟის სახელის გაგება დადებით ემოციებს იწვევს, ზოგმიც კი უარყოფით განცდათა აღმძვრელია. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ნაცარქექია“ საყოველთაოდ ცნობილი პერსონაჟი გახლავთ ქართული ზღაპრებისა და იგი, ერთგვარად, ქართული ხალხური ზღაპრების სავიზიტო ბარათადაც კი იქცა. საინტერესოა, რას მიეწერება „ზარმაცი“ და „არაფრის მაქნისი“ პერსონაჟის ასეთი განდიდება, და თუ ის, მართლაც, უარყოფითი პერსონაჟია, რატომ სარგებლობს ასეთი ყავლგაუსვლელი პოპულარობით?! შეიძლება ითქვას, რომ „ნაცარქექია“ იმ უიშვიათეს ზღაპარს წარმოადგენს, სადაც ასე ნათლად ჩანს პროტაგონისტის ფერისცვალება და სულიერი ზრდა. აკაკი წერეთელმა ზუსტად ამოიკითხა ხალხური ზღაპრის იდეა, რომ „ნაცარქექია“ არ არის და არც შეიძლება იყოს მხოლოდ ზღაპრული პერსონაჟის სახელი, რომ იგი არამც და არამც არ წარმოგვიდგება ერთ ინდივიდად, როგორებადაც გვევლინებიან, მაგალითად: კომბლე, სიზმარა, ცეროდენა, ხუთკუნჭულა, ასფურცელა და ა.შ., ვინაიდან ნაცარქექია ღრმა და ფართო სიმბოლიკით იტვირთება და იგი ზოგადი/კრებსითი სახე უფროა, ვიდრე კონკრეტული. ლიტ. 12.

ავტ.

**6.4.4.2. ქართული ხალხური და ლიტერატურული ზღაპრების ზოგიერთი იდეურ-სტრუქტურული მახასიათებელი. /გ. თაგაური/. ენა და კულტურა. - 2019. - #22. - გვ. 80-91. - ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.**

სტატიაში განხილულია ქართული ზღაპრის იდეურ-სტრუქტურული მახასიათებლები და ის პრობლემური საკითხები, რომლებიც დღესაც გადაჭრას საჭიროებენ. ვ.ი. პროპის მიერ გამოვლენილი 31-ვე ფუნქცია ჯადოსნური ზღაპრებისა, უფრო უნივერსალურ ხასიათს ატარებს, ვიდრე წმინდად ეროვნულს. რამდენადაც ზღაპარი ნაციონალურ დაღს ასვამს ნარატივს, ჩვენი კვლევისათვის საყურადღებო საგანსა და შესწავლის ობიექტს წარმოადგენს, თუ როგორი ეროვნული ხაზით განვითარდა საერთო-ზღაპრული მოტივები, როგორი მოდიფიკაცია განიცადა ზღაპრის ზემოაღნიშნულმა ფუნქციებმა, ასევე, ანგარიში უნდა გაეწიოს იმასაც, თუ რა ასახვა ჰპოვა ნაციონალურმა ბაზისმა ქართული ხალხური და ლიტერატურული ზღაპრების ტექსტებში. ლიტ. 15.

ავტ.

**6.4.4.3. რომანტიზმის ეპოქის ზღაპრისა და ნოველის სიუჟეტური სტრუქტურა.** /მ. ქარდავა/. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2019. – XVII-XVIII. – გვ. 98-102. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ.

რომანტიკული ეპოქის თხრობის, ზღაპრების სიუჟეტებისა და ფანტასტიკური რომანების ავტორებისადმი დიდი ინტერესია სამეცნიერო კვლევის თვალსაზრისით. რომანტიზმის ეპოქაში მითები, ზღაპრები და ფანტასტიკური ნოველები აღიარეს ესთეტიკურ ფენომენად, რომელსაც იმავდროულად ენიჭებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა. რომანტიკული ზღაპრები და ნოველები იქმნებოდა დინამიურ გარემოში, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო სწრაფვა ლიტერატურული პროცესების გლობალიზაციისკენ. ნაშრომის სიახლეს, რომელიც დაფუძნებულია სხვადასხვა ქვეყნის მწერლების შემოქმედებაზე, ავტორების თხრობის თავისებურებები და რომანტიკული ეპოქის ზღაპრებისა და ფანტასტიკური რომანების სიუჟეტურ სტრუქტურას განიხილავს, როგორც ჟანრული ჯგუფის შემადგენელ ვარიანტს. ნაშრომის სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა განისაზღვრება მისი რთული ხასიათითა და სტრუქტურული ანალიზის მეთოდის გამოყენების თავისებურებით. ლიტ. 5.

ავტ.

**6.4.4.4. სამკურნალო და სამეურნეო ხასიათის შელოცვები ლეჩხუმის ახალი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით.** /რ. ხაჭაპურიძე/. ენა და კულტურა. – 2019. – #22. – გვ. 132-137. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

შელოცვა ფოლკლორის ერთ-ერთი არქაული ჟანრია. ამ ტიპის ტექსტებს სხვადასხვა წარმოდგენა უდევს საფუძვლად, რომელშიც სიტყვას სულიერ და უსულო საგნებზე მაგიური ზემოქმედების მნიშვნელობა ენიჭება. შელოცვები ცხადყოფს ადამიანის მიერ წარმოთქმული სიტყვის ყოვლისშემძლეობის რწმენას. ეს ტექსტები მისნური შინაარსისაა და მიმართულია სხვადასხვა ძალების და მავნე სულების წინააღმდეგ. როგორც წესი, ცდილობენ ავადმყოფის სხეულიდან შიშის, ავი თვალისგან მიყენებული ზიანის და სხვადასხვა დაავადების გამოდევნას, აგრეთვე ბუნების მოვლენებთან მიმართებაში, გვალვისა და წვიმის მოყვანას უხვი მოსავლის მოწევას და ბოროტი ძალების დამარცხებას. ლიტ. 10.

ავტ.

**6.4.4.5. ამქვეყნიურისა და მიღმიერის გააზრება ქართულ აგიოგრაფიაში.** /ს. ქიტესაშვილი/. ენა და კულტურა. – 2019. – #22. – გვ. 166-170. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ქრისტიანული მოძღვრება ამქვეყნიურს, მიწიერ-სხეულებრივ არსებობას უპირისპირდებოდა, რადგან საწუთროში დაპირისპირებასა და საფრთხეს ხედავდა სულის ნეტარებისათვის. ამქვეყნიური სამყარო მხოლოდ ღვთაებრივთან ანუ მარადიულთან შედარებით აღიქმებოდა წარმავალ და შეფარდებით ღირებულებად; წმინდანობის გზა არ არის სწორხაზოვანი; მუდამ თავს იჩენს ტკივილი, რაც ახლავს, ერთი მხრივ, მატერიალურისგან განდგომას, ხოლო მეორე მხრივ, სოფლის სწრაფწარმავლობის შეგრძნებას; ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების მიხედვით, ისევე, როგორც, საერთოდ, ქრისტიანულ მოძღვრებაში, სიკვდილი გაიაზრებოდა, როგორც გარდაცვალება - „სხვად ქცევა“, „კავშირთა დახსნა, გაყრა სულისა და ხორცისა“; მართალია, გარდაცვალებას ახლდა ცრემლი და შიში, მაგრამ ეს უფრო იყო შიში არა გაქრობისა, არამედ შიში ხსნისა, დაეჭვება ღვთაებრის საუფლოში განსვენებისა; თუმცა ამ ცრემლში დაფარულად სოფლის დატოვებით გამოწვეული ტკივილიც იგრძნობოდა. მიწიერების დასასრულს მარადიულობის იდეა უპირისპირდებოდა და ეს ტკივილიც ყუჩდებოდა. ლიტ. 4.

ავტ.



## 6.5. სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებები

**6.5.1. გენდერული ოპოზიციები ოთარ ჭილაძის რომანის „აველუმი“ მიხედვით. /თ. თალაკვაძე/. ენა და კულტურა. – 2019. – #22. – გვ. 92-95. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.**

XX სს. 90-იანი წლების მიჯნაზე მყოფი პოსტ-ტოტალიტარული ქალაქის ცხოვრებაა ასახული ქართველი კლასიკოსი მწერლის ოთარ ჭილაძის „აველუმში“. ოთარ ჭილაძის შემოქმედება განსხვავებული პერსპექტივებითა და მეთოდოლოგიით ხორციელდება, ჩვენი მიზანია, რომანში გამოკვეთილი გენდერული ოპოზიციების წარმოჩენით მთავარი პერსონაჟის ფსიქო-სოციალური ყოფის განსაზღვრა. როგორია მისი „მე“ კონცეფტის მიმართება გარე სამყაროსა და მისი საყვარელი სამივე ქალის მიმართ. ქალთა ფსიქო-ტიპების გასაანალიზებლად ვეყრდნობით ფროიდის ფსიქოანალიზის სამ ინსტანციას. ლიტ. 3.

ავტ.

**6.5.2. ხალხური წყაროდან პროფესიულ შემოქმედებამდე: ერთი თუშური ჰანგის შესახებ. /ნ. ზუმბაძე/. ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. – 2019. – #1(19). – გვ. 71-77. – ინგლ.; რეზ.: ინგლ., ქართ.**

კვლევის ამოსავალი გახდა დაღესტნის ტელე და რადიო მაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის არქივში დაცული აუდიოჩანაწერი – საფანდურო დასაკრავი ქართული მოტივი. ეს არის თუშური ჰანგი, ცნობილი სხვადასხვა სახელწოდებით: მწყემსური, სატრფიალო, თუშური, მთაში სალამურს ვაკუნესებ, მეცხვარის სიმღერა, მე ვარ და ჩემი ნაბადი, ეს შემოდგომა მოვიდა, ჯარისკაცის სიმღერა, ვაჟაო. ჩვენ მწყემსურად ვიხსენიებთ. მელოდიის ხმიერი და საკრავიერი ნიმუშები ფიქსირებულია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში (თუშეთის გარდა – თიანეთში, ხევსა და აჭარაში). ბუნებით მრავალხმიანი ჰანგი დღეს ყოფაში უნისონური შესრულებითაც გვხვდება, რაც ტრადიციული მრავალხმიანი აზროვნების დაკნინებაზე მიუთითებს. მწყემსური გასცდა ყოფით გარემოს – საავტორო ნიმუშებსაც დაედო საფუძვლად (ანზორ ერქომაიშვილის თუ ასე ტურფა იყავი), პროფესიული მუსიკის ერთი შედეგის წყაროდაც იქცა (სულხან ცინცაძის საკვარტეტო მინიატურა მწყემსური) და ფოლკ - ჯაზშიც პოვა გამოყენება (ირინა ებრალიძის კომპოზიცია ქალთა კვინტეტისათვის); გვხვდება საესტრადო რეპერტუარშიც (ნინო ჩხეიძის სად მიდიოდი, ნეტავი?). დახასიათებულია ცნობილი მომღერლის, ლოტბარისა და ვირტუოზი მეფანდურის – მარიამ არჯევნიშვილის როლი თუშური ჰანგის გავრცელებასა და პოპულარიზაციაში. ამასთან, განხილულია ხალხურ მუსიკაში არანჟირებისა და ავტორობის საკითხიც. სურ. 6, ლიტ. 8.

ავტ.

**6.5.3. არტურ ლაისტი და საქართველო. /ვ. წვერავა/. პროფესიონალის ხმა. – 2019. – #1-2(14). – გვ. 82- 89. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.**

ქართული კულტურის პოპულარიზაციას ავსტრიაში, პოლონეთსა და გერმანიაში ეწეოდა ქართველი ხალხის მეგობარი არტურ ლაისტი. იგი საქართველოში რამდენიმე ხნით ნამყოფი გერმანელი პოეტი-მოგზაურის ფრიდრიხ ბოდენშტედტის შთაგონებით ქართული ენის შესწავლის მიზნით 1884 წელს ჩამოვიდა. არტურ ლაისტი ჩამოსვლისთანავე დაუკავშირდა ი. ჭავჭავაძეს, აკ. წერეთელს, ივ. მაჩაბელს, ი. გოგებაშვილს, რ. ერისთავს, თ. სახოკიას და სხვ. ქართველ საზოგადო მოღვაწეებს. იგი საინტერესო ცნობებს აწვდიდა ყველა იმ ევროპელს, რომლებთანაც მას კავშირი ჰქონდა და რომლებსაც საქართველო აინტერესებდათ. 1885 წელს არტურ ლაისტმა გამოაქვეყნა საქართველოზე „მოგონებები“. მან ასევე ი. ჭავჭავაძისა და ივ. მაჩაბლის დახმარებით თარგმნა და გამოაქვეყნა 1889 წელს „ვეფხისტყაოსანი“. იგი 1892 წლიდან სამუდამოდ დასახლდა საქართველოში. არტურ ლაისტს ილია ჭავჭავაძემ შეარქვა „შორეული

თავისიანი“. 1927 წელს არტურ ლაისტი გარდაიცვალა და იგი დასაფლავებულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. ლიტ. 4.

ავტ.

**6.5.4. ეთნიკური უმცირესობების კულტურათა მხარდაჭერის პოლიტიკური ასპექტი (სახალხო დამცველის აპარატისა და ტოლერანტობის ცენტრის საქმიანობის მიხედვით). /ი. საგანელიძე/. ენა და კულტურა. – 2020. – #23. – გვ. 235-244. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.**

მულტიეთნიკურ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა თვითმყოფად კულტურასთან, ტრადიციებთან, სამოქალაქო ინტეგრაციასა და ტოლერანტობასთან დაკავშირებული საკითხების, მათ შორის, ამ მიმართულებით არსებული გამოწვევების წარმოჩენის, ასევე ევროპული ღირებულებების მქონე ქვეყნის იმიჯის წარმოსაჩენად მათი კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება-განვითარებისადმი სახელმწიფო მიდგომებისა და ხელშეწყობის მექანიზმების შესწავლის მიზანმა განაპირობა ის, რომ ჩვენი კვლევის არეალში მოექცა, ზოგადად, ადამიანის, მათ შორის, მცირერიცხოვან ეთნიკურ ერთეულთა საყოველთაო უფლებების დამცავი ორი სახელმწიფო უწყების - 1997 წელს შექმნილი სახალხო დამცველის, ანუ ომბუდსმენის აპარატისა და მასთან 2005 წლიდან არსებული ტოლერანტობის ცენტრის საქმიანობა. ეს მრავალპროფილიანი ინსტიტუციები, აერთიანებს რელიგიათა და ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოებს ქვემდებარე ორგანიზაციებითურთ. წინამდებარე კვლევა, ეფუძნება ზოგადლოგიკურ მეთოდებს – ინდუქციას, დედუქციას, შედარებას, ანალიზსა და სინთეზს. თანამედროვე ეპოქაში ადამიანის ნებისმიერი უფლება, მათ შორის, მცირერიცხოვან ეთნიკურ ერთეულთა კულტურული უფლებებიც საერთაშორისო კონვენციებითაა განსაზღვრული და დაცული. მათი უფლება, შეინარჩუნონ მშობლიური კულტურა, ენა, ტრადიციები, ჩვეულებანი, აღმსარებლობა დაცულია კონსტიტუციითაც და სამართლებრივი რეგულაციებითაც. ჩვენც, ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების სახელმწიფო-ებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მათი კვლევისას გამოვიყენეთ ყველა მნიშვნელოვანი სახელმწიფო და საერთაშორისო დოკუმენტი, ასევე სახალხო დამცველის აპარატთან მოქმედ რელიგიათა და ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოებისა და მათში შემავალი პროფილური ორგანიზაციების საქმიანობის შედეგები. ლიტ. 12.

ავტ.

## ავტორთა საძიებელი

აბლაკი მ. 6.2.6.2.  
აბაშიძე მ. 6.2.2.13.  
აბრამოვა ვ. 6.2.1.6.  
ალექსიძე ნ. 6.1.1.1.  
ამბოკაძე ნ. 6.2.3.1.  
ანჩაბაძე ი. 6.1.2.8.  
არხანგელსკაია ი. 6.2.1.6.  
ახვლედიანი ც. 6.2.2.9., 6.2.2.10.  
ახოზაძე ბ. 6.2.2.5.  
ბანძელაძე მ. 6.3.2.1.  
ბართაია ნ. 6.2.1.12.  
ბარათაშვილი ზ. 6.2.2.1.  
ბებურიშვილი ლ. 6.2.5.2.  
ბერიაშვილი გ. 6.4.3.9.  
ბეჟანოვი ზ. 6.2.2.13.  
ბოგდანოვა ლ. 6.2.1.7.  
ბოლაშვილი ქ. 6.4.3.6.  
ბოლესლავსკა (ბოლესლავსკა-ლევანდოვსკა) ბ. 6.4.3.3.  
ბრაგვაძე ზ. 6.1.2.9.  
ბუჩუკური ე. 6.4. 1.3.  
ბუხსიანიძე მ. 6.1.2.4.  
გაბუნია ქ. 6.2.2.9., 6.2.2.10.  
გავაშელიშვილი ა. 6.1.2.11.  
გეგეშიძე ე. 6.3.2.1.  
გელაშვილი თ. 6.2.6.6.  
გერსამია რ. 6.2.1.1., 6.2.2.3.  
გივიაშვილი ი. 6.4.1.2.  
გობიანი გ. 6.2.5.3.  
გოგოლაძე თ. 6.1.1.3.  
გუგუნავა მ. 6.2.5.1.  
დათეშიძე ნ. 6.2.6.4.  
ებრალიძე ლ. 6.2.6.5.  
ზარბაზოია ქ. 6.2.2.13.  
ზუმბაძე ნ. 6.5.2.  
თაგაური გ. 6.4.4.1., 6.4.4.2.  
თალაკვაძე თ. 6.5.1.  
თავართქილაძე ნ. 6.1.2.10.  
თაფენი მ. 6.1.2.4.  
თვალაძე თ. 6.2.6.7.  
თოფურია ე. 6.2.2.11.  
თუშაბრამიშვილი ნ. 6.1.2.7.  
თხილავა მ. 6.4.3.1.  
თი ნგოკ დუნგი ნ. 6.4.3.7.  
იობაშვილი გ. 6.4.2.1.  
იონანე ი. 6.4.3.20.  
კავთიაშვილი რ. 6.2.6.9.  
კალანდია გ. 6.1.1.5.

კალანდაძე გ. 6.2.4.2.  
კენჭიაშვილი ნ. 6.2.1.3.  
კობერიძე თ. 6.2.5.6., 6.2.5.7.  
ლაზარაშვილი მ. 6.2.5.10.  
ლენცნერი დ. 6.4.3.4.  
ლომია მ. 6.2.1.9.  
ლომიტაშვილი დ. 6.1.2.6.  
ლორთქიფანიძე დ. 6.1.2.3., 6.1.2.4.  
მამარდაშვილი თ. 6.2.1.10.  
მამედოვი ნ. 6.4.3.8., 6.4.3.17.  
მამისაშვილი ა. 6.4.3.15.  
მარუაშვილი ლ. 6.4.3.10.  
მარღანია მ. 6.2.6.8.  
მალრაძე ე. 6.1.2.2.  
მახაროზლიძე თ. 6.2.1.2., 6.2.1.10.  
მიქაძე მ. 6.2.2.6.  
მიქელაძე თ. 6.2.2.13.  
მოდებაძე ც. 6.2.2.12.  
ნაკიენე ა. 6.4.3.18.  
ნაუმოვიჩი გ. 6.2.1.5.  
ნიშნანიძე რ. 6.2.5.8.  
პავლიაშვილი ქ. 6.3.4.1.  
პაპუაშვილი გ. 6.3.3.1.  
პოპოვა ვ. 6.2.1.8.  
ჟვანია ნ. 6.4.3.14.  
როდინაძე ს. 6.2.2.13.  
რუსაძე ი. 6.2.2.14.  
რჩელიშვილი ნ. 6.2.5.9.  
საბანაძე ე. 6.2.6.2.  
საგანელიძე ი. 6.5.4.  
სვანიძე რ. 6.2.2.7.  
სიხარულიძე თ. 6.2.5.4.  
სონღულაშვილი ნ. 6.1.1.2.  
სუმბათაძე თ. 6.2.5.5.  
სუხიშვილი თ. 6.2.6.1.  
ტარევა ე. 6.2.1.4.  
ვატიუშინა ე. 6.2.1.8.  
ფერინგი რ. 6.1.2.4.  
ფიცხელაური კ. 6.1.2.1., 6.1.2.5.  
ფლამი კ. 6.4.3.11.  
ფხალაძე თ. 6.3.4.2.  
ქავთარაძე მ. 6.4.1.3.  
ქარდავა მ. 6.4.4.3.  
ქაროსანიძე ლ. 6.2.6.3.  
ქიტესაშვილი ს. 6.4.4.5.  
ქობალავა ი. 6.2.2.3., 6.2.2.4.  
ღვინჯილია გ. 6.4.3.5., 6.4.3.19.  
ყიფიანი ს. 6.2.2.14.  
ყვავაძე ე. 6.1.2.3.  
ყუფარაძე გ. 6.2.2.9., 6.2.2.10.

შავგულიძე ქ. 6.4.1.1.  
შავლაყაძე ქ. 6.1.1.4.  
შარიქაძე ნ. 6.4.3.12.  
შევარდნაძე ხ. 6.2.5.10., 6.2.5.11.  
შელის თ. 6.1.2.4.  
შელის მ. 6.2.6.8.  
შერგელაშვილი მ. 6.4.1.1.  
შიომშვილი ი. 6.3.1.1  
ჩარკვიანი ნ. 6.2.2.14.  
ჩერლონიენე ბ. 6.4.3.16.  
ჩერქეზიშვილი ნ. 6.4.3.2.  
ჩიხრაძე მ. 6.4.1.1.  
ცანავა ა. 6.2.4.1.  
ცეცხლაძე თ. 6.2.2.2.  
ციხელაშვილი ლ. 6.2.2.8.  
ცქვიტინიძე ნ. 6.1.2.3.  
წვერავა ვ. 6.5.3.  
წიქარიძე ნ. 6.1.2.3.  
ჭაბაშვილი ე. 6.4.3.13.  
ხაჭაპურიძე რ. 6.4.4.4.

## თემატური საძიებელი

აგიოგრაფიული ძეგლები - 6.4.4.5.  
ადრეანტიკური ხანა - 6.1.2.8.  
ავტოკეფალია - 6.3.4.1.  
ათონელი წმიდა მამები - 6.2.5.7.  
აიდი - 6.2.1.12.  
აკაკი წერეთელი - 6.4.4.1.; 6.2.5.4.; 6.2.5.11.  
აზერბაიჯანი - 6.4.3.11.  
ალექსანდრე ამილახვრი - 6.3.1.1.  
ამიერკავკასიის ისტორია - 6.4.2.1.  
ანალიზი - 6.2.4.1.  
ანდაზები - 6.2.2.9.; 6.2.2.10.  
ანზორ ერქომაიშვილი - 6.5.2.  
ანკეტირება - 6.2.1.8.  
ანტი-საბჭოთა მოძრაობა - 6.4.3.18.  
ანტეფიქსი - 6.1.1.3.  
არგუმენტი - 6.2.1.11.  
არმაზისხევი - 6.1.2.9.  
არტურ ლაისტი - 6.5.3.  
არტეფაქტი - 6.1.2.2.  
არქეოლოგია - 6.1.2.10.  
არქეოლოგიური კვლევა-ძიება - 6.1.2.1.  
არქიმანდრიტი გაიოზი - 6.3.4.2.  
არქიტექტურა - 6.4.2.1.  
არქიტექტურის ისტორია - 6.4.2.1.  
ასტროფია - 6.2.5.5.  
აუგუსტო ბოალი - 6.4.3.2.  
აფხაზეთის ომი - 6.2.5.6.  
ახლონათესაური ენები - 6.2.1.5.  
ბაირონიზმი - 6.2.5.4.  
ბალერონი - 6.4.3.1.  
ბენა ჩოლოყაშვილი - 6.1.1.5.  
ბელა ბარტოკი - 6.4.03.6.  
ბიომი - 6.1.2.11.  
ბიტ-მანქანები - 6.4.3.10.  
ბორი - 6.1.2.9.  
ბრიკოლაჟი - 6.4.3.10.  
ბრიკოლერი - 6.4.3.10.  
ბრინჯაოს მღვიმე - 6.1.2.3.  
გაბრიელ მცირე - 6.2.4.2.  
გადასახლებული კომპოზიტორები - 6.4.3.20.  
გავლენა და მსგავსება - 6.4.3. 12.  
განათლება - 6.1.1.2.  
განმარტებითი ლექსიკონი - 6.2.6.4.  
გამეორებული ისტორია - 6. 2.5.6.  
გარეჯის სამონასტრო სკოლა - 6.2.4.2.  
გარნიზონები - 6.1.2.8.  
გენდერული ოპოზიციები - 6.5.1.  
გეოგრაფია - 6.4.3.4.

გერმანული ენა - 6.1.2.8.  
 გერმანული დისკურსი - 6.2.2.7.  
 გვიანანტიკური კავკასიური წყაროები - 6.1.1.1.  
 გვიანანტიკური ხანა - 6.1.2.8.  
 გიორგი მთაწმიდელი - 6.2.5.7.  
 გიორგი გამყრელიძე - 6.2.5.8.  
 გოლგოთა - 6.1.1.5.  
 გრამატიკული მარკირება - 6.2.1.11.  
 გურამ დოჩანაშვილი - 6.2.3.1.  
 გურამ რჩეულიშვილი - 6.2.5.9.  
 გურამ ოდიშარია - 6.2.5.6.  
 დაგვიანებული ეპოქა - 6.2.5.10.  
 დაზგა - 6.1.2.6.  
 დასავლეთ საქართველო - 6.1.2.3.; 6.1.2.3.  
 დასავლური გარემო - 6.4.1.1.  
 დეპორტაცია - 6.4.3.18.  
 დერივაცია - 6.2.1.1.  
 დისონანსი - 6.4.3.16.  
 დმანისის პალეოლითური ძეგლი - 6.1.2.4.  
 ებიანი მრავლობითი - 6.2.1.1.  
 ედგარ ვარეზი - 6.4.3.6.  
 ეკლექტიზმი - 6.2.2.2.  
 ეკუმენიზმი - 6.4.3.19.  
 ემოციების კულტურული სპეციფიკა - 6.2.1.8.  
 ენის ლექსიკა - 6.2.1.8.  
 ენის სიმბოლური განზომილება - 6.2.5.1.  
 ენობრივი მახასიათებლები - 6.2.6.8.  
 ენობრივი ასპექტები - 6.2.6.8.  
 ენობრივი ერთეულები - 6.2.2.3.  
 ენობრივი ლაკუნები - 6.2.2.11.  
 ენობრივი სივრცე - 6.2.2.14.  
 ეპისტემიკურ-ევიდენციალური მწკრივები - 6.2.1.9.  
 ეპისტოლარული მემკვიდრეობა - 6.2.2.6.  
 ესქილეს „სპარსელები“ - 6.2.4.1.  
 ერიკს ეშენვალდსი - 6.4.3.4.  
 ეროვნული იდენტობა - 6.4.3.11.  
 ეროვნულობა - 6.1.1.2.  
 ექვთიმე მთაწმიდელი - 6.2.5.7.  
 ვალენტობა - 6.2.2.1.  
 ვარშავის საერთაშორისო ფესტივალი - 6.4.3.12.  
 ვაჟა-ფშაველა - 6.2.5.2.; 6.2.5.5.  
 ვახტანგ ჭაბუკიანი - 6.4.3.1.  
 ვახუშტი ბაგრატიონი - 6.2.1.12.  
 ვიეტნამური სიმფონია - 6.4.3.7.  
 ზმნის ვალენტობა - 6.2.1.2.  
 ზმნის პირიანობა - 6.2.1.2.  
 ზმნის ფუძე - 6.2.2.4.  
 ზმნისწინის ფუნქციები - 6.2.1.10.  
 ზღაპრის სიუჟეტი - 6.4.4.3.  
 თავის ქალა - 6.1.2.10.

თანამედროვე საშემსრულებლო ხერხები - 6.4.3.15.  
თანამედროვე მუსიკა - 6.4.3.7.; 6.4.3.16.  
თანამედროვე ტექნოლოგიები - 6.1.2.1.  
თარგმანი - 6.2.6.1.  
თარგმნითი ლექსიკოგრაფია - 6.2.6.2.  
თარგმნითი ლექსიკონები - 6.2.6.4.  
თეატრალურ-ვიზუალური მუსიკა - 6.4.3.15.  
თრიალეთის ოქროს თასი - 6.1.2.2.  
თხრობათა პირველწყაროები - 6.2.4.2.  
იბერია - 6.1.2.9.  
ილია ჭავჭავაძე - 6.2.5.4.; 6.5.3.  
ინგლისური ენის სახელმწიფო - 6.2.6.6.  
ინოვაცია - 6.2.6.9.  
ინტერტექსტუალობა - 6.4.3.7.  
ინტერაქცია მუსიკა - 6.4.3.13.  
ირანული და ზოროასტრული სამეფო - 6.1.1.1.  
ირიბი დამატება - 6.2.2.1.  
ირინა ებრალიძე - 6.5.2.  
ისტორიული ნარატივი - 6.4.3.18.  
ისტორიული ტაო - 6.4.1.2.  
კავკასიოლოგია - 6.2.6.2.  
კანონთა გონი - 6.3.1.1.  
კარიბჭე - 6.1.2.5.  
კარლჰაინც შტოკჰაუზენი - 6.4.3.6.  
კარნავალურობა - 6.4.3.5.  
კვირიკეწმინდის მონასტერი - 6.1.1.3.  
კითხვითობის მარკერი - 6.2.02.8.  
კლასიკური ხანა - 6.1.2.8.  
კლასტერი - 6.4.3.6.  
კლოდ დებიუსი - 6.4.3.6.  
კოლექტიური მეხსიერება - 6.4.3.18.  
კოლექტიური ტრავმა - 6.2.5.1.  
კომუნიკაციური მეხსიერება - 6.2.5.1.  
კომპიუტერიზაცია - 6.2.2.5.  
კომპოზიტორთა კავშირი - 6.4.3.3.  
კომპოზიტები/რთული სიტყვები - 6.2.6.9.  
კომპოზიციური მთლიანობა - 6.2.5.3.  
კონოტაციის სემანტიკური ჯგუფები - 6.2.2.12.  
კონცეპტი ოჯახი - 6.2. 2.7.  
კონტექსტუალური ანალიზი - 6.2.1.8.  
კორპუსის ლინგვისტიკა - 6.2.1.3.  
კოსმოპოლიტიზმი - 6.2.5.2.  
კულტურა - 6.3.2.1.; 6.3.3.1.  
კულტურული გარემო - 6.2.1.7.  
კულტურული იდენტობა - 6.4.3.4.  
კულტურული კოდები - 6.2.1.7.  
კულტურული მემკვიდრეობა - 6.5.4.  
კულტურული მეხსიერება - 6.2.5.1.  
კულტურის პოპულარიზაცია - 6.5.3.



კულტურული ფასეულობები - 6.2.2.9.; 6.2.2.10.  
კულტურული ღირებულებების ურთიერთგავლენა - 6.2.1.7.  
ლაკლაკი - 6.2.1.12.  
ლატვია - 6.4.3.4.  
ლატვიური მუსიკა - 6.4.3.20.  
ლაზური ენა - 6.2.2.4.; 6.2.2.3.  
ლექსიკის სისტემატიზაცია - 6.2.2.5.  
ლექსიკური მნიშვნელობა - 6.2.2.4.; 6.2.2.14.  
ლექსიკური ნასესხობები - 6.2.6.1.  
ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ერთეულები - 6.2.1.6.  
ლექსიკური ტრანსფორმაციები - 6.2.6.5.  
ლიეტუველები - 6.4.3.18.  
ლინგვოკონცეპტოლოგია - 6.2.1.4.  
ლინგვისტური მახასიათებლები - 6.2.2.7.  
ლინგვისტიკური ტერმინები - 6.2.6.2.  
ლინგვოკულტუროლოგია - 6.4.4.1.  
ლისტი ფრანც - 6.4.3.8.  
ლიტერატურა - 6.2.5.10.  
ლიტერატურული ზღაპრები - 6.4.4.2.  
ლიტერატურულ მოღვაწეობა - 6.2.4.2.  
ლულუფარი - 6.2.1.12.  
ლურჯი მონოკლი - 6.2.5.8.  
მავნე სულები - 6.4.4.4.  
მაიკლ ნიუმანი - 6.4.3.10.  
მამია გურიელი - 6.2.2.6.  
მამური შტო - 6.1.2.11.  
მანქანური თარგმანი - 6.2.2.5.  
მართლმადიდებელი ეკლესია - 6.3.4.1.; 6.3.4.2.  
მარიამ არჯევნიშვილი - 6.5.2.  
მარინისტული ლიტერატურა - 6.2.2.13.  
მეგრული ენა - 6.2.2.3.; 6.2.2.4.  
მეჰმანდარი - 6.2.1.12.  
მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები - 6.2.6.5.  
მიკროტექსტები - 6.2.5.3.  
მიკროქრომატიკა - 6.4.3.6.  
მინის სანელსაცხებლები და საცრემლეები - 6.1.1.4.  
მორალი - 6.3.2.1.  
მორდარი - 6.2.1.12.  
მორფემები - 6.2.1.11.  
მორფოლოგიური მარკერები - 6.2.6.6.  
მრავალდარგოვანი ტერმინოლოგიური ლექსიკონები - 6.2.6.4.  
მსოფლიო ომი - 6.4.3.18.  
მყოფადუსრული - 6.2.1.9.  
მწყემსური ჰანგი - 6.5.2.  
მცირერიცხოვანი ეთნოსები - 6.5.4.  
მცხეთა - 6.1.1.4.  
მულტიკულტურალიზმი - 6.4.3.11.  
მულტიმედია - 6.4.3.13.  
მულტიმედია პროექტი - 6.4.3.14.  
მუსიკა და იდეოლოგია - 6.4.3.3.

მუსიკა და პოლიტიკა - 6.4.3.3.  
მუსიკა და ტექსტი - 6.4.3.17.  
მუსიკალური დროის პრობლემატიკა - 6.4.3.9.  
მუსიკალური სიმეტრია - 6.4.3.16.  
ტრიტონი - 6.4.3.16.  
მხატვრობა - 6.4.2.1.  
მხატვრული თარგმანი - 6.2.6.5.  
მხატვრული კვლევა - 6.4.3.14.  
მხატვრული სივრცე - 6.4.3.4.  
მხატვრული ტექსტები - 6.2.2.13.  
მხატვრული სახის პლასტიურობა - 6.2.5.5.  
მე-19 საუკუნე - 6.2.5.11.; 6.3.3.1.  
მე-20 საუკუნე - 6.2.5.10.  
მე-20 საუკუნის მუსიკა - 6.4.3.6.  
ნადირობა - 6.2.5.9.  
ნაირა გელაშვილი - 6.2.5.3.  
ნამარხი ფაუნის ანალიზი - 6.1.2.4.  
ნარატივი - 6.2.3.1.  
ნარატიული სივრცე - 6.2.4.1.  
ნასესხი სიტყვები - 6.2.6.8.  
ნასესხები ტერმინები - 6.2.6.1.  
ნაცარქექიას ლინგვოკულტუროლოგია - 6.4.4.1.  
ნეანდერტალელი - 6.1.2.7.  
ნეოლოგიზმი - 6.2.6.3.  
ნეორიზმისეული ანალიზი - 6.4.3.8.  
ნიკოლაი ბერდიაევი - 6.2.5.2.  
ნიკოლაძეების ტერმინოლოგიური ცენტრი - 6.2.6.3.  
ნიჯადი - 6.2.1.12.  
ნოველა - 6.4.4.3.  
ოდნობითი ხარისხი - 6.2.1.10.  
ოთარ ჭილაძის „აველუმი“ - 6.5.1.  
ოთხთა ეკლესიისა და პარხლის მონასტრები - 6.4.1.2.  
ოპუს-მიქსტუმით ნაშენი კედლები - 6.4.1.2.  
ორთოდოქსული ეკლესია - 6.4.3.19.  
პარემიები - 6.2.2.9.; 6.2.2.10.  
პარტიზანული სიმღერები - 6.4.3.18.  
პარხლის ოთხთავის მინაწერი - 6.4.1.2.  
პატრიოტიზმი - 6.2.5.2.  
პიკასოს „გერნიკა“ - 6.2.5.1.  
პიტიახში - 6.1.2.9.  
პირობითურული - 6.2.1.9.  
პლეისტოცენი - 6.1.2.7.  
პოეზია - 6.2.5.11.  
პოლისემია - 6.2.2.5.  
პოლისტილისტიკა - 6.4.3.10.  
პოლიტიკურ-ფილოსოფიური შეხედულებები - 6.3.1.1.  
პოლონეთი - 6.4.3.3.  
პოლონური მუსიკა - 6.4.3.3.  
პოპულაცია - 6.1.2.11.  
პროფესიული ბალეტი - 6.4.3.1.

პოსტ- ავანგარდი - 6.4.3.9.  
პოსტმოდერნიზმი - 6.2.2.2.  
პოსტმოდერნისტული ანაბექტები - 6.2.5.3.  
პოსტსაბჭოთა პერიოდი - 6.4.1.1.  
პურიზმი - 6.2.6.3.  
პუშკინი ალექსანდრე - 6.4.3.17.  
ჟანრი - 6.2.2.2.  
ჟესტური ენა - 6.2.1.11.  
რელიგია - 6.3.2.1.  
რიმსკი-კორსაკოვი ნიკოლოზ - 6.4.3.17.  
რიტუალი - 6.4.3.5.  
რომანიზებული არისტოკრატია - 6.1.2.8.  
რომანული სტილისტიკა - 6.4.3.19.  
რომანტიკული ეპოქა - 6.4.4.3.  
რომანტიზმი - 6.4.3.5.  
რომის იმპერია - 6.1.1.1.  
რუსული ენა - 6.2.1.5.  
რუსული ენის ინგლისურით ჩანაცვლება - 6.2.1.5.  
საბდივანი - 6.2.1.12.  
საბჭოთა იდეოლოგია - 6.4.3.12.  
საბჭოთა რეჟიმი - 6.4.3.18.  
საგანმანათლებლო პარადიგმა - 6.2.1.4.  
საეკლესიო კრება - 6.3.4.1.  
სავიოლინო ტექნიკა - 6.4.3.15.  
საზოგადოება - 6.0.3.5.  
საზღვაო ტერმინები - 6.2.2.13.  
საკანონმდებლო თეატრი - 6.4.3.2.  
საკვანძო კონცეპტის ევოლუცია - 6.2.1.4.  
საკომპოზიციო პროცესი - 6.4.3.16.  
სამაროვანი - 6.1.2.5.  
სამარხი - 6.1.2.8.  
სამეტყველო ენა - 6.2.1.2.  
სამეფო ხელისუფლების კონცეფციები - 6.1.1.1.  
სამთავროს სამაროვანი - 6.1.1.4.; 6.1.2.10.  
სამოქალაქო ინტელიგენცია - 6.5.4.  
სამხრეთ კავკასია - 6.1.2.1.; 6.1.1.4.  
საპატრიარქოს იურისდიქცია - 6.3.4.1.  
სასულიერო კრებულები - 6.2.4.2.  
სასულიერო სემინარია - 6.3.4.2.  
საქართველო - 6.1.1.2.; 6.4.3.11.; 6.5.3.  
საქართველოს დასავლეთთან ინტეგრაცია - 6.4.1.1.  
საქართველოს ისტორია - 6.3.4.2.  
საწაფი - 6.1.2.6.  
სახელის ფუძე - 6.2.1.1.  
სახელმწიფოებრიობა - 6.1.2.5.  
სელის კულტურა - 6.1.2.6.  
სელის ნართი - 6.1.2.6.  
სემანტიკური დახასიათება - 6.2.6.8.  
სემანტიკური კომპონენტები - 6.2.2.4.  
სემანტიკური ჯგუფები - 6.2.2.12.

სემპლ კომპოზიცია - 6.4.3.10.  
სერბეთი - 6.4.3.18.  
სერბული ენა - 6.2.1.5.  
სივრცითი ზმნისართები - 6.2.2.3.  
სივრცეში ორიენტირების პრინციპები - 6.2.2.3.  
სიმბოლიზმი - 6.2.5.11.  
სიმონ ჩიქოვანი - 6.2.5.5.  
სიტყვა - 6.2.2.14.  
სიტყვარი - 6.2.6.3.  
სიუჟეტური სტრუქტურა - 6.4.4.3.  
სომხეთი - 6.4.3.11.  
სრა-ფარდაგი - 6.2.1.12.  
სტრატეგიულ-მიზნობრივი შინაარსი - 6.2.2.11.  
სტრუქტურულ-ფუნქციური ანალიზი - 6.2.2.11.  
სულიერ-ზნეობრივი ღირებულება - 6.3.3.1.  
სულხან ცინცაძე - 6.5.2.  
სუბიექტი - 6.2.5.1.  
სხეულის ლოკალიზაცია - 6.2.2.3.  
ტიუდორები - 6.1.1.5.  
ტიციან ტაბიძე - 6.2.5.11.  
ტემბრი და ფაქტურა - 6.4.3.6.  
ტერმინოლოგია - 6.2.6.1.; 6.2.6.2.; 6.2.6.4.  
ტერმინოლოგიური ლექსიკონები - 6.2.6.4.  
ტექნიკური ტექსტები - 6.2.2.13.  
ტოლერანტობა - 6.5.4.  
ტოპონიმია - 6.1.2.6.  
ტრაგიკოსის მსოფლმხედველობა - 6.2.4.1.  
ტრადიცია - 6.1.2.8.  
უმბონი - 6.1.2.8.  
უმველესი ქართული ოქრომჭედლობა - 6.1.2.2.  
უცხოური ენების სწავლების მეთოდისა - 6.2.1.4.  
უცხოური ენის სწავლების პროცესი - 6.2.1.7.  
ვანტასტიკური რომანი - 6.4.4.3.  
ვასალების გაფორმება - 6.4.1.2.  
ვარი - 6.1.2.8.  
ფიზიკური ანთროპოლოგია - 6.1.2.10.  
ფილოსოფია - 6.3.2.1.  
ფიროსმანი და მუსიკა - 6.4.1.3.  
ფლექსია - 6.2.1.1.  
ფოლკლორი - 6.4.4.4.  
ფორმულებით აზროვნება - 6.4.3.10.  
ფრაკიული - 6.1.2.8.  
ფრანგი ფილოსოფოსი შარლ ლუი მონტესკი - 6.3.1.1.  
ფრანსუა-ბერნარ მაში - 6.4.3.9.  
ფსევდოგრამატიზებული დაწერილობა - 6.2.2.8.  
ფსიქო-სოციალური ყოფა - 6.5.1.  
ფუნქციური სტილი - 6.2.2.2.  
ფუტურიზმი - 6.2.5.10.  
ქალკოლითური ძეგლები - 6.1.2.3.  
ქართველები - 6.1.1.5.

ქართული პროფესიული ბალეტი - 6.4.3.1.  
ქართული ემიგრაცია - 6.2.5.8.  
ქართველი ემიგრანტი ხელოვანები - 6.4.1.1.  
ქართული ვებკორპუსი - 6.2.1.3.  
ქართული ზღაპარი - 6.4.4.2.  
ქართული თანამედროვე ხელოვნება - 6.4.1.1.  
ქართული თარგმანები - 6.2.5.4.  
ქართული კაუზატიური კონსტრუქციები - 6.2.2.1.  
ქართული კორპორა - 6.2.1.3.  
ქართული მუსიკა - 6.4.3.12.  
ქართული (თუშური) მუსიკა - 6.5.2.  
ქართველთა სამეფო - 6.4.1.2.  
ქართული სოლო სავიოლინო სონატა - 6.4.3.15.  
ქართული ქესტური ენა - 6.2.1.2.  
ქართული ტერმინოლოგია - 6.2.6.3.  
ქვედა პალეოლითი - 6.1.2.4.  
ქრისტიანობა - 6.4.3.19.  
ქრონოლოგია - 6.1.2.6.  
ქრომოსომა - 6.1.2.11.  
ღვინის „ვისმინო“ ლეიბლი - 6.4.1.3.  
ღვინო და მუსიკა - 6.4.1.3.  
შავი ზღვისპირეთი - 6.1.2.8.  
შარლ ლუი მონტესკი - 6.3.1.1.  
შემსრულებელი-მსმენელის ინტერაქცია - 6.4.3.14.  
შემოქმედებითი მიმართება - 6.2.5.11.  
შენკერის თეორია - 6.4.3.8.; 6.4.3.17.  
შერეულ სიტყვათა მიმდევრობა - 6.2.6.9.  
შედარებითი ანალიზი - 6.3.1.1.  
შესატყვისობა - 6.2.2.1.; 6.4.3.5.  
შორისდებულები - 6.2.6.6.  
შუმანის „კარნავალი“ - 6.04.3.5.  
ჩარლზ აივზი - 6.4.3.6.  
ჩითახევი - 6.1.1.3.  
ჩინელი სტუდენტები - 6.2.1.6.  
ჩინური კედელი - 6.2.1.6.  
ჩინური სიმბოლიკა - 6.2.1.6.  
ჩრდილო შავიზღვისპირეთი - 6.1.1.4.  
ჩრდილოეთის ციალი - 6.4.3.4.  
ცენტრალური აქტანტი - 6.2.2.1.  
ცივილიზაცია - 6.3.3.1.6.1.1.1.  
ცუცხვათი - 6.1.2.3.  
ცუცხვათის ქალკოლითური კულტურა - 6.1.2.3.  
ძველი თბილისის მუსიკა - 6.4.1.3.  
ძველი ცივილიზაცია - 6.1.2.1.  
ძვირფასი ლითონის დამუშავება - 6.1.2.2.  
ძიერძ ლიგეტი - 6.4.3.6.  
ძირითადი მხატვრული პრინციპები - 6.2.4.1.  
წერილის ეტიკეტი - 6.2.2.6.  
წმიდა გაბრიელ მცირე - 6.2.4.2.  
წმინდა მიწა - 6.1.1.5.

წმინდანთა კულტი - 6.1.1.1.  
წმინდანობის გზა - 6.4.4.5.  
წყლის სიმბოლიკა - 6.2.2.12.  
ჭაბაშვილი ეკა - 6.4.3.15.  
ხალხთა კულტურული ფასეულობები - 6.2.2.9.; 6.2.2.10.  
ხალხური „ნაცარქექია“ - 6.4.4.1.  
ხატოვანი თქმები - 6.2.2.9.; 6.2.2.10.  
ხელოვნება - 6.2.5.10.  
ხელოვნური დეფორმაცია - 6.1.2.10.  
ხმის მიმზამველი ერთეულები - 6.2.6.6.  
ჯადოსნური ზღაპრები - 6.4.4.2.  
ჯონ კეიჯი - 6.4.3.6.  
ჯორჯ გორდონ ბაირონი - 6.2.5.4.  
ჯორჯ კრამბი - 6.4.3.6.  
ჰენრი კოუელი - 6.4.3.6.  
ჰიბრიდული ჟანრები - 6.4.3.13.  
ჰომინინების განსახლება - 6.1.2.4.  
ჰომო საპიენსი - 6.1.2.7.  
9 აპრილი - 6.2.3.1.